ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 5, 2017

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2017

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

მირზა ხიდაშელი - საქართველოს მონეტარული სისტემის პერსპექტივები ---------- 6
ხათუნა შალამბერიძე - საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვის ოპტიმიზაცია ---------- 22
ბენ იაკოვ რივკა - შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში ---------- 30

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ანზორ აბრალავა, თორნიკე გოგაძე - ბიზნესის სოციალიზაციის მაკროეკონომიკური თავისებურებანი საქართველოში ---------- 36
მარიამ დათაშვილი - ადამიანური კაპიტალის სტრუქტურა და სახეობები ---------- 47
გრიგოლ ზუბიაშვილი - საწარმოების ანტიკრიზისული მართვის სპეციფიკა ---------- 54
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია - სამამულო და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა-ეროვნული ბიზნესის განვითარებისა და მისი სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი ---------- 65

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ბენ იაკოვ რივკა - შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების (რემიტანსების) გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ---- 73

რეგიონული ეკონომიკა

არჩილ გოგრიჭიანი - მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები ---------- 81
ვაჟა ზეიკიძე, გიორგი მაისურაძე, ნატალია ელგენდარაშვილი,

ცირა ელგენდარაშვილი - მუნიციპალური მენეჯმენტის
სრულყოფის მიმართულებები საქართველოში ---------- 88
ბექა ბიბილური - ფერმერული მეურნეობის როლი
იმერეთის მხარის ცხოვრების დონის განვითარებასა
და ხარისხის ამაღლებაში ---------- 96

დარგობრივი ეკონომიკა

ლელა ინასარიძე - მართული ჯანდაცვის
სექტორის ორგანიზება საქართველოში ---------- 105
ნინო დევაძე - ტურიზმის განვითარების ჯაფარის მოდელი და
მდგრადი განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე --- 112

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

გიორგი მაისაშვილი - სადაზღვევო კომპანიების
მართვის ბიზნეს-მოდელის ფუნქციონირების პრობლემები ------- 125
გრიგოლ ზუბიაშვილი - ღვინის კლასტერები როგორც
კონკურენციის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი -------- 137
დავით ძოწენიძე - მეწარმეობის თვითრეგულირების სტრატეგია -- 146
ქეთევან კიწმარიშვილი - მოტივაციური პოტენციალის ანალიზი -- 154
გიორგი მაისაშვილი - ორგანიზაციის მართვა: კონცეფციების
რეტროსპექტივა და ახლებური მიდგომები ---------- 159
ნანა ნადირაშვილი - რეგიონული მარკეტინგის მნიშვნელობა
და მისი განვითარების აუცილებლობა საქართველოში ---------- 168
ქეთევან კიწმარიშვილი - საწარმოო ტექნოლოგიები,
როგორც მართვის ობიექტი ---------- 175

მსოფლიო ეკონომიკა

გურამ საფარიძე - შრომითი მიგრაცია - საქართველო,
აღმოსავლეთის პარტნიორობა და ვიზალიბერალიზაცია ---------- 182

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 199

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Mirza Khidasheli - The Perspectives of Georgian Monetary System ---------- 6
Khatuna Shalamberidze - Optimization of State Debt Management of Georgia ---------- 22
Ben Iakov Rivka - Development and Formation Stages of Labour Market and Employment Policy ---------- 30

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Anzor Abralava, Tornike Gogadze - Macroeconomic Peculiarities of Business Socialization in Georgia ---------- 36
Mariam Datashvili - The Structure and Types of Human Capital ----- 47
Grigol Zubiashvili - Specifics of Anti-crisis Management of Enterprises ---------- 54
Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia - Provision of Optimal Ratio Between Local and Foreign Investments- As an Important Factor for Development of National Business and its Socialization ---------- 65

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Ben Iakov Rivka – The Impact of Cash Transfers(Remittances) of Labour Migrants on Economic Development of a Country ---------- 73

REGIONAL ECONOMY

Archil Gogrichiani - Main Directions of Socio-economic Development of High-mountainous Regions ---------- 81
Vaja Zeikidze, George Maisuradze, Natalia Elgendarashvili, **Cira Elgendarashvil -** The Directions of Improvement of Municipal Management in Georgia ---------- 88

Beqa Bibiluri - The Role of Farming Enterprise
(productive homestead) in Increasing and Improving
of Living Standard in Imereti Region ---------- 96

SECTORAL ECONOMY

Lela Inasaridze - Organizing Managed Healthcare
Sector in Georgia----------105
Nino Devadze - Jafari's "Platform" Model of Tourism Development
and Contemporary Perspectives of Sustainable Development ---------112

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

George Maisashvili - The Functioning Problems
of Managing the Business Model of Insurance Companies----------125
Grigol Zubiashvili - Wine Clusters as an Important
Tool for Raising Competitiveness----------137
David Dzotsenidze - Self-regulation Strategy of Entrepreneurship -146
Ketevan Kitsmarishvili - Motivation Potential Research ----------154
George Maisashvili - Organization Management:
Retrospective of Concepts and Innovative Approaches----------159
Nana Nadirashvili - Significance of Regional Marketing
and the Necessity of its Development in Georgia ----------168
Ketevan Kitsmarishvili - Industrial Technologies as Control Object - 175

WORLD ECONOMY

Guram Sapharidze - Labour Migration - Georgia,
the Eastern Partnership and Visa Liberalization----------182

PUBLICATION REQUIREMENTS ---------- 199

საქართველოს მონეტარული სისტემის პერსპექტივები

მირზა ხიდაშელი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

„ნუ დაამყარებ შენს იმედს ფულზე, მაგრამ შენი ფული შეინახე საიმედოდ“ - ო. ვ. ჰოლმსის ეს ფრაზა ხატოვნად ასახავს ეროვნული ვალუტის წინაშე არსებულ უმთავრეს პრობლემას - „დოლარიზაციას“. პოსტ საბჭოთა საქართველოს მონეტარული სისტემის პირველი ნაბიჯები შეიძლება დავახასიათოთ როგორ პროგნოზირებადი კრახი. პირველი მარცხის შემდეგ საქართველოს სავალუტო სისტემა შედარებითი სტაბილურობის გზას დაადგა. 1995 წელს მიმოქცევაში ჩაშვებულმა ქართულმა ლარმა ფასების სტაბილურობის ამოცანას თავი გაართვა, თუმცა მისი პოზიციები დანაზოგებისა და კრედიტების ბაზარზე კვლავაც სუსტია. სწორედ ამიტომ, მოცემული კვლევა დაეთმო „დოლარიზაციის“ ძირითადი მიზეზებისა და მისი დაძლევის გზების გამოვლენას.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ოქროს სტანდარტი, კრიპტო ვალუტა.

ძირითადი ტექსტი

ისტორიული წყაროების მიხედვით პირველი მონეტები ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებში ჩნდება. ფულის წარმოშობა ორ ძირითად კერას მიეწერება: კუნძული ეგინა ეგეოსის ზღვაში და მცირეაზიური სახელმწიფო ლიდია. რაც შეეხება საქართველოს, კოლხეთიც შეგვიძლია შევიყვანოთ იმ პიონერებში, რომლებმაც შექმნეს მონეტა. ძველი

წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში ქალაქ მილეთიდან, რომელიც ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა, გადმოსახლდნენ კოლონისტები. კოლონისტებმა დააარსეს ბერძნული ქალაქი ფაზისი - თანამედროვე ფოთი, დიოსკურია - თანამედროვე სოხუმი, გიენოსი - თანამედროვე ოჩამჩირე, პიტიუნტი - თანამედროვე ბიჭვინთა. სწორედ ფაზისელმა ბერძნებმა დაიწყეს ფულის მოჭრა ჩვენს ტერიტორიაზე. ამ ფულს ზოგადად ვუწოდებთ კოლხურ თეთრს და იჭრებოდა ძველი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებში.[1]

რაც შეეხება ახალი წელთაღრიცხვის პერიოდს, პირველი საუკუნიდან მეათე საუკუნემდე დასავლეთ სქართველოში ფული აღარ მოჭრილა. ანუ იმ პერიოდამდე, როდესაც სახელმწიფოს ცენტრი აღმოსავლეთით გადმოვიდა. დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდიოდა ბიზანტიური ფული და ადგილობრივი ფული აღარ იჭრებოდა. როდესაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო გახდა ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცე, მხოლოდ ამის შემდეგ ვხვდებით ბაგრატ მეოთხის მიერ მოჭრილ ფულს.

რუსული მმართველობის პერიოდში შემოდის ქაღალდის ფული. ეს უკვე ბონისტიკაა. ქაღალდის ფულში იგულისხმებოდა 0,8 გრამი ოქრო, რომელიც ნაციონალურ სარეზერვო ბანკში ინახებოდა. ქართველები ამას ნაკლებად იგებდნენ და არც ესმოდათ ქაღალდის ფულის აზრი მეცხრამეტე საუკუნეში. [1]

რუსული ანექსიის შემდეგ პოსტ საბჭოთა პერიოდამდე საქართველოს დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა (ისევე როგორც სხვა სახის პოლიტიკა) არ უწარმოებია. მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოა კავშირის დაშლისა და საბჭოთა სავალუტო სისტემის გაუქმების შემდეგ იწყება დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის ისტორია საქართველოში.

პოსტ-საბჭოთა საქართველოს მონეტარული პოლიტიკა. 1993 წლის 3 აგვისტომდე, საქართველოში ოფიციალური ფულადი ერთეული იყო საბჭოთა მანეთი. მას შემდეგ რაც რუსეთმა უარი განაცხადა სამანეთო ზონაში მყოფი საქართველოსათ-

ვის ფულის მიწოდებაზე, 1993 წლის 7 აპრილს მიმოქცევაში შემოვიდა სუროგატული ფულადი ნიშანი კუპონი, თუმცა საბუღალტრო აღრიცხვა, გადასახადების აკრეფა, ბიუჯეტის ფორმირება ხდებოდა საბჭოთა მანეთში. რუსეთის მიერ სამანეთო ზონის დატოვებისა და საკუთარი ვალუტის, რუსული რუბლის შემოღების შემდეგ 1993 წლის 3 აგვისტოს, პარალელური ნაღდი ფულის ნიშანი კუპონი გამოცხადდა ერთადერთ კანონიერ გადახდის საშუალებად მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა პირველი და უმძიმესი კრახი დამოუკიდებელი საქართველოს მონეტარული პოლიტიკის ისტორიაში. იხ. ნახაზი 1.

1994 წლის 15 დეკემბერს, საქართველომ მიიღო ფინანსური დახმარება 44 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ე.წ სტრუქტურული გარდაქმნის ხელშეწყობის (STF) კრედიტის სახით და დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა. მეორე ე.წ. (stand by) კრედიტი 113 მილიონი დოლარის ოდენობით გამოყოფილ იქნა 1995 წლის 28 ივნისს., იმავე დღეს კვლავ დამტკიცდა ახალი SFT სესხი 44 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ამ რესურსების საფუძველზე შეიქმნა ეროვნული ბანკის რეზერვები.

ნახაზი 1. კუპონის კურსი აშშ დოლართან



წყარო: 24saati.ge

შემდეგ პერიოდში კუპონმა დაიწყო გამყარება და მომდევნო 10 თვის განმავლობაში კურსი შენარჩუნდა უცვლელად 1 აშშ დოლარი = 1,3 მლნ კუპონი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა კუპონის დენომინაცია და ახალი ფულადი ნიშანის ლარის შემოღება, რომელიც 1995 წლის 2 ოქტომბრიდან წარმოადგენს გადახდის ერთადერთ კანონიერ საშულებას ქვეყნის მასშტაბით. [2]

ლარის შემოღებამ და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კოორდინირებულმა მუშაობამ პოზიტიური ნაყოფი გამოიღო. უპირველეს ყოლისა უნდა აღინიშნოს ფასების სტაბილურობა, რაც სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს ერთერთ ფუნდამენტს წარმოადგენს. იხ. დიაგრამა N2.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კუპონის პერიოდის მაკროეკონომიკური გარემოსათვის, 50%-70%-იანი თვიური ინფლაცია წარმოადგენდა გადაულახავ დაბრკოლებას, რაც ეკონომიკური განვითარების ყოველგვარ მუხტს ჩანასახშივე სპობდა. 2001 წლიდან დღემდე წლიური ინფლაციის მაჩვენებელი (თუ 2008 წელს არ ჩავთვლით გასაგები მიზეზების გამო) ერთნიშნა რიცხვს არ გასცდენია. უფრო

მეტიც 2013-2014 წლებში, არათუ ინფლაცია, არამeდ 0,9% და 0,5% პროცენტიანი დეფლაციაც კი დაფიქსირდა. ინფლაციასთან დაკავშირებული 90-იანი წლების შოკები უკვე კარგა ხანია აღარ გვხვდება საქართველოს მაკროეკონომიკურ რეალობაში, თუმცა 90-იანების ეს კოშმარი უკვალოდ არ გაქრა და ისიც განეკუთვნება ერთ-ერთ უმთავრესს იმ მიზეზთაგან, რომელთა გავლენის შედეგად მიღებული ფენომენის „დოლარიზაციის" მიმართ დეკლარირებული ომი აქვს გამოცხადებული საქართველოს ეროვნულ ბანკს.

მიუხედავად იმისა, რომ ლარის სავალუტო სისტემამ წარმატებით გაართვა თავი ფასების სტაბილურობის ამოცანას, 2003-2015 წლებში კომერციული ბანკების მიმართ არსებული საკრედიტო ვალდებულების საშუალო მაჩვენებელი 72,8 %-ს შეადგენს. აღნიშნულ პერიოდში, მოცემული პარამეტრის პიკი დაფიქსირდა 2004 წელს 87,43% და მინიმუმი 2014 წელს 61.02%. უნდა შევნიშნოთ, რომ 2004 წლის სესხების „დოლარიზაციის" მაჩვენებელმა ორჯერ შეიცვალა მიმართულება, პირველად 2008-2009 წლებში და მეორედ 2014-2015 წლებში. პირველ ცვლილება ემთხვევა „აგვისტოს ომს", ხოლო მეორე ეროვნული ვალუტის მკვეთრ 28%-იან დევალვაციას აშშ დოლართან მიმართებაში. იხ. ნახაზი 3.

მოკლედ, მნიშნელოვანი საფრთხეების გამოჩენისთანავე კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა შეიცვალა „დოლარიზაციის" სასარგებლოდ და ეს ბუნებრივია, სავალუტო რისკების ჰეჯირების მიზნებიდან გამომდინარე. მოკლევადიან პერიოდში გამოვლენილი მსგავსი ელასტიურობა სავალუტო რისკების მიმართ გვაფიქრებინებს, რომ ზემოაღნიშნული ორი ფაქტის გარდა სხვა შემთხვევებშიც დაფიქსირებული დოლარის დომინანტური პოზიციები დაკრედიტების მოცულობებში გამოწვეულია საკრედიტო სუბიექტების მხრიდან ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მაღალი რისკის ჯგუფში განთავსებით. რაც ასევე ნათლად ჩანს საკრედიტო პროდუქტების ფასებს შორის არსებულ განსხვავებებში ვალუტების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ 2005-2012 წლების პერიოდში ლარის

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში სტაბილური იყო (იხ. ნახაზი 5). კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის „დოლარიზაცია“ მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, რაც გვაფიქრებინებს, რომ კომერციული ბანკებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობა არ მიიჩნიეს ფუნდამენტური ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების პროდუქტად და საკრედიტო პორტფელის „ლარიზაციის“ მიმართ სიფრთხილისა და თავშეკავების პოზიციაში დარჩნენ.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მიხედვით. 2001-2015 წლებში კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების 69,2% საშუალოდ უცხოურ ვალუტაზე მოდიოდა. პიკი დაფიქსირდა 2003 წელს, როცა ზემოაღნიშნულმა პარამეტრმა 86,43% მიაღწია, ხოლო მინიმუმ დაფიქსირდა 2013 წელს - 55,67%. 2003 წლიდან 2015 წლის ჩათვლით (მსგავსად კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელისა) დეპოზიტების „დოლარიზაციის“ მაჩვენებელმა ორჯერ შეიცვალა მიმართულება, პირველად 2007-2008 წლებში და მეორედ 2014-2015 წლებში. პირველ





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცვლილება ემთხვევა „აგვისტოს ომს“, ხოლო მეორე ეროვნული ვალუტის მკვეთრ 28%-იან დევალვაციას აშშ დოლართან მიმართებაში. იხ. ნახაზი 4.

მსგავსად კომერციული ბანკებისა, დანაზოგების მფლობელთათვისაც ეროვნული ვალუტა მარალი რისკის ჯგუფს

განეკუთვნება და ზოგადი უნდობლობის პარალელურად მყისიერად აძლიერებს დანაზოგების „დოლარიზაციის“ პროცესს, როგორც კი ვალუტის სტაბილურობაზე შესაძლო გავლენის მქონე ნეგატიური ფაქტორის შესახებ მიღებს ინფორმაციას.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა ლარის დევალვაციამ აშშ დოლარის მიმართ. აღნიშნულმა არასტაბილურობამ მნიშვნელოვნად დააზიანა არა მხოლოდ მაკროეკონომიკური გარემო. განსაკუთრებული პრობლემები შეექმნათ აშშ დოლარში აღებულ სესხების მომსახურების პროცესს და მნიშვნელოვნად გააუარესა სოციალური ფონი.

2001-2003 წლებში 1 აშშ დოლარის ღირებულება საშუალოდ შეადგენდა 2,08 ლარს, 2004-2012 წლებში - 1,71, ხოლო 2013-2015 წლებში - 2 ლარს. თუ 2016 წლის ნოემბრის თვის ტენდენციას გავითვალისწინებთ (15.10.2016 – 1 აშშ დოლარი=2,49 ლარს) აშკარაა, რომ ზემოაღნიშნული ნეგატიური ტენდენცია უფრო დამძიმდა. იხ. ნახაზი 5.

საქართველოს სავალუტო სისტემის პერსპექტივები. პოსტ-საბჭოთა საქართველოს მონეტარული ცხოვრება პერმანენტულად და მორიგეობით დგას ინფლაციის, „დოლარიზაციის“, დევალვაციის და სხვა გამოწვევების წინაში. მოკლედ, კუპონისგან განსხვავებით ლარის სავალუტო სისტემა ფასების სტაბილურობის ამოცანას თავს უკეთ ართმევს (ჯერჯერობით მაინც), თუმცა კომერციული ბანკები და მეანაბრეები სანახევროდაც კი არ ენდობიან ეროვნულ ვალუტას, მისი წილი როგორც დეპოზიტებში ასევე საკრედიტო პორტფელში 50%-საც ვერ აღწევს. შესაბამისად ბუნებრივია ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც საქართველოს მონეტარული სისტემის განვითარების მიმართულებებთან დაკავშირებით გაჩნდა და რომლებიც 3 ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

- რეგულაციები ვალუტის კურსის რყევების დიაპაზონის შესამცირებლად;
- სტრუქტურული რეფორმები ეკონომიკის ზრდის ტემპის ორნიშნა მაჩვენებლის მისაღწევად;
- თავისუფალ სავალუტო რეჟიმზე გადასვლა.

ვალუტის კურსის რყევების დიაპაზონის შესამცირებლად რეგულაციების შემოღება ეს კარგად ნაცნობი და არასასურველი შედეგების მქონე ისტორიაა. მისი გამოყენება რეალური სურათის შესაფუთად უფრო გამოდგება ვიდრე რაიმე არსებითი ცვლილებებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას წარმატებით მიაღწევდა ვენესუელაც, რომელიც რეგულაციების მთელი ასორტიმენტის მიუხედავად მწვავე სავალუტო კრიზისში იმყოფება. ოფიციალური გაცვლითი კურსი კი აშშ დოლართან მიმართებაში 5-6 ჯერ უფრო ნაკლებია ვიდრე შავ ბაზარზე დადგენილი კურსი. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

სტრუქტურული რეფორმები და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სახელწმიფოს პერმანენტული გამოწვევაა და მისი პირდაპირი დაკავშირება ეროვნული ვალუტის კურსთან არამართებული. ცხადია ეკონომიკური ზრდა და ექსპორტი ეროვნული ვალუტის კურსზე დადებითად ზემოქმედებენ, მაგრამ ვალუტა (ზოგადად ფულის) თვითონ უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის მომსახურე ინსტრუმენტი (კატალიზატორი) და არა პირიქით. ვალუტა არსებობს ეკონომიკისათვის და არა ეკონომიკა ვალუტისათვის, ეს ფუნდამენტური კატეგორიების არევაა. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და რეფორმები სახელწმიფოს ვალდებულებაა მიუხედავად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსისა.

მონეტარული ნეიტრალიტეტის იდეამ საქართველოში მიიღო დოლარის გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებად ლეგალიზაციის სახე. იმ დონემდეც კი, რომ საუბარია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების აშშ დოლარში ანაზღაურებაზე. უამრავი კონტრ არგუმენტის მოყვანა შეიძლება, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ და კულტურულ კატეგორიებზე, თუმცა ჩემს მიზანს საფინანსო სფეროში არსებული იდეების კულტურულ სიბრტყეში განხილვა არ წარმოადგენს. უპრიანია მოცემული იდეა, სუფთად ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით შევაფასოთ.

1959 წლის ოქტომბერში, იელის უნივერსიტეტის პროფესო-

რი წარსდგა კონგრესის გაერთიანებული კომიტეტის სხდომაზე მოხსენებით და დამსწრეებს აუწყა, რომ ბრეტონ ვუდის სავალუტო სისტემა განწირული იყო კრახისათვის. ეს გახლდათ ბელგიური წარმოშობის ეკონომისტი, რობერტ ტრიფინი და მისი შეფასებების ჭეშმარიტება უკვე დადასტურდა 1971 წელს აღნიშნული სავალუტო სისტემის კოლაფსით. თუმცა პრობლემა, რომლის შესახებაც პროფესორი ტრიფინი საუბრობდა აშშ-ის როგორც დოლარის სავალუტო სისტემის მქონე ეკონომიკისათვის კვლავ უცვლელია.

აშშ დოლარი წარმოადგენდა (დღესაც წარმოადგენს) სარეზერვო ვალუტას. ფორექსზე დადებული სავალუტო გარიგებების 85% ფიგურირებს აშშ დოლარი, მსოფლიოს მასშტაბით რეზერვების 63,4% ამ ვალუტაშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგების სალიკვიდაციოდ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ რაოდენობრივი შერბილების 4 პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 4,5 ტრილიონი დოლარის ფასიანი ქაღალდების შეძენა განახორციელა (პროგრამის მასშტაბებისათვის ხაზგასმის მიზნით შეიძლება აღინიშნოს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბალანსი 2008 წლის ჩათვლით 1 ტრილიონ დოლარზე ნაკლებს შეადგენდა) დოლარის კურსი სხვა ვალუტებთან მიმართებაში არ განიცდის დევალვაციას. ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემის კოლაფსის მიუხედავად ეს ვალუტა კვლავ ინარჩუნებს გლობალურ როლსა და ფუნქციებს.

აშშ დოლარის ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე მისი გაცვლითი კურსი სტაბილურობა წარმოადგენს პერმანენტულ მოვლენას. ტრიფინის პარადოქსის მიხედვით, ეს ფაქტი დოლარის სავალუტო სისტემის მქონე ეკონომიკის საექსპორტო წარმოებასა და პროდუქციას ხდის ნაკლებად კონკურენტუნარიანს, რაც ღია ეკონომიკის პირობებში იწვევს პერმანენტულ სავაჭრო დეფიციტისათვის. იგივე ბედს გაიზიარებს დოლარის სავალუტო სისტემის მიმღები ნებისმიერი ეკონომიკა იმ განსხვავებით, რომ მას არ შეეძლება ფედერალური სარეზერვო სისტემისაგან მიიღოს რაიმე ტიპის მხარდაჭერა.

აღსანიშნავია ის აშკარა ფაქტი, რომ მსოფლიოს ყველა ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა სავალუტო მანიპულაციების გზით ახდენს საკუთარი ვალუტის კურსის დევალვაციას აშშ დოლართან, რათა ხელი შეუწყოს ექსპორტს.

ტრიფინის პარადოქსი ერთერთია იმ ეკონომიკურ მიზეზებს შორის, რომელიც დოლარის სავალუტო სისტემაზე გადასვლას ხდის არარელევანტურს არსებულ მოცემულობაში.

სავალუტო ნეიტრალიტეტის იდეას ვხვდებით ნობელის პრემიის ლაურიატის და ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთერთი ლიდერის ფრიდრიხ ჰაიეკის 1976 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში Choice in Currency (A way to stop inflation). ნაშრომის მთავარი იდეა ნათლად ჩანს ნაშრომის ორ აბზაცში რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ:

„მე არ მჯერა, რომ სავალუტო სისტემის არსებული მოდელი შეგვიძლია შევცვალოთ ახალი მონეტარული წესრიგის საშუალებით, იქნება ეს ახალი მონეტარული ხელისუფლება თუ ინსტიტუტი, ან საერთაშორისო შეთანხმება გარკვეული სისტემის თუ პოლიტიკის ადაპტირების მიზნით, ისეთის როგორიცაა კლასიკური ოქროს სტანდარტი. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნებისმიერი მცდელობა საერთაშორისო შეთანხმებით აღვადგინოთ ოქროს სტანდარტი მოკლევადიან პერიოდშივე განწირული კრახისთვის და მოახდენს ოქროს სტანდარტის დისკრედიტაციას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. საზოგადოების უდიდესი ნაწილის დარწმუნების გარეშე, რომ ჩვენ გვჭირდება დაუყოვნებლივი და მტკივნეული ცვლილებები რათა შევინარჩუნოთ სტაბილურობა, არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ რომელიმე ძალაუფლება, რომელსაც აქვს უნარი განსაზღვროს ფულის რაოდენობა დიდი ხნით გაუძლებს იაფი ფულის ცდუნებას.“

„საუკეთესო რაც მიმდინარე ეტაპზე შეიძლება ვურჩიოთ მთავრობებს, ვთქვათ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების წევრებს, ან უფრო უმჯობესია ატლანტიკური გაერთინების წევრებს, რომ საკუთარი სახელწმიფოს ტერიტორიაზე არ შეზღუდონ წევრი ქვეყნების ან სხვა ნებისმიერი ვალუტის გამო-

ყენება. სწორედ ეს და არა უტოპიური ევროპული მონეტარული გაერთიანება მიმაჩნია სასურველ მიზნად.“[3]

ჰაიეკს მიაჩნდა, რომ თუკი ადამიანებს მივცემთ საშუალებას თავად აირჩიონ რას გამოიყენებენ გაცვლის საშულებად საბოლოო ჯამში საზოგადოება თავად აღადგენს ოქროს სტანდარტს ყოველგვარი იძულების გარეშე.

მისი ეს შეხედულება ემყარებოდა მტკიცე ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც თავის მხრივ ნათლად აჩვენა ასევე ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთერთმა ლიდერმა როთბარდმა: „გაცვლის საშუალების კუმულატიური ტიპის ევოლუცია არის განვითარების ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლებოდა ფულის წარმოშობა მომხდარიყო. ფული ვერ შეიქმნებოდა ვინმეს კერძო გადაწყვეტილებით უსარგებლო სუბსტანცია გამოეცხადებინა ფულად, ვერც სახელწმიფოს მხრიდან ქაღალდის მცირე ნაწილისათვის ფულად მოხსენიებით გაჩნდებოდა ფული. აქედან კი შეგვიძლია გამოვიტანოთ ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა: ფული არის საქონელი.“ [4]

მონეტარული ნეიტრალიტეტის იდეის მიზანს წარმოადგენდა ოქროს სტანდარტის აღდგენა და იგი არ იყო ერთი ვალუტის მეორე ვალუტით ჩანაცვლების რეკომენდაცია, როგორი სახეც ამ იდეამ ჩვენს პოლიტიკურ და მედია სივრცეში მიიღო.

მნიშნელოვან კითხვებს ბადებს ეროვნული ბანკის „ლარიზაციის“ პოლიტიკა, რომელიც ერთის მხრივ დეკლარირებულ ომს ეწევა „დოლარიზაციის“ წინააღმდეგ მაშინ, როცა წმინდა მოგების გაზრდის მიზნით ოქროს რეზერვები მთლიანად უცხოური ვალუტით რეზერვებით ჩაანაცვლა. ლარი, რომელიც „უზრუნველყოფილია“ დოლარით, როგორ ეხმარება „ლარიზაციის“ პროცესს ალბათ დრო გვაჩვენებს.

დასკვნა

თუ ჩვენ მზად ვართ რადიკალური და არა პოპულისტური ცვლილებებისთვის, მაშინ გვაქვს ორი რეალური ალტერნატივა:

1) ოქროს სტანდარტი. დეპოზიტების „დოლარიზაციის“ პროცესში დანაზოგების მფლობელთა სურვილი სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, ისევე როგორც კომერციული ბანკების მოტივები საკრედიტო პორტფელი „დოლარიზაციასთან“ მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ სტაბილური გაცვლითი კურსისა და ორნიშნა ეკონიმიკური ზრდის პირობებშიც კი „დოლარიზაციის“ მაჩვენებელი არ შემცირებულა მნიშვნელოვნად. (იხ. ნახაზები 3-4.) „დოლარიზაცია“ რეზისტენტული აღმოჩნდა სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და სტაბილური გაცვლითი კურსების მიმართ, რაც ლოგიკურია. ისეთი მცირე ეკონომიკური მასშტაბისა და ახალგაზრდა დემოკრატიის მქონე სახელწმიფოსათვის, რომელის ტერიტორიების 20%-ზე მეტი ანექსირებულია, არ გააჩნია სტრატეგიულად მნიშნელოვანი ბუნებრივი და ტექნოლოგიური რესურსები. ეს მოსალოდნელიც იყო. ამ და სხვა ფუნდამენტური ფაქტორების მოკლევადიან პერიოდში აღმოფხვრა ვერ მოხერხდება, რიგ შემთხვევებში გლობალური ბიზნესის ციკლის რეცესიული ბუნების გამოც. შესაბამისად აუცილებელია სხვა ფაქტორი, რომელიც ეროვნული ვალუტის მიმართ გააჩენს უფრო მეტ საიმედოობას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. გამოგვადგება თუ გავიხსენებთ, ერთ აქსიომატურ ჭეშმარიტებას, როდესაც იზრდება რისკი საფონდო ბირჟებზე პროპორციულად იზრდება ოქროს ფასი და ამ ფაქტს თავისი ურყევი ფუნდამენტი გააჩნია. როგორც გენიალური ლუდვიგ ფონ მიზესი აღნიშნავს: ოქროს სტანდარტი საბაზრო ფენომენია და შესაბამისად საზოგადოებრივი ინსტიტუტი. მისი შენარჩუნება არ საჭიროებს რაიმე დამატებით წესებსა და რეგულაციებს. [5]

ოქროზე, როგროც გაცვლის უალტერნატივო საშულებაზე კაცობრიობა გაცვლის პროცესის ევოლუციური განვითარების გზით (და არა ინსტიტუციების მიერ გამოცემული ნორმებით) მივიდა და სწორედ ამიტომ უპირობო ნდობით სარგებლობს. საბაზრო არასტაბილურობის შემთხვევაში სწორედ ის წარმოადგენს ინვესტიციების უსაფრთხო ნავსაყუდელს. სწორედ მას შეუძლია გახადოს ლარი უფრო მიმზიდველი ნებისმიერ უცხო-

ურ ვალუტასთან მიმართებაში, თუმცა იგი ასევე გულისხმობს უარის თქმას მონეტარულ ინფლაციაზე.

2) კრიპტო ვალუტა. კრიპტო ვალუტა წარმოადგენს სავალუტო სისტემათა ევოლუციის უახლოეს პერსპექტივას. შესაბამისად, არსებული სავალუტო სისტემის რეალურ ალტერნატივას წარმოადგენს ბიტკოინის ტიპის კრიპტო ვალუტა, რომლის მოდიფიკაციის შემთხვევაშიც სახელწმიფოს როლი მონეტარულ სისტემაში შემოისაზღვრება საკუთრების უფლების აღრიცხვისა და დაცვის ფუნქციით, ისევე როგორც უძრავ მოძრავი ქონების შემთხევაში ამას აკეთებს საჯარო რეესტრი. გარდა ელექტრონული ფორმისა კრიპტო ვალუტას აქვს რიგი მნიშნელოვანი უპირატესობები:

- ემისია - ბიტკოინის სავალუტო სისტემაში, ახალი ბიტკოინების ემისია ხორციელდება ე.წ. „მაინინგის“ გზით, ყოველ 10 წუთში ხელმისაწვდომია 25 ბიტკოინი. ყოველ ოთხ წელიწადში ემისიის აღნიშული ტემპი განახევრდება.
- შეზღუდული რაოდენობა - ბიტკოინების საბოლოო რაოდენობა შემოსაზღვრულია 21 მლნ ბიტკოინით. მისი შემოსაზღვრული ბუნებით იგი გავს ოქროს და დაზღვეულია მონეტარული ინფლაციისაგან, რაც მის მიმართ ნდობას მკვეთრად ზრდის, ხოლო ბიზნეს გარემოს მკვეთრად აუმჯობესებს.
- ელასტიურობა - ოქროსაგან განსხვავებით ბიტკოინის ნებისმიერი ერთეულის ნებისმიერი რაოდენობით დანაწევრებაა შესაძლებელი, რაც ფასებს მაქსიმალურად ელასტიურს ხდის. შესაბამისად არ არსებობს ვაჭრობის ხელშეწყობისა და დაჩქარების მიზნით მონეტარული ინფლაციის აუცილებლობა.
- ტრანზაქციული დანახარჯები - დღეს ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ვაჭრობა რთული, ხარჯიანი და გრძელვადიანი პროცესია. ამიტომ მათ აქვთ მსხვილი ბექ-ოფისები. კრიპტო ვალუტის შემთხვევაში ეს დანახარჯები მინიმუმამდე დადის. თუ ტრანზაქციების საერთო მოცულობებს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს დანახარჯები საერთოდ არ იქნება მისაღები მხედველობაში.

ზემოაღნიშნულ გარემოებებს ისიც ემატება, რომ ამ ბიტ-კოინის მაინინგის მიმართულებით საქართველო ერთერთი ლიდერია მსოფლიოში. 2014 წელს თანაინვესტირების ფონდის დაფინანსებით კომპანია „ბიტფურიმ“ კრიპტოვალუტის საპ-როცესინგო დატა-ცენტრი აამოქმედა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **თ. დუნდუა** - ქართული ფულის ისტორია resonansdaily. com 28 / 03 / 2010
2. **რ. გოცირიძე** - ლარის 20 წლის იუბილით წარსული არ უნდა გავაყალბოთ და ეს არც ძველი ცოდვების ჩამოსარეცხად უნდა იქნას გამოყენებული, 24saati.ge
3. F. A. Hayek - Choice in Currency, The Institute Of Economic Affairs, 1976, pp15
4. Murray N. Rothbard - „What Has Government Done to Our Money” . Ludwig von Mises Institute, fifth edition
5. ludvig Von Mises - The Theory of Money, Yalle University Press, I953

REFFERENCES:

1. T. Dondua – „History of Georgian Money”. resonansdaily. com 28 / 03 / 2010
2. R.Gotsiridze - „We Should Not Use GEL 20 anniversary for Rigging the History”, 24saati.ge
3. F. A. Hayek - Choice in Currency, The Institute Of Economic Affairs, 1976, pp15
4. Murray N. Rothbard - „What Has Government Done to Our Money” . Ludwig von Mises Institute, fifth edition
5. ludvig Von Mises - The Theory of Money, Yalle University Press, I953

THE PERSPECTIVES OF GEORGIAN MONETARY SYSTEM

Mirza Khidasheli,
Doctor of Business Administration
Associate Professor of Kutaisi University

RESUME

„Put not your trust in money, but put your money in trust"- O.W. HOLMES. Above mentioned quote is a figurative explanation of current problems of Georgian national currency. First phase of evolution of the national currency system simply could be assessed as a predictable collapse. In 1995 created Georgian Lari was a successful change for price stability, but GEL positions in deposits and credits markets are still weak. These research is devoted to find the fundamental problems and solutions to overcome the dollarization.

Keywords: Monetary Policy, Gold Standard, Crypto Currency.

საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვის ოპტიმიზაცია

ხათუნა შალამბერიძე
ედ., აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება სახელმწიფო ვალის საკითხი, რადგან ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო ვალის აღების ტენდენცია მზარდია. ზოგიერთი ქვეყნის დავალიანება სცდება ზღვარს, რომლის აღება ქვეყნისთვის სახიფათოდ არის მიჩნეული. მათ შორის, ისეთი ქვეყნებიც არიან, როგორიცაა აშშ და იაპონია. თუმცა ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ დიდ ვალს მოემსახურონ და, ამავე დროს, სხვა ქვეყნებსაც გაუწიონ ფინანსური დახმარება.

მსოფლიო მასშტაბით საქართველო საშუალო დავალიანების მქონე ქვეყანაა და არ დგას გადახდისუუნარობის წინაშე, მაგრამ ვალის საკითხი ყოველთვის აქტუალურია, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ: ვალი წლიდან წლამდე იზრდება და ვალის მომსახურება (ძირისა და პროცენტის დაფარვა) ძვირია.

საკვანძო სიტყვები: ვალის განსაზღვრის ინდიკატორები; ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა; სტრატეგიულ ღონისძიებათა პაკეტები; ვალის პორტფელი; ვალის ოპტიმალურობა.

შესავალი

სახელმწიფო ვალი, როგორც ვიცით, საგარეო და საშინაო ვალისაგან შედგება. საგარეო ვალი მთავრობისა და ეროვნული ბანკის საგარეო ვალს მოიცავს, ხოლო საშინაო - სახაზინო და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს: სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, სახელმწიფო ობლიგაციები სებ-ისთვის. სახელმწიფო ვალის სიდიდის განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები: ვალის

ბიუჯეტის შემოსავლებთან, ექსპორტთან და მშპ-სთან პროცენტული თანაფარდობა. ყველა ამ კრიტერიუმს თავისი ზღვარი აქვს და საბოლოოდ სამივე ერთად ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობას გვიჩვენებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ინდიკატორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ვალის ნომინალურ მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელია. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ არის ცნობილი, ვალის მდგრადობის შესანარჩუნებლად განვითარებული ქვეყნებისთვის ვალი მშპ-სთან 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის 40-50%-ს.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონპროექტს თან ერთვის ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტი. მოცემული დოკუმენტით გაანალიზებულია მთავრობის ვალის მდგომარეობა საშუალოვადიან პერიოდში (2016-2020 წლებში), როგორც საბაზისო სცენართან მიმართებაში, ასევე სხვადასხვა მაკროეკონომიკური შოკების გათვალისწინებით. ანალიზის პროცესში გამოყენებული მოდელი ეფუძნება დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილ სახელმწიფო ვალის მდგრადობის მოდელს. ანალიზის პროცესში განხილულია პირველადი დეფიციტისა და რეალური საპროცენტო განაკვეთის პერმანენტული (საშუალოვადიანი პერიოდისათვის), ხოლო რეალური მშპ-ის ზრდისა და ნომინალური გაცვლითი კურსის ერთჯერადი შოკების ეფექტი მთავრობის ვალის მდგრადობაზე.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 15,403.1 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2016 წლის დაგეგმილ მაჩვენებელს 827.6 მლნ ლარით (6.0%) აღემატება. სახელმწიფო ვალის მოცემული საპროგნოზო მოცულობა ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს. 2016 წლის ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილი მონაცემებით,

წლის ბოლოს სახელმწიფო ვალი მშპ-ს 42.6%-ს გაუტოლდება, ხოლო 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებელი 42.1%-ს შეადგენს. შედეგად, 2017 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ვალის ტვირთის ინდიკატორის (ვალი/მშპ) 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირება. თუმცა საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში კვლავ გადააჭარბებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ით დადგენილ 40%-იან ნიშნულს.

სახელმწიფო ვალის პორტფელში იზრდება საშინაო ვალის წილი, რომლის ზღვრული მოცულობაც კანონპროექტით 3,262.7 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. სხვადასხვა ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ხარჯზე იგეგმება საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) 300 მლნ ლარით (სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია 1,155 მლნ ლარი; დაფარვა 855.0 მლნ ლარი), რაც 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე 100 მლნ ლარით მეტია.

საშინაო ვალთან დაკავშირებით, საყურადღებოა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების კუთხით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, 2016 წელს კაპიტალის ბაზრის განვითარების სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა და საქართველოს მთავრობამ მოიწონა „საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“. აღნიშნული სტრატეგიის დოკუმენტში განხილულია, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმა) და მოცემულია საშუალოვადიან პერიოდში (2016-2017წწ) მისაღწევი შედეგების გაზომვის ინდიკატორები. დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით 2016-2017 წლებში სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებებიც:

პირველ ღონისძიებასთან დაკავშირებით, 2016 წლის 22

ივნისს განხორციელდა ცვლილება საქართველოს კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ერთ-ერთ მიზნობრიობად განისაზღვრა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. ამასთანავე, კანონში განხორციელებული ცვლილებებით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოყენება წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მიზნისათვის. აღნიშნული კი, მაგალითად, შეუძლებელს ხდის დადგინდეს ბაზრის განვითარებისათვის გამოშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული სახსრების გამოყენების ეფექტიანობა ანუ რამდენად დადებითად იმოქმედა აღნიშნული მიზნობრიობით გამოშვებულმა ფასიანმა ქაღალდებმა ბაზრის განვითარებაზე, მაშინ როდესაც მობილიზებული სახსრების გამოყენება შესაძლებელია ბიუჯეტით განსაზღვრული ნებისმიერი მიზნისათვის. გამომდინარე აქედან, რთულია განისაზღვროს ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება მოცემული ღონისძიების ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე ზეგავლენის შეფასება.

მეორე ღონისძიებას, 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, მოსალოდნელ მშპ-თან მიმართებაში ფასიანი ქაღალდების მოცულობა 6.8%-ს შეადგენს და ამ ეტაპზე ჩამორჩება სტრატეგიით დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელს (10%). აღნიშნული ინდიკატორი მიზნობრივ მაჩვენებელს ასევე ჩამორჩება 2016 წლის ბიუჯეტის კანონითა და 2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით მოცემული მონაცემებით გათვალისწინებითაც. აღნიშნულის შედეგად, მიზანშეწონილია, 2017 წლის ბიუჯეტში მხედველობაში იქნეს მიღებული სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული სამოქმედო გეგმა ან/და წინააღმდეგ შემთხვევაში, განხორციელდეს სამოქმედო გეგმის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობა.

მესამე ღონისძიების შესრულების მიზნობრივ თარიღად მიმდინარე წლის I კვარტალი განისაზღვრა, თუმცა არსებული მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის

დოკუმენტის გამოქვეყნება არ მომხდარა. სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის მნიშვნელობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ყურადღება გამახვილდა, სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში" და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის აუცილებლობაზე ასევე ყურადღებაა გამახვილებული „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის" დოკუმენტშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ვალის მართვის სტრატეგიის არსებობა მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პროგნოზირებადობის უზრუნველსაყოფად და ბაზრის მონაწილეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, შემუშავდეს და გამოქვეყნდეს სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება სხვა პარალელურად მოქმედ სტრატეგიულ დოკუმენტებთან. საყურადღებოა, რომ კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაში მოცემული სამოქმედო ღონისძიებების 2017 წლის ბიუჯეტის კანონში გათვალისწინების შესახებ, არაფერია ნათქვამი 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის წარმოდგენილ ვარიანტში.

საგარეო წყაროებიდან, კერძოდ მრავალმხრივი თუ ორმხრივი კრედიტორებისაგან მისაღები ფულადი სახსრების მოცულობა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 12.9%- ს უტოლდება. საგარეო ვალდებულებების ზრდის მხრივ 2017 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტი ითვალისწინებს 1,360 მლნ ლარის მობილიზებას. აღნიშნული მაჩვენებელი 285 მლნ ლარით აღემატება მიმდინარე წლისათვის არსებულ გეგმურ მაჩვენებელს. საგარეო წყაროებიდან დაგეგმილი მისაღები ფინანსური რესურსის 66.2% განკუთვნილი იქნება საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. 2017 წელს იგეგმება 900 მლნ ლარის ოდენობის საინვესტიციო სესხების მობილიზება, რაც მიმდინარე წლის გეგმას დაახლოებით 220 მლნ ლარით (32%-ით) აღემატება. კანონპროექტით გათვალისწინებულია

ხუთი ახალი საინვესტიციო პროექტის დაწყება. დასაფინანსებელი სფეროების მხრივ პრიორიტეტი კვლავ უცვლელი რჩება და გამოყოფილი საკრედიტო რესურსიდან უდიდესი ნაწილი (69%) კვლავ მიმართული იქნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში.

რაც შეეხება ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით მათი მოცულობა 2016 წლის გეგმასთან შედარებით 65 მლნ ლარითაა გაზრდილი და 2017 წელს დაგეგმილია აღნიშნული მიზნობრიობის 460 მლნ ლარის საერთო მოცულობის კრედიტის აღება. თუკი, დაგეგმილი საინვესტიციო სესხების მოცულობები სტაბილურობით ხასიათდებიან წლების განმავლობაში, იგივეს ვერ ვიტყვით, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების შემთხვევაში. კერძოდ, ამ მიმართულებით 2017 წლისათვის დაგეგმილი მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად აღემატება 2012-2013 წლების ფაქტიურ მოცულობებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის „ვალდებულებების კლების“ მუხლით გასაწევი გადასახდელების მოცულობა მიმდინარე წლისთვის დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 55.8 მლნ ლარითაა გაზრდილი. აღნიშნული, ძირითადად საგარეო ვალდებულებების გაზრდილი მოცულობით დაფარვითაა განპირობებული. მაგრამ, რაც შეეხება საპროცენტო ხარჯების დაფარვას, 2017 წლის განმავლობაში, იგი უნდა ითვალისწინებდეს 23.7 მლნ ლარით ნაკლები საპროცენტო ხარჯის გაწევას.

დასკვნა

ამრიგად, გამოირკვა, რომ წელს მისაღები საგარეო საკრედიტო რესურსის უდიდესი ნაწილი საინვესტიციო მიზნობრიობისაა და ვინაიდან, საინვესტიციო პროექტების განხორციელების მხრივ კვლავ არსებობს სისტემური ხასიათის პრობლემები, მნიშვნელოვანია შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ გამოყოფილი სესხების დროული და ეფექტიანი ათვისება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სესხზე ვალდებულების გადასახადით

გაწეული დამატებითი ხარჯებისა და დროში გაწელილი ან/და დაუსრულებელი პროექტების რაოდენობის ზრდა.

როგორც საკითხის ანალიზიდან გამოვლინდა, საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგომარეობა საგანგაშო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას დაგეგმილი აქვს ვალის აღება, ის მდგრადობას მაინც ინარჩუნებს. როგორც „საქართველოს ეკონომიკურ აქტში“ წარმოდგენილი ლიმიტებით, ასევე მსოფლიო სავალუტო ფონდის კრიტერიუმებითაც. მნიშვნელოვანია, მუდმივად არ შენარჩუნდეს ვალის აღების ზრდის ტემპი. რაც შეეხება, გადახდისუნარიანობას, საქართველო ერთ ათეულ წელზე მეტია უმეტესწილად დროულად ასრულებს ვალდებულებებს. ხოლო, სამომავლოდ, ვალების მართვა დამოკიდებულია ქვეყნის ფინანსური სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და მათ ეფექტიან მენეჯმენტზე, რაც ბუნებრივია სახელმწიფო ვალის მართვის ოპტიმიზაციის რეალური გარანტი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628

2. Mishkin F. S., Monetary Policy Strategy: Lessons from the crisis, NBER Working Paper 16755, 2011.
http://www.nber.org/papers/w16755

3. სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი 2016, 2017 წ.

4. https://radio1.ge/ge/videos/view/171713.html

REFERENCES:

1. The monetary policy strategy of the National Bank of Georgia, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=628

2. Mishkin F. S., Monetary Policy Strategy: Lessons from the crisis, NBER Working Paper 16755, 2011. http://www.nber.org/papers/w16755

3. State Audit Performance Audit of 2016, 2017

4. https://radio1.ge/en/videos/view/171713.html

OPTIMIZATION OF STATE DEBT MANAGEMENT OF GEORGIA

Khatuna Shalamberidze
Academic Doctor of Economics, ATSU, Associated Professor

RESUME

In the modern world the issue of state debt is becoming more pressing, as in many countries the tendency of state debt is increasing. Some countries' debt goes beyond the limits that are considered dangerous for the country. Among them are countries such as the US and Japan. However, countries with strong economies can pay great debt and at the same time provide other countries with the financial support.

The State debt, as we know, consists of foreign and domestic debt. Foreign debt includes the external debt of the government and the National Bank, while domestic and other government securities: State Bonds for Open Market Operations, State Bonds for NBG. The following indicators are used for determination of the state debt: the percentage ratio of debt revenue, export and GDP.

Worldwide, Georgia is a country with medium debt and does not stand before insolvency, but the issue is always relevant, even for the reason that the debt is growing from year to year and the debt service (covering the bottom and interest rate) is expensive.

According to the analysis of the issue, the state of the state debt is not alarming. Despite the fact that the country is planning a debt, it still maintains a sustainability; As well as the limits presented in the „Georgian Economic Act", as well as the World Monetary Fund's criteria. It is important that the growth rate of debt is not always maintained. As for the solvency, Georgia has fulfilled obligations more than a decade in most cases. In the future, management of debt depends on the rational expenditure of the country's financial resources and their effective management, which is a real guarantee of optimizing state debt management.

Key words: Indicators of Debt Definition; Debt proximity limit; Strategic measurement packages; Debt portfolio; Debt Optimization.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში

ბენ იაკოვ რივკა
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსათვის ერთ-ერთი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და შიდა საფრთხე სიღარიბე გახდა, რომლის დონე, სიღრმე და სიმწვავე ოჯახში კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება. სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორები კი უმუშევრობა და დასაქმებიდან მიღებული მცირე შემოსავალია. შესაბამისად, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა არსებითად დამოკიდებულია დასაქმების ხელშეწყობის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებაზე, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებაზე. ყოველივე ეს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე აისახება.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, შრომის ბაზრის ფორმირება, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ცივილიზებული შრომის ბაზრისა და მისი შესატყვისი ინფრასტრუქტურის ფორმირება 1990 წლებიდან დაიწყო. მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლების მუშაობაში პირობითად შეიძლება რამდენიმე ეტაპი გამოიყოს.

პირველ ეტაპზე (1991-1993 წწ.) დაიწყო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 1991 წლის 25 ივლისს მიღებული კანონი „დასაქმების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის და უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირების თვალსაზრისით სწორი ორიენტაცია იყო აღებული, რადგან დასაქმების სახელმწიფო პო-

ლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეული იქნა:

- მოქალაქეთა შრომითი ინიციატივის მხარდაჭერა და წახალისება;
- უმუშევართა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა;
- მოქალაქის დასაქმებისათვის ხელშეწყობა, უმუშევრობის დონის მაქსიმალური შემცირება;
- დასაქმების სფეროში და სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია.

ზემოაღნიშნული კანონისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სათანადო დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ძირითადი სუბიექტები და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ორგანოები. კერძოდ, შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან შეიქმნა დასაქმების სახელმწიფო სამსახური - დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, შრომის სახელმწიფო ბირჟის, უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის სახით. დასაქმების სახელმწიფო სამსახურს დაევალა მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევართა სოციალური დაცვის სათანადო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მეორე ეტაპი (1994 წლიდან 1998 წლის პირველი ნახევარი), კვლავ ითვალისწინებდა სოციალური მხარდაჭერას. მაგრამ დასაქმების პოლიტიკა ძირითადად მაინც პასიური ხასიათის ღონისძიებებს მოიცავდა. მაგ., 1994 წლის დასაწყისიდან სექტემბრის ჩათვლით შემწეობა დაენიშნა 10 ათასამდე უმუშევარს. 1997 წლიდან დაიწყო ოჯახური დახმარებების გაცემა და ამავე წელს შემწეობის მიმღებ უმუშევართა რაოდენობამ 20.5 ათას კაცს მიაღწია. დასაქმების სახელმწიფო სამსახურს თავისი საქმიანობის მეორე ეტაპზე მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც მისი მთავარი ფუნქციაა, რაიმე ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებია. აღნიშნულ ეტაპზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, რაც გამოიხატა უმუშევართა გადამზადებაში, ინვალიდთა ოჯახებისათვის დახმარების გაცემაში.

მესამე ეტაპზე (1998-1999 წწ.) დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, დასაქმების დეპარტამენტი და პროფესიული ორიენტაციისა და მომზადება-გადამზადების ცენტრი გაერთიანდა

დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბაზაზე. ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა დასაქმების ცენტრები. რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების კოორდინაციას და დასაქმების პრობლემების გადაწყვეტას ერთიანი მიდგომის საფუძველზე. ახალმა სამსახურმა წინა პლანზე წამოწია სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციისა და ანალიტიკური დამუშავების საკითხები. ამ მიზნით შეიქმნა სტატისტიკური კვლევისა და მონიტორინგის განყოფილებები. რამდენადმე მოწესრიგდა და შედარებით სრულყოფილი გახდა რეგისტრირებულ უმუშევართა შესახებ ინფორმაცია გამოიკვეთა უმუშევართა შემადგენლობა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. პირველად დამუშავდა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა ტურიზმისა და კურორტების სფეროში და განხორციელდა ახალგაზრდა უმუშევართა გადამზადება.

მეოთხე ეტაპზე ჩამოყალიბდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი სტრუქტურა და მისი საქმიანობის ძირითად პრინციპად იქცა მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა. დაიხვეწა მიზნობრივი დაფინანსების წესი, ამაღლდა სტრუქტურული ქვედანაყოფების პასუხისმგებლობა. ფონდის საქმიანობის უმთავრეს ამოცანად დაისახა უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში სტაბილური დასაქმების მიღწევა. 2000 წლის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო უმუშევართა მომზადება-გადამზადების, დროებითი დასაქმების, თვითდასაქმებისა და სამეწარმეო ინიციატივის მხარდაჭერის პროგრამების, დროებითი სამუშაოების ორგანიზება.

მეხუთე ეტაპი უკავშირდება 2001 წლის 28 სექტემბერს „დასაქმების შესახებ“ ახალი კანონის მიღებას, რომელმაც განსაზღვრა დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. დასაქმების სფეროს რეგულირების სახელმწიფო ორგანოდ აღიარებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული კანონის 38-ე მუხლის თანახმად და საქართველოს პრეზიდენტის სათანადო ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი და შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დასაქმების სახელმწიფო სამსახური, დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობისა და უმუშევართა სოციალური დაცვის

ღონისძიებათა განხორციელების მიზნით. დასაქმების სახელმწიფო სამსახური საქმიანობას წარმართავდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლით.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რეორგანიზაციის მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი 2004 წლის ბოლოსათვის გადაიდგა ე.წ. **მეექვსე ეტაპი -** გაუქმდა დასაქმების სამსახური და მის ბაზაზე შეიქმნა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, რომლის ძირითადი მიზანი იყო დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური დახმარების ღონისძიებების გატარება.

განსაკუთრებით რადიკალური გარდაქმნებით გამოირჩევა საქართველოს შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირების შემდეგი **(მეშვიდე) ეტაპი.** მთავრობის მიერ აღებულ იქნა შრომის ბაზრის თვითრეგულირებაზე და სახელმწიფოს ჩაურევლობაზე. საქართველოს ახალი შრომის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით გაუქმდა კანონები „დასაქმების შესახებ“, „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ“, კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ, გაუქმდა „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“ და მის ნაცვლად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“. სააგენტოს საქმიანობას მთლიანად აკონტროლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამ უკანასკნელის კონტროლს ექვემდებარება კიდევ ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“/ სამინისტროს მმართველობის სფეროს დაექვემდებარა „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“, ხოლო მის სტრუქტურულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდა - „სოციალური დაცვის დეპარტამენტი“. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა: სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი; სოციალური სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავება; სოციალური დაცვის სფეროში მარეგულირებელი აქტების შემუშავების სრულყოფა და სხვა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განხორციელებული ცვლილებებისა და შრომის ბაზრის რეგულირების მცდელობის მიუხე-

დავად ქვეყანაში დასაქმების პრობლემის სიმწვავე მაინც არ შემცირებულა, კვლავ მაღალია უმუშევრობის დონე. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ბოლო ათწლეულის მონაცემებით უმუშევრობის დონის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირია (იხ. ნახ. 7):



უმუშევრობის დონე საქართველოში 2006-2015 წწ.
ნახაზი 7.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამასახური

დღეს საქართველოში დასაქმების მწვავე პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ახალგაზრდებში. ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს სტაბილური და საკმარისი შემოსავალი. ქვეყანაში გათვალისწინებული უნდა იყოს ახალგაზრდების სრულფასოვნად დასაქმება და ხელშეწყობის, რათა სურვილის შემთხვევაში საშუალება ჰქონდეთ, უმაღლესი განათლების მიღების პარალელურად, დასაქმდნენ სასურველ ადგილზე და დამსაქმებელმა გაითვალისწინოს მათთვის შეღავათიანი პირობები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური შრომის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფარესაშვილი ნ., ,,უმუშევრობა და შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოში'' (მონოგრაფია), თბ. 2009;

2. ცარციძე მ. „სამუშაო ძალის კვლავწარმოება და შრომის ანაზღაურება ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში", თბ. 1999.

3. საქართველოს „კანონი დასაქმების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. 2004 წლის 29 დეკემბერი.

4. www.geostat.ge

DEVELOPMENT AND FORMATION STAGES OF LABOUR MARKET AND EMPLOYMENT POLICY

Ben Iakov Rivka,
GTU, PhD Student

RESUME

After becoming the country independent, one of the important issue for Georgia was poverty. And the main facors connected with this issue were: Unemployment and low level of incomes. Correspondingly, as improvement of employment, implementation of the reasonable proper policy, development of labour market infrastructure and etc.

Key words: Labour Market, Formation of labour market, State Employment Policy.

ბიზნესის სოციალიზაციის მაკროეკონომიკური თავისებურებანი საქართველოში

ანზორ აბრალავა
ემდ, სტუ პროფესორი
თორნიკე გოგაძე
სტუ დოქტორანტი

შესავალი

გარდამავალ პერიოდში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის მთავარი თავისებურება - მისი გლობალური დაუბალანსებლობაა. ახალი სოციალურ ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური განვითარების ზოგადი კანონზომიერებები და საკუთრივ ქვეყნის სპეციფიკური პირობები. ბიზნესის სოციალიზაციის მაკროეკონომიკური გარემო, სახელმწიფოს შესაბამისი მექანიზმების ფორმირება არის გზა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკურად ქმედუნარიანი საზოგადოების ფორმირებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის სოციალიზაცია, გრადუალიზმი, შოკური თერაპია, მაკროეკონომიკური გარემო, გლობალიზაცია.

ძირითადი ტექსტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1990-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო საქართველოში გეგმიური ეკონომიკის ლიბერალური საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლება. თუმცა, ამ პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ინსტიტუციურ გა-

რდაქმნებს მნიშვნელოვანი შეცდომების გარეშე არ ჩაუვლია.

ტრანსფორმაციის ისტორიასა და ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთა პოსტ-კომუნისტური ტრანზაქციის ორი ძირითადი მიმართულება: **„გრადუალიზმი“** და **„შოკური თერაპია“,** რომელთა შორის ძირითადი განსხვავება „ტრანზიციის პერიოდია“.

შოკური თერაპია ყველაზე პოპულარული ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში იყო. ამ რეგიონის გარდამავალმა ქვეყნებმა სასწრაფოდ მიმართეს შოკურ თერაპიას ეკონომიკის ავტომატურ რეჟიმში მოსაყვანად და ფასებისა და მიწოდება-მოთხოვნის ბაზრის მიერ დასარეგულირებლად (Alam, Nguyen & Majumdar 2009, p. 4). ზოგადად, შოკური თერაპია გულისხმობს მტკიცე ფისკალური და მონეტალური პოლიტიკის გატარებას: ფასების ლიბერალიზაციის, ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაციის, კრედიტების გაცემის შეზღუდვით ფულის მარაგის მკაცრი რეგულაციის და შემოსავლის ზრდის მცირევადიანი რეგულაციის საშუალებით სუბსიდიების გაუქმებას (Papava 2012, p. 3; Hare & Turley, p. 3). სამთავრობო სექტორი მცირე როლს თამაშობს, ეკონომიკის ცენტრალური ფიგურა კერძო სექტორი ხდება და წამყვან ძალად მცირე და საშუალო საწარმოები იქცევა (Alam, Nguyen & Majumdar 2009, p. 4) თუმცა, საბაზრო ლიბერალიზაციისაკენ მოძრაობის დაწყებაში საწყის ეტაპზე ძირითად როლს სწორედ მთავრობა და საჯარო სექტორი თამაშობენ (Alam, Nguyen & Majumdar 2009, p. 3). შოკური თერაპიის პროგრამა პირველად დასავლეთ გერმანიაში განხორციელდა და მეორედ პოლონეთში დაიბადა, რის შემდეგაც ეს მეთოდი არაერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ გამოიყენა (Klein 2007, p.101; Blanchard, Dornbusch, Krugman, Layard, & Summers, pp. 118-126).

გრადუალიზმი, შოკური თერაპიისგან განსხვავებით, გულისხმობს რეფორმების შედარებით ნელ, მაგრამ მტკიცე გატარებას და უმეტესად ახასიათებს აზიის ქვეყნებს: გრადუალიზმის კლასიკური მაგალითია ჩინეთი, ვიეტნამი, უზბეკეთი, ტაილანდი, მალაიზია. ვლადიმერ პაპავას აზრით, გრადუა-

ლისტური რეფორმების წარმატება ორ ძირითად პირობაზეა დამოკიდებული: 1) მოსახლეობის მიერ მთავრობის და მისი ეკონომიკის სათავეში ყოფნის მხარდაჭერის პოლიტიკური გარანტია (რაც, სამწუხაროდ, პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობას არ გააჩნდა); 2) გარდაქმნისათვის საჭირო მასიური ფინანსური (საკუთარი თუ საერთაშორისო) რესურსი.

მკაცრად ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ექვსი ძირითადი ქმედებისაგან შედგება, რომელთაგან პირველი სამის განხორციელება შესაძლებელია სწრაფად (შოკური თერაპია), უკანასკნელი სამი კი შედარებით გრძელვადიან პილიტიკას მოითხოვს (გრადუალიზმი) (World Bank 1996, PP. 9-11):

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული კონვერტულობის დაწესება;
4. საწარმოო სექტორის რეფორმა (ძირითადი პრივატიზაცია);
5. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შემოღება, და
6. საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი ინსტიტუციური და ლეგალური ინფრასტრუქტურის დაფუძნება (Lipton, Sachs, Fischer & Kornaipp, pp. 75-147).

აღსანიშნავია, რომ პირველი სამი ქმედების წარმატებულად განხორციელება შეუძლებელია შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბების გარეშე (Stiglitz 1999, p.19), შესაბამისად, საუკეთესო სტრატეგიას ამ ორი მიდგომის კომბინაცია წარმოადგენდა. ასევე, ორივე მიმართულებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი პრობლემატური მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო განვითარება (Alam, Nguyen & Majumdar 2009, p. 6).

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენას ეკონომიკური რეფორმების ორო ტალღა მოჰყვა, რეფორმები, რომელთაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი შექმნეს, 1990-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ განხორციელდა. ამ პოლიტიკამ რეფორმე-

ბის პირველ ეტაპზე განაპირობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს შეფერხდა.

2004 წელს დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენომის შემცირებით გამოიხატა.

ახალი სოციალურ ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური განვითარების ზოგადი კანონზომიერებები და საკუთრივ ქვეყნის სპეციფიკური პირობები. ამასთან მან უნდა ასახოს კრიზისიდან გამოსვლის, ეკონომიკური სტაბილიზაციის ეტაპები და მისი მომავალი განვითარების მიზანმიმართულებები.

გარდამავალ პერიოდში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის მთავარი თავისებურება - მისი გლობალური დაუბალანსებლობაა. სწორედ ეს განსაზღვრავს მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყდეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძველზე და სტრუქტურულ-ინვესტიციურ გარდაქმნათა განხორციელებით. მისი გადაუდებელი გადაწყვეტით არის განსაზღვრული იმ ამოცანების სპეციფიკა, რომლებიც დგანან მაკრო დონეზე ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკის ყველა სუბიექტის და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსა და ინსტიტუტების წინაშე.

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც გამოვლენის მრავალი ფორმა აქვს, არის წარსულში და რეფორმების პერიოდში მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორების გადახლართვის შედეგი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სასტარტო პირობები ქვეყნის შიგნით შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. განსხვავება შეიძლება იყოს მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობის ხარისხში. ეს დაუბალანსებლობა შეიძლება გამოიხატოს საბიუჯეტო და საგარეო ვაჭრობის

დეფიციტის, ფულის ჭარბი მასის, საგარეო ვალის ტვირთის, შეზღუდული სავალუტო რეზერვების, საბანკო სისტემაში მნიშვნელოვანი დანაკარეგების და სახელმწიფო საწაროებში ზარალის არსებობაში.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმების თანმიმდევრული შემუშავების მიმართ მრავალი მიდგომა არსებობს, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის არსებით წინაპირობას და ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს რეფორმის პროცესში წარმოადგენს ფასების რეფორმა. თითოეულ ქვეყანას აქვს დიდი არჩევანი რეფორმების გატარების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. მაგრამ მათი ფაქტობრივი განვითარება დამოკიდებულია უფრო მეტად ქვეყნის შიგნით სასტარტო პირობებზე, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის ხარისხზე, პოლიტიკურ სტაბილურობასა და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე.

გარდამავალი ხანის საწყის სტადიაზე აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მკაცრი საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რათა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი, შთაინთქას ჭარბი ლიკვიდობა და შეიზღუდოს საკრედიტო ექსპანსია.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი საფასო გადახრები და ფასებზე სუბსიდიები მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, მაკროეკონომიკური წონასწორობის მისაღწევად აუცილებელია ადრეულ ეტაპზე შემოღებულ იქნეს უფრო რეალური ფასები. მრავალი სპეციალისტი იზიარებს იმ აზრს, რომ ერთდროულად უნდა იქნეს გატარებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა და ფასების რეფორმა.

ამასთან აუცილებელია გატარდეს შემოსავლების პოლიტიკა, რათა შეიზღუდოს ხელფასების ზრდა ფასების ზრდის საპასუხოდ. იმის მიხედვით თუ რამდენად იქნება ეფექტიანი სტაბილიზაციური პოლიტიკა , ქვეყანაში წაროიქმნება აუცილებლობა- შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა, რათა დავიცვათ ადამიანების ცხოვრების დონე არასასურველი გავლენისაგან. რეფორმების ყველაზე მტკივნეულ შედეგად აღიქმევა

უმუშევრობა. სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაცვა ფასების ზრდის გავლენისაგან.

გარდამავალი ეკონომიკის ცალკეული მხარის თავისებურებების განხილვა არ იძლევა იმის საშუალებას პირდაპირ ვუპასუხოთ კითხვას: როდის დასრულდება გარდამავალი ხანა, როდის გამოვა ეკონომიკა კრიზისული მდგომარეობიდან და უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების არსებით გაუმჯობესებას. ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება მოგვცეს მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და ტენდენციების კომპლექსურმა ანალიზმა.

ფორმალურად საქართველო ღია ქვეყანაა, რომელსაც ეკონომიკური კავშირები აქვს მთელს მსოფლიოსთან, მაგრამ ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას ხელს უშლის ქვეყანაში შექმნილი არამყარი მაკროეკონომიკური სიტუაცია. სამწუხაროდ დღევანდელ პირობებში ჩამოყალიბებული შეფარდებითი ეკონომიკური სტაბილურობა გამოწვეულია არა რადიკალური ცვლილებებით ეკონომიკაში, არამედ მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული სასურველი კონიუქტურით. ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია უდეფიციტო ბიუჯეტი, მაშინ შემოსავლების ხარჯზე შესაძლებელი იქნება არა მარტო მთავრობის ყველა ღონისძიებების დაფინანსება, არამედ სახელმწიფო ვალის ნაწილის გადახდა და ეკონომიკის საბიუჯეტო სექტორის განვითარება.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალიწინება და მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაციით ამ სფეროში მსოფლიოს ძირითად მოთხოვნებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკის პოლიტიკის ფორმირებაზე გადაწყვეტილებას ადამიანი-სუბიექტი ღებულობს, ცხადია ყველა გადაწყვეტილების მიღება არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ინსტრუმენტებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების

სრულყოფილ ანალიზს და ხშირ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებები გარკვეულ წილად სუბიექტურია, ანუ არ ჯდება იმ მოდელში, რასაც მაკროეკონომიკური პოლიტიკის თეორია სთავაზობს სახელმწიფოს.

ბევრი ეკონომისტი ფიქრობს, რომ ეკონომიკური თეორიის პრინციპები, სამართლიანია ნებისმიერ პირობებში. მაგრამ, მათ ავიწყდებათ, რომ ადამიანის ქცევის პრინციპები ყალიბდება სხვადასხვა კონტექსტში და მასზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლებას.

ხშირ შემთხვევაში საინტერესოა არა ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე, არამედ თვით ამ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი, რადგან ადამიანები ხშირ შემთხვევაში გარდა წმინდა ეკონომიკური მიზნებისა, სოციალურ მიზნებსაც ითვალისწინებენ, ამასთან ბიზნესი და პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება არ დაიყვანება მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ პრობლემამდე. იგი თავის თავში მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ პრობლემათა ერთობლიობას.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში, რომელსაც თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ვაკვირდებით, განსაკუთრებით დიდია პოლიტიკურ ფაქტორთა ზემოქმედების განუსაზღვრელობა. ს. აფრონცევი გარდამავალ ქვეყნებთან მიმართებაში, სადაც საბაზრო სუბიექტთა შორის სამეურნეო საქმიანობისა და სახელმწიფო საკუთრების უფლებების გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს, ავითარებს აზრს რომ, ასეთი გადანაწილება თავდაპირველად განხორციელდება ელიტარული ჯგუფების ინტერესების შესაბამისად, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან სამთავრობო ჯგუფებთან და ასევე „ზეწოლის ჯგუფებთან“, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების ტრანსფერტს იმ პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლოდ, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას. ამის მიზეზი არის პოლიტიკურ ბაზარზე არსებული განუსაზღვრელობა. პრივატიზაციის პროცესი, რომელიც მიმართულია სახელმწიფო

საკუთრების კერძო საკუთრებად ტრანსფორმაციისაკენ. მეურნეობათა უფლებამოსილების გადანაწილების პროცესი გახდება, განსაკუთრებულ ინტერესთა ჯგუფის დაინტერესების ობიექტი. ისინი გავლენას ახდენენ რა პარლამენტის გადაწყვეტილებაზე, იღებენ გარკვეულ სარგებელს, ხოლო ზეწოლის ჯგუფები, რომლებიც ვერ მოახერხებენ საკუთარი ინტერესების რეალიზაციას, რჩებიან „ჩაგრულნი“.

როგორც, ვხედავთ საზოგადოებრივი არჩევანის პრობლემა მწვავედ დგას ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში, სადაც საკმაოდ დიდია პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედების ჩარჩოები. კერძოდ ეს პრობლემა შედეგებს იძლევა ამ პროცესების დაჩქარების თუ დამუხრუჭების მექანიზმების ანალიზისათვის.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მნიშვნელოვანია, სწორი პოლიტიკური კურსის შერჩევა და მისი დაცვის გარანტიების განსაზღვრა. ამიტომაც ეკონომიკის რეფორმების პირობებში აუცილებელია „ძლიერი პოლიტიკური ნება“.

ფსიქოლოგიურ ფაქტორთან, და „პოლიტიკურ არჩევანთან“ ერთად ინსტიტუციონალური მოწყობაც მნიშვნელოვან წილად განაპირობებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას, ამასთან სწორედ მასზეა დამოკიდებული, უკვე შემუშავებული პოლიტიკის გატარების და აღსრულების შესაძლებლობა და წარმატება.

ინსტიტუციონალური შეზღუდვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა გახდეს პოლიტიკური სუბიექტების ორიენტირება, პოლიტიკური პროცესების შედეგად გადაწყვეტილებათა მხარდაჭერაზე. მხოლოდ „ზეწოლის ჯგუფთა“ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ორიენტაციამ შეიძლება მოგვაპოვებინოს პოლიტიკური მხარდაჭერა, მაგრამ ეს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდშია შესაძლებელი, რაც პერსპექტიული თვალსაზრისით არ არის გამართლებული. ასე, რომ უფრო მეტად სამართლებრივი პოლიტიკა, უფრო შეამცირებს პოლიტიკური ბაზრის განუსაზღვრელობას და ამასთან გაზრდის სამეურნეო

სისტემების ფუნქციონირების ეფექტურობას.

ზემოთაღნიშნული საკითხების ცოდნა, მასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა აუცილებელია იმისათვის, რომ შეიქმნას ბიზნეს სუბიექტთა სიმრავლე, მათი გააქტიურების პირობები, რაც ბიზნესის სფეროში წარმოადგენს ბიზნესის სოციალიზაციის უმთავრეს ნიშანს.

დასკვნა

ბიზნესის სოციალიზაცია უნდა განვიხილოთ როგორც სოციუმის აქტიური მონაწილეობა ბიზნესის განვითარებისა და მისი წარმოების პროცესში. ესაა ბიზნეს სუბიექტთა სიმრავლე, რომლის ფორმირება და განვითარება უკავშირდება კონკრეტული გარემოს უზრუნველყოფის ამოცანას, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, სწორედ ამისკენ უპირატესად მიდრეკილების მქონე არსობრივ და პრაქტიკულ ორიენტაციას.

ბიზნესის სოციალიზაციის მაკროეკონომიკური გარემო, სახელმწიფოს შესაბამისი მექანიზმების ფორმირება არის გზა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკურად ქმედუნარიანი საზოგადოების ფორმირებისაკენ.

ლიტერატურა:

1. ქ. ალამ, თჰ. ნუგიენ, ნ. მაჯუმდარ - შოკური თერაპია გრადუალიზმი.
<http://ccsenet.org/journal/index.php/ibr/article/download/1109/1106>;
2. ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი;
<http://www.btiproject.org/fileadmin/Inhalte/reports/2003/pdf/BTI%202003%20Georgia.pdf>;
3. ბიზნესის კეთება, ბიზნესისი რეფორემბი საქართველოში, 2 მაისი 2014
<http://ccsenet.org/journal/index.php/ibr/article/download/1109/1106>;
4. Афронцев С. Неопределенность и проблемы экономической трансформации. Мировая экономика и международные отнашения №4 1996. с20-23;

REFERENCES:

1. Alam, Q, Nguyen, TH & Majumdar, N 2009, 'Shock Therapy versus Gradualism: The Central Eastern Europe (CEE) and East Asia Compared – A Review of Literature', International Business Research, Vol. 2, No. 2, 2009, viewed 2 May 2014, <http://ccsenet.org/journal/index.php/ibr/article/download/1109/1106>;
2. BertelsmannTransformation Index, Bertelsmann Transformation Index 2013: Georgia Country Report2003, viewed 18 April 2014;
<http://www.btiproject.org/fileadmin/Inhalte/reports/2003/pdf/BTI%202003%20Georgia.pdf>;
3. Doing Business, Business Reforms in Georgia, viewed 22 April 2014, <http://www.doingbusi ness.org/reforms/overview/economy/georgia>;
4. Afrontsev s. Uncertainty and problems of economic transformation. The world economy and international relations №4 1996. c20-23 (In Russian Language).

MACROECONOMIC PECULIARITIES OF BUSINESS SOCIALIZATION IN GEORGIA

Anzor Abralava,
Professor, GTU
Tornike Gogadze
PhD student, GTU

RESUME

Business Socialization we should consider as an active participation of the community in the business development and in its production process. This is a multitude subjects of business, whose formation and development are related to the concrete task of providing a specific environment, which requires the state's macroeconomic policy. That's the most prevalent and practical orientation with a predisposition.

The macroeconomic environment of business socialization, the formation of the appropriate mechanisms of the state is the way for the development of small and medium business and the formation of an economically efficient society.

Key words: Socialization; Shock Therapy; Gradualism; Macroeconomic environment; Globalization.

ადამიანური კაპიტალის სტრუქტურა და სახეობები

მარიამ დათაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ადამიანური კაპიტალის კვლევის სხვადასხვა მიდგომები, დადგენილია, რომ ადამიანური კაპიტალი უნდა განვიხილოთ აბსტრაქტულ-ლოგიკურ და კვლავწარმოებითი ასპექტების ერთობლიობაში, **გამოყენებისა და** ფორმირების და მისი სახეობების თავისებურებების გათვალიწინებით ინდივიდუალურ და მაკრო დონეებზე.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, შრომის ნაყოფიერება, სახელმწიფო განვითარება, სოციალური, ეკონომიკური განვითარება.

ძირითადი ნაწილი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაში ადამიანის როლი შეიცვალა, საჭიროა ადამიანური კაპიტალის შესწავლა, როგორც ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორისა ინოვაციური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისას.

ადამიანური კაპიტალის თანამედროვე თეორიის ფორმირების წინაპირობები ჩაიდო 1950-1960-იან წლებში ამერიკელი და ინგლისელი ეკონომისტების მიერ და დროით ემთხვეოდა საწარმოო პროცესში ტრანსფორმაციებს. 1950 - 1960 წწ. უცხოელი და სამამულო მკვლევარების გათვლებით, ადამიანური კაპიტალი შეადგენდა ჯამური კაპიტალის ნახევარს, ხოლო 70-იან წლებში - 60%.

მეცნიერული შრომების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ ადამიანური კაპიტალის თეორიული დებულებების განვითარების ეტაპები:

პირველი ეტაპი (1960 წლის დასაწყისი) დაკავშირებულია „ადამიანური კაპიტალის“ ცნების გაჩენასთა „ვიწრო“ ინტერპრეტაცი-

ით ცოდნის, უნარების, პიროვნების შესაძლებლობების კუთხით, რომელიც მოცემულია ცნების მკვლევარებთან (ჰეკმანი, 1963, ჰერმანსონი, 1964, უფრო მოგვიანებით - ბეკერი, 1993 ტოპელი, 1990 და სხვ, ბიტი, სმიტი, 2010). ამას გარდა უცხოელი მკვლევარების შრომებში (ჰერმანსი, 1964 ფლამბოლტცი, 1999) შესამჩნევია ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ეფექტურობის შეფასება, თუმცა ადამიანური კაპიტალის სიდიდის გაზომვის პრობლემა ვერ იქნა გადაჭრილი.

მეორე ეტაპი (1970 - 1990 წწ.) ხასიათდება, ერთის მხრივ ადამიანური კაპიტალის კვლევისადმი ინტერესის კლებით, მეორეს მხრივ, მისი სტრუქტურის გართულებით: ისეთი კომპონენტების ჩართვით, როგორიცაა ინვესტიები ჯანმრთელობის დაცვასა და შენარჩუნებაში, პროფესიული სწავლებასა და განათლებაში, მოსახლეობის მობილობა დაკავებულობის პირობების შეცვლის მიზნით, შრომის ბაზარზე საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ა.შ.

„ადამიანური კაპიტალის“ ცნების ევოლუციის მესამე ეტაპი (1990 - იანების დასაწყისიდან დღემდე) დაკავშირებული იყო „ადამიანური კაპიტალის“ ფართო გაგებასთან, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყაროსთან (ვარდი, 2000), როცა ფასდებოდა არა მხოლოდ ადამიანური კაპიტალის სიდიდე და ფინანსური მაჩვენებლები, არამედ ადამიანური კაპიტალის არამატერიალური შემადგენელიც (როსლენდერი და დაისონი, 1992).

XX ს. 60-იან წლებში ხდებოდა ცნებათა-(განათლება, ჯანმრთელობა, პროფესიული მობილობა) შინაარსობრივი ტრანსფორმაცია, ცვლილებები ადამიანური კაპიტალის შეფასებაშიც - თავიდან არსებული ინდიკატორები, რომლებიც ითვალისწინე6ბდნენ ფინანსურ ასპექტებს, შევსებული იქნა ადამიანური კაპიტალის არამატერიალური მხარის მახასიათებელი მაჩვენებლებით. ამას გარდა გაზომვადი გახდა არა მარტო ადამიანური კაპიტალის სიდიდე, არამედ მის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება .

„ადამიანური კაპიტალის“ ცნებაში ცვლილებებმა, მისი სტრუქტურის გართულებამ განაპირობა სხვადასხვა მიდგომები:

პირველი მიდგომის თანახმად ადამიანური კაპიტალი განისაზღვრება როგორც ერთიანი ცოდნის, უნარების, შესაძლებლო-

ბების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მოტივაციების მარაგი (ს. უოლში, ლ, დორიუ, უ. ბოუენი, ვ. კარტიული). მოცემული მიდგომის ჩარჩოებში მკვლევარები (ჯ.ს. აუოლში, ლ.ს. დორიუ და სხვ) გამოარჩევენ ადამიანური კაპიტალის ისეთ შემადგენლებს, როგორიცაა, განათლება, კვალიფიკაცია, ცხოვრებისეული და შრომითი გამოცდილება და სხვ.

მეორე მიდგომის თანახმად (ტ. შულცი, ფ. მასლუპი, ი. ფიშერი და სხვ.) ადამიანური კაპიტალი განიხილება, როგორც შესაძლებლობების, ცოდნის და სხვა მახასიათებლების მარაგი, რომელიც მომავალში უფრო მაღალი შემოსავლების მიღების საშუალებას იძლევა . მესამე მიდგომის ჩარჩოში უფრო სრულად იხსნება ადამიანური კაპიტალის არსი, რამდენადაც განიხილება როგორც ადამიანური კაპიტალის ფორმირება მის კომპონენტებში ინვესტიციის ხარჯზე.

ეკონომიკური განვითარების საექსპორტო - ორიენტირებული ტიპიდან ინოვაციებზე გადასვლამ გამოიწვია ინოვაციური ეკონომიკის კუთხით ადამიანური კაპიტალის კვლევების გავრცელება. ამასთან შეთანხმებით აქცენტი გაკეთებულია მოქმედების სუბიექტზე, მის თვითგანვითარებაზე და სრულყოფაზე.

გაცხადებულია, რომ მიუხედავად „ადამიანური კაპიტალის „ ცნების განმარტებების განსხვავებებისა, ფორმულირებათა უმეტესობაში შეიძლება გამოვყოთ საერთო - „ცოდნის შესაძლებლობებისა და უნარების მარაგი“, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ განსაზღვრებებში ყურადღება აქცენტირებულია იმ ასპექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანური კაპიტალის გამოყენებასთან (შრომის ნაყოფიერების გაზრდა და შემოსავლების ზრდა), ხოლო სხვებში - ფორმირებასთან (განათლებაში ინვესტირება და კვალიფიკაციის ამაღლება). უპირატესობა ენიჭება ადამიანური კაპიტალის განსაზღვრების იმ მიდგომას, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა როგორც ერთი, ისე მეორე ასპექტები.

მოცემულ სტატიაში ადამიანური კაპიტალი განხილული იქნება მესამე მიდგომის ჩარჩოებში, რომელიც ფორმირებულ იქნა ინვესტიციების, უნარების, ცოდნის, შესაძლებლობების

დაგროვების მარაგის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, კულტურის დონის მოქმედებაში მიზნობრივად გამოყენების შედეგად და ხელს უწყობს ინდივიდუალური შემოსავლების, ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობისა და რეგიონის კეთილდღეობის ზრდას.

ადამიანური კაპიტალის განსაზღვრება და მისი დანიშნულების უფრო ღრმა გააზრება, აგრეთვე იმ ასპექტების კვლევა, რომელიც მის გამოყენებასთანაა დაკავშირებული, შეუძლებელია მისი სტრუქტურის შესწავლის გარეშე.

ფართო გავრცელება ჰპოვა ადამიანური კაპიტალის კლასიფიკაციამ ფორმირების დონეების მიეხედვით. ადამიანური კაპიტალის ანალიზი ხდება ინდივიდუალურ დონეზე, ფირმის დონეზე, ნაციონალურ დონეზე, ამასთან ინდივიდუალურ დონეზე გამოყოფენ ჯანმრთელობის კატიპალს, კულტურულ - ზნეობრივ კაპიტალს, შრომითი კაპიტალს, ინტელექტუალური კაპიტალს, სამეწარმეო კაპიტალს. ფირმის დონეზე - საფირმო არამატერიალური აქტივები, საორგანიზაციო კაპიტალი, სტრუქტურული კაპიტალი. ნაციონალურ დონეზე - ნაციონალური ინტელექტუალური აქტივები, ნაციონალური კონკურენტული უპირატესობები.

ადამიანური კაპიტალის განსაზღვრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ფუნდამენტური კომპონენტებია ჯანმრთელობის კაპიტალი, კულტურისა და პროფესიონალურობის კაპიტალი. ადამიანური კაპიტალის ყველა შემადგენელი განლაგებულია მათი განვითარების ხარისხის მიხედვით ბუნებრივად - დალაგებულიდან (საერთოდ სპეციალური ცოდნა) უფრო სრულყოფილამდე (შემოქმედებით ინოვაციური უნარების კომპლექსი).

განსასაზღვრი ცნების კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით ადამიანური კაპიტალის კლასიფიკაციიდან გამოიყოფა საერთო და სპეციფიკური ადამიანური კაპიტალი. ადამიანური კაპიტალის ამ ორი სახეობის გამოსაყოფი კრიტერიუმებია ფორმირების თავისებურებები (ფორმალური სწავლების გზა ან სამეშაო ადგილზე სწავლება) , ინვესტირების სუბიექტები, ადამიანური კაპიტალის გამოყენების შედეგები, შრომის ნაყოფიერება და შრომის საფასური, მისი გამოყენების ხარისხი .

აქტუალურია არა მარტო ცალკეული ინდივიდის დონეზე ადა-

მიანური კაპიტალის კვლევა, არამედ მაკროდონეზეც. მაკროდონეზე საერთო ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საზოგადოების მიერ ფორმირებული რეგიონის მოსახლეობის ცოდნის შესაძლებლობებსა და უნარების მარაგს, ფინანსური, ორგანიზაციუოლი და ინსტიტუციონალური პირობების შექმნის გზით, რათა მოხდეს დაგროვება და განვითარება მოსახლეობის განათლების ხარისხისა, რომელიც მოთხოვნადი იქნება თავისი უნივერსალურობის გამო ნებისმიერ ტერიტორიაზე, ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ინდივიდუალურ კეთილდღეობას, ინოვაციურ აქტივობას, ხოლო რეგიონისთვის - ტერიტორიის ინოვაციურ განვითარებას.

სპეციფიური ადამიანური კაპიტალი მაკროდონეზე წარმოადგენს რეგიონის მოსახლეობის ცოდნის შესაძლებლობების და უნარების მარაგს, რომელიც ყალიბდება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საწარმოების მიერ ფინანსური, საორგანიზაციო, ინსტიტუციონალური პირობების შექმნის გზით მოცემული რეგიონის მოსახლეობის პროფესიული დონის დაგროვების და განვითარებისთვის.

ადამიანური კაპიტალის საერთო და სპეციფიკური კომპონენტების გამოყოფას აქვს დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა ადამიანური კაპიტალის ამ ორი სახეობის ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებების უფრო ღრმა გაგებისათვის.

ადამიანური კაპიტალის კვლევის აქტუალობა ინოვაციური განვითარების კონტექსტში განპირობებულია სამეცნიერო და პრაქტიკული აუცილებლობით. საწარმოო პროცესში ცვლილებები იწვევენ დამსაქმებლების მოთხოვნების გაძლიერებას სამუშაო ძალის მიმართ ეკონომიკური ზრდის მოდელებში „ადამიანური კაპიტალის“ ფაქტორის გათვალისწინებისას.

დასკვნა

განმჟღავნდა მიდგომები ადამიანური კაპიტალის კვლევებისა, ცოდნის, უნარების და შესაძლებლობების მარაგის ერთიანობის შესწავლის პოზიციიდან, წარმოების პროცესში გამოიყენება „ინვესტიციური“ მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის

დაგროვებას უნარებისა და ცოდნის ფორმირებაში დაბანდებული სახსრების შედეგად. ადამიანური კაპიტალი განიხილება აბსტრაქტულ- ლოგიკური და კვლავწარმოებითი ასპექტების ერთობაში. ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებების და ინდივიდუალურ და მაკროდონეებზე მისი სახეობების გათვალისწინებით.

ადამიანური კაპიტალის კვლევების მიდგომების სისტემატიზაციამ და განზოგადოებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ მის საფუძველს წარმოადგენს ცოდნის, უნარის და შესაძლებლობების მარაგი, თუმცა კვლევების სისტემური მიდგომების რეალიზებისათვის აუცილებელია იმ ასპექტების გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია როგორც მის ფორმირებასთან ასევე გამოყენებასთანაც.

განსაზღვრულია ადამიანური კაპიტალის კლასიფიკაცია შესწავლის ხარისხის (მაკრო, მეზო და მიკრო) განხილვის შინაარსობრივი ასპექტების მიხედვით (განათლების, ჯანმრთელობის, პროფესიონალური კაპიტალი). საფუძვლიანია კლასიფიკაციების გამოყენება ადამიანური კაპიტალის საერთო და სპეციფიკური დაყოფის გათვალისწინებით.

ამრიგად დასაბუთებულია ადამიანური კაპიტალის როლი, როგორც ერთ - ერით საკვანძო ფაქტორისა ინოვაციურ გარდაქმნებში. ნაჩვენებია, რომ ადამიანური კაპიტალი უნდა შეისწავლებოდეს სტრუქტურული კომპონენტების და აგრეთვე მასი ფორმირებისა და გამოყენების პროცესების გათვალისწინებით.

THE STRUCTURE AND TYPES OF HUMAN CAPITAL

Mariam Datashvili
PhD Student, GTU

RESUME

This research approaches to human capital is structural. It is determined that human capital should be discussed in the combination of the abstract-logical and reproduction aspects, taking into account the peculiarities of its usage and formation and its types on individual and macro levels.

Key words: Human capital; Labor productivity; State development; Socio- Economic development.

საწარმოების ანტიკრიზისული მართვის სპეციფიკა

გრიგოლ ზუბიაშვილი
სტუ დოქტორანტი

შესავალი

საწარმოთა ანტიკრიზისული მართვა ქართული ბიზნეს-სინამდვილისათვის ახალი ცნებაა. იგი ნაკლებად ცნობილია ქართულ სამეცნიერო წრეებში და, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში სათანადოდ არ არის შემუშავებული და დანერგილი ქართულ საწარმოებში. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში სამეცნიერო წრეებში დიდი ხანია დაინტერესდნენ ამ საკითხით და ამ მხრივ მრავალი კვლევა ჩატარდა.

ამავე დროს, მსოფლიო წამყვან მეცნიერთა სხვადასხვა პუბლიკაციები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ქართულ სამეცნიერო წრეებში ერთიანი ანტიკრიზისული კონცეფციის შემუშავებას ხელს უშლის. საქართველოში ამ სფეროში ძირითადად არ ხდება ინოვაციური იდეების დანერგვა და კრიზისულ სიტუაციებთან ბრძოლის თაობაზე ძირითადად უცხოურ მეცნიერთა მოსაზრებებს ეყრდნობიან.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, კონსერვატიული მიდგომა, მდგრადობა, ანტიკრიზისული მართვა, საწარმო, სტაბილურობა, საწარმოს მენეჯმენტი, ობიექტური ფაქტორი, გეგმა, მექანიზმი.

ძირითადი ტექსტი

საწარმოს ანტიკრიზისული პროგრამის ძირითადი მიზანი ბაზარზე საწარმოს მდგრადი პოზიციების შენარჩუნება და განმეორებითი კრიზისის თავიდან აცილებაა. ანტიკრიზისული მართვის დანიშნულება ძირითადად ორი ამოცანის გადაწყვეტაა. პირველ რიგში, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მეშვეობით კრიზისის თავიდან აცილებაა სასურველი. ასევე საოპერაციო საქმიანობის სტაბილურობის შენარჩუნე-

ბის მიზნით, კრიზისის გარკვეულწილად შერბილება ან სული ლიკვიდაციაა სასურველი.

კომპანიის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, კომპანიის განვითარების სტრატეგია შემუშავდება. ასეთი სტრატეგია საწარმოო საქმიანობის კომპლექსური, დაწვრილებითი და ყოვლისმომცველი გეგმაა, რომლის მიხედვითაც პოსტკრიზისულ ეტაპზე როგორც მთლიანობაში მეღვინეობის კომპანია, ასევე მისი ყველა ქვედანაყოფი და სტრუქტურული ერთეული უნდა ფუნქციონირებდეს.

თუ მეღვინეობის საწარმოს მენეჯმენტს არ გააჩნია იმის ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა გააგრძელოს საწარმომ კრიზისის შემდგომ პერიოდში ფუნქციონირება, განმეორებითი კრიზისის თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია. ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯი მისაღებ სარგებელს უნდა შეუდარდეს. რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ ქართული მეღვინეობის კომპანიები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახალი ბაზრების ძიებას კერძო ბიზნესთან ერთად სახელმწიფოც შეუდგა. იმ შემთხვევაში, თუ ახალი ბაზრების მოძიება არ იყო მოსალოდნელი, ან რუსული ბაზარი კვლავ არ გაიხსნებოდა ქართული ღვინისათვის, ბევრი კომპანიის ფუნქციონირებას და ანტიკრიზისული მართვის გეგმის შემუშავებას აზრი დაეკარგებოდა.[1]

საწარმოო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის შემდეგ, თუ საწარმოს მენეჯმენტი გადაწყვეტს, რომ კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებას აზრი აქვს, შესაბამისი ტაქტიკური გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვაა საჭირო. ანტიკრიზისული მენეჯმენტის მეოთხე ეტაპზე გეგმა პრაქტიკაში რეალიზდება. ანტიკრიზისული ღონისძიებების დაგეგმვისა და პრაქტიკაში დანერგვაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ზემოთხსენებული ღონისძიებები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გატარდეს წარმოებაში.

თუ საწარმოს გრძელვადიანი ან მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის პრობლემა გააჩნია, ისე უნდა დაიგეგმოს

1 http://www.vinoge.com/qarTuli-Rvino/Rvinis-omis-qronikebi

კომპანიის საქმიანობა, რომ ვალდებულებების დასაფარად ყველაზე უფრო ოპტიმალური წყაროდან მოხდეს სახსრების მოძიება. კომპანიის სამომავლო პერსპქტივებიდან გამომდინარე, ასეთი სახსრები საწარმოს მენჯმენტმა შესაძლოა მოიზიდოს, ან ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, ანდა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მეშვეობით.

ყველა საწარმოს საკუთარი მიდგომა გააჩნია ანტიკრიზისული მართვის მიმართ. ანტიკრიზისული მართვის მიმართ მიდგომა სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ყალიბდება, როგორიცაა კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა, ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები, სოციალურ-კულტურული ფონი, ა.შ. რაც უფრო გამოცდილია კომპანიის მენეჯმენტი კრიზისების გადალახვის მხრივ, მით უფრო სავარაუდოა, რომ ანტიკრიზისული მიდგომა ეფექტიანი აღმოჩნდეს. მეხუთე ეტაპზე ექვემდებარება ანალიზს ანტიკრიზისული მენჯმენტის მეშვეობით სიტუაციის ნორმალიზების ღონისძიებები.ანტიკრიზისული მენეჯმენტის მეხუთე ეტაპზე მეღვინეობის კომპანიასთან დაკავშირებული სიტუაციის ნორმალიზების ღონისძიებები ფასდება და ანალიზს ექვემდებარება.[1]

თუ საწარმოს მენეჯმენტმა წარსული საწარმოო კრიზისების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება ეფექტურად შეუძლია, კრიზისების პრევენციისათვის დამატებითი ღონისძიებების შემუშავებას შესძლებს.კრიზისების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ღონისძიებების წინასწარ შემუშავება კომპანიის მენეჯმენტს ბევრად უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე კრიზისის შემდგომი შედეგების ლიკვიდაცია.

დღეისათვის ქართული მეღვინეობის კომპანიების საქმიანობაზე სხვადასხვა ენდოგენური თუ ეგზოგენური ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და მათ საოპერაციო საქმიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საერთაშორისო ბაზრებზე ქართული მეღვინეობის საწარმოების არასტაბილური

1 Ogunleye J., Contrasting Cases of Corporate Crisis Management Systems: a Research Report, International Journal of Knowledge, Innovation and Entrepreneurship, Volume 2 No. 1, 2014 pp 3-7

მდგომარეობა, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მენეჯმენტის არქაული სისტემები ქართული მეღვინეობის კომპანიების განვითარებას ართულებს. ქართული მეღვინეობის პრობლემატიკიდან გამომდინარე, ანტიკრიზისულ მართვის არსენალში არსებული ყველა შესაძლო გზის და ვარიანტის მოსინჯვაა სასურველი ქართული მეღვინეობის კომპანიების კრიზისიდან გამოსაყვანად.

კრიზისული მდგომარეობის დაძლევის ტრადიციული და ყველაზე უფრო გავრცელებული გზა კონსერვატიული მიდგომაა. ამ მეთოდის პირობებში, პირველ რიგში, საწარმოს მოკლევადიანი პრობლემების მოგვარებაა სასურველი. ეს მიდგომა ძირითადად იმ მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით ხასიათდება, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში საწარმოს კრიზისიდან გამოსვლას განაპირობებს. კრიზისის დასაძლევად ამა თუ იმ მიდგომის შერჩევა ძირითადად დამოკიდებულია საწარმოს მენეჯმენტის გადაწყვეტილების მიღების უნარზე და ხედვაზე, ასევე საწარმოო სპეციფიკაზე, კომპანიის ზოგად ფინანსურ მდგომარეობაზე, პროდუციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცედურებზე და, რათქმაუნდა, კრიზისის იმ ეტაპზე, რომელშიც საწარმო იმყოფება.

თანამედროვე ანტიკრიზისული მართვის თეორიაში ასევე გაფართოებული მიდგომა განიხილება. ამ მიდგომის მიხედვით, ანტიკრიზისული მართვა კომპანიის საქმიანობის ნებისმიერ კრიზისულ ასპექტს უნდა მოიცავდეს გამომწვევი ფაქტორებისა და კრიზისის პერიოდულობის მიუხედავად.[1]

კრიზისის შესწავლის და შესაბამისი მეთოდიკის შერჩევის მიზნით საწარმოს საქმიანობის კომპლექსური შესწავლაა სასურველი. იმის მიხედვით, თუ რომელმა ფაქტორმა განაპირობა საწარმოს კრიზისულ ვითარებაში შესვლა, სხვადასხვა ღონისძიებების სიღრმე და თანმიმდევრობა განისაზღვრება. ანტიკრიზისულ მართვის თეორიაში განასხვავებენ, როგორც

1 Евдокимова А.В., Крюкова О.Г., Превентивное Антикризисное управление: Цели, Задачи, Особенности, Журнал Стратегии Бизнеса, № 2(10), 2015, стр 2-4

ობიექტურ, ისე სუბიექტურ ფაქტორებს.

საწარმოო საქმიანობის რეორგანიზაციის, მოდერნიზაციის და განახლების აუცილებლობა ობიექტური ფაქტორებია. საწარმოს კრიზისში შესვლა ასევე განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით. მაგალითად, საწარმოს მენეჯმენტის მხრიდან დაშვებული შეცდომებით გამოწვეული კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაუარესება სუბიექტური ფაქტორია.

ობიექტური ფაქტორებით განპირობებული საწარმოს მდგომარეობის გაუმჯობესება ძირითადად გრძელვადიან პერიოდშია შესაძლებელი, რაც ამავე დროს მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება შედარებით მარტივი და ნაკლებხარჯიანია. სუბიექტური ფაქტორებით განპირობებული პრობლემების დიაგნოსტიკაც მნიშვნლოვან ძალისხმევასა და გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასეთი ანალიზის ჩატარებაც მხოლოდ საწარმოს საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის კომპლექსური ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი. საწარმოო კრიზისის დაძლევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი იმ მიზეზების განსაზღვრაა, რომლებმაც საწარმოს კრიზისში შესვლა განაპირობეს.

თუ ფინანსური ანალიზის პროცესში საწარმოს კრიზისში ყოფნის რაიმე ნიშნები დადგინდა, სასურველია საწარმოს მენეჯმენტმა მათზე დროული რეაგირება მოახდინოს. პირველ რიგში საჭიროა ძირითადი ფონდების მიმდინარე მდგომარეობა განისაზღვროს. ძირითადი ფონდების ღირებულების დაცემა ერთ-ერთი პირველი ნიშანია იმისა, რომ საწარმო კრიზისს განიცდის. საწარმოს მდგომარეობის შესაფასებლად ასევე რალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, მომგებიანობისა და რენტაბელობის კოეფიციენტი უნდა შეფასდეს.

კრიზისის ნიშნების შესწავლის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია საწარმოს საფინანსო განყოფილების თანამშრომლების საქმიანობის შეფასება. განსაკუთრებით კრიზისის პერიოდშია მნიშვნელოვანი ასეთი პერსონალის საქმიანობის შესწავლა. კრიზისის დაძლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

მონიტორინგი გაეწიოს საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს:

1) ფინანსური ანალიზისა და დაგეგმვის პროცესის განხორციელება;

2) საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის განსაზღვრა(დაფინანსების წყარობის მართვა);

3) ფინანსური რესურსების გადანაწილების პრაქტიკის დანერგვა (ინოვაცური პოლიტიკა).[1]

ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია საწარმოს ხელმძღვანელობის ფინანსური ხასიათის ამომწურავი ინფორმაციით უზრუნველყოფა. თუ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები სანდოა, ხშირ შემთხვევაში ასეთი ინფორმაციაც საკმარისია გადაწყვეტილების მიღებისათვის.

საწარმოო პერსონალის ეფექტიანობის უფრო დეტალური შეფასების მიზნით სასურველია ფულადი ნაკადების მართვის ხარისხი შეფასდეს. სამუშაო კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტის ანუ ფულადი სახსრების მართვაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად შეუძლია კომპანიის მენეჯმენტს მიმდინარე და გრძელვადიანი საქმიანობის მართვა. თუ ფულადი სახსრების მართვისას საწარმოს მენეჯმენტმა მრავალჯერ დაუშვა შეცდომები, საწარმოს საერთო საოპერაციო ეფექტიანობა შეიძლება მნიშვნელოვნად დაეცეს.

საწარმოო ოპერაციებისა და შიდა კონტროლის გარემოს შესწავლის შემდეგ კრიზისის დაძლევისათვის მაკორექტირებელი ღონისძიებების კომპლექსი უნდა შეირჩეს. კრიზისის დაძლევის ყველაზე უფრო რადიკალური გზა საწარმოო პროცესების რესტრუქტურიზაციაა. რესტრუქტურიზაცია ანტიკრიზისული მართვის სხვა მეთოდებისაგან იმით განსხვავდება, რომ ასეთი ტიპის მაკორექტირებელ ღონისძიებებში საწარმოს

1 Подгорная А.И., Инструменты Антикризисного Управления Предприятием в Условиях Неопределенности, Актуальные Проблемы Экономики и Права, № 4, 2012, стр 4-8

საქმიანობის სრული რესტრუქტურიზაცია იგულისხმება.

საწარმოს კრიზისი გამოყვანის ძირითადი ეტაპებია:

1) გადახდისუუნარობის თავიდან აცილება - საწარმოს ფინანსური კრიზისის დაძლევის პროცესში ყველაზე უფრო აუცილებელი და გადაუდებელი ეტაპი საწარმოს გადახდისუნარიანობის შემცირებაა. იმის მიუხედავად თუ როგორია საწარმოს გადახდისუნარიანობა, მცირე თუ მნიშვნელოვანი, პირველ რიგში სწორედ გადახდისუუნარობის შემცირებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი.

2) საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდგენა-მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს მენეჯმენტმა შიძლება საწარმოს გადახდისუუნარობა მოკლევადიან პერიოდში შეამციროს, საწარმოს ზოგადი ფინანსური არამდგრადობა შეიძლება მაინც შენარჩუნდეს. ამდენად მიზეზები, რომლებიც საწარმოს გადახდისუუნარობას იწვევენ შეიძლება უცვლელი დარჩეს, რის გამოც დროთა განმავლობაში საწარმოს გადახდისუნარიანობა შეიძლება კვლავ გაუარესდეს. ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების პირობებში საწარმოს გადახდისუნარიანობა, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნდება.

3) გრძელვადიან პერიოდში ფინანსური სტაბილურობის მიღწევა-ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების პარალელურად კომპანიის მენეჯმენტმა კომპანიია განვითარებაზე და გაფართოებაზე უნდა იზრუნოს. ფინანსური სტაბილურობა შესანიშნავ ნიადაგს ქმნის საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებისათვის. კრიზისის პერიოდში საწარმოს მთლიანი სტრატგია უნდა შეიცვალოს. საწარმოს მენეჯმენტმა საკუთარი სტრატეგია არახელსაყრლი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გადააკეთოს.[1]

საწარმოს კრიზისული მდგომარეობის დაძლევას გარკვეული მექანიზმები შეესაბამება. საწარმოს საქმიანობის პერიო-

1 Исаева В.М., Содержание Основных Этапов Политики Антикризисного Управления, Вестник Оренбургского Государсвенного Университета, No 13 (149), 2012, стр 2-6

დებისა და გადასაწყვეტი ამოცანების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ანტიკრიზისული მართვის ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ მექანიზმებს განასხვავებენ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაციის სტრატეგიულ მექანიზმებში საწარმოო საქმიანობის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია იგულისხმება. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ძირითადი მექანიზმების უზრუნველყოფის შემთვევაშიც კი გრძელვდიან პერიოდში საწარმოს გადახდისუნარიანობა შეიძლება არ შენარჩუნდეს.

ტაქტიკური მექანიზმის ძირითადი მიზანი მოკლევადიან პერიოდში საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მიღწევაა. თუ ფინანსური კრიზისის გამო საწარმოს მდგომარეობას განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება, სწორედ ტაქტიკური მექანიზმების ამოქმედებაა სასურველი უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისათვის. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მიზანი მოკლევადიან პერიოდში მაინც ფინანსური სტაბილურობის მიღწევაა.

ანტიკრიზისული მექანიზმის ოპერატიული შემადგენლის მიზანი ისეთი ქმედებების გატარებაა, რომელთა მეშვეობითაც საწარმოო საქმიანობის უარყოფითი შედეგების შემცირება გახდება შესაძლებელი. ამავე დროს სხვადასხვა წვრილი ოპერატიული პრობლემების გადაწყვეტის შედეგად ნაყოფიერი ნიადაგი იქმნება მომავალშიც პრობლემების პრევენციისათვის. ოპერატიული მექანიზმი არანაკლებ მნიშვნლოვანია საწარმოს ფუნქციონირებისათვის, ვიდრე ტაქტიკური და სტრატეგიული. მაგალითად დებიტორული დავალიანების სიჭარბე სხვა სახის საბრუნავი აქტივების წარმოებიდან ამოღებას განაპირობებს. კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაურესებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი საწარმოს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ქართული საწარმოებისათვის და მათ შორის მეღვინეობის კომპანიებისათვის მნიშვნლოვანი პრობლემაა საიმედო ინფორმაციის მოძიება. აღნიშნული ეხება დებიტორული დავალიანებების მართვასაც. მყიდველის ფინანსური მდგომარეობის

შესახებ კომპანიის მენეჯმენტს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია ინფორმაცია ან მსხვილი კლიენტის მოზდვის სურვილის გამო კომპანიის მენეჯმენტი მზად არის მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანებები გასცეს. სხვადასხვა დარგის კომპანიებს რისკები მნიშვნელოვან საფრთხს უქმნის, რაც, პირველ რიგში, გამოწვეულია არაზუსტი და არასრული ინფორმაციის მოძიებით. თუ სანდო ინფორმაციის მოძიება გახდა შესაძლებელი, დიდია იმის ალბათობა რომ მიმდინარე პრობლემების დასაძლევად გონივრული მენეჯმენტი დაინერგება წარმოებაში.[1]

ქართული საწარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების მოძრაობის ეფექტიანი გეგმის შედგენა. ამის შედეგად საოპერაციო საქმიანობიდან დამატებითი სახსრების ამოღება გახდება შესაძლებელი, რაც საწარმოების კრიზისიდან გამოყვანას მნიშვნლოვანწილად განაპრობებს.

დასკვნა

ანტიკრიზისული მართვა საწარმოო საქმიანობის და ზოგადად კომპანიის მთლიანი სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად განისაზღვრა. კრიზისის ფაქტორის გათვალისწინება მენეჯერს საშუალებას მისცემს რაციონალური და ზუსტი სტრატეგია შეადგინოს. პირველ რიგში კრიზისის პრევენციაა სასურველი.

ანტიკრიზისულმა მართვამ საწარმოო საქმიანობის ყველა ასპექტი და სფერო უნდა მოიცვას. სტატიის განმავლობაში ავტორმა კრიზისის დაძლევის ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული მექანიზმები განიხილა. თითოეული ამ მექანიზმის კომპლექსურად განხილვის და საწარმოო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის დეტალური გააზრების მეშვეობით საწარმოს თუნდაც მოკლევადიან პეროდში კრიზისიდან გამოყვანაა შესაძლებელი. განსაკუთრებით მნიშვნლოვანია საწარმოს მოკლევადიანი პრობლემების მოგვარება, რადგან მოკლევადიანი პრობლემები საწარმოს ფუნქციონირებას ეჭვის ქვეშ აყენებენ.

1 Berisha-Namani M., The Role of Information Systems in Management Decision Making-an Theoretical Approach, Information Management, No 12, 2010

ამავე დროს კრიზისის დაძლევის მოკლევადიანი მექანიზმები საწარმოს გრძელვადიანი მდგრადობის და განვითარებისათვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის.

ლიტერატურა:

1. Berisha-Namani M., The Role of Information Systems in Management Decision Making-an Theoretical Approach, Information Management, No 12, 2010, pp 4-7

2. Ogunleye J., Contrasting Cases of Corporate Crisis Management Systems: a Research Report, International Journal of Knowledge, Innovation and Entrepreneurship, Volume 2 No. 1, 2014 pp 3-7

3. Евдокимова А.В., Крюкова О.Г., Превентивное Антикризисное управление: Цели, Задачи, Особенности, Журнал Стратегии Бизнеса, № 2(10), 2015, стр 2-4

4. Исаева В.М., Содержание Основных Этапов Политики Антикризисного Управления, Вестник Оренбургского Государсвенного Университета, No 13 (149), 2012, стр 2-6

5. Подгорная А.И., Инструменты Антикризисного Управления Предприятием в Условиях Неопределенности, Актуальные Проблемы Экономики и Права, № 4, 2012, стр 4-8

http://www.vinoge.com/qarTuli-Rvino/Rvinis-omis-qronikebi

REFERENCES:

1. Berisha-Namani M., The Role of Information Systems in Management Decision Making-an Theoretical Approach, Information Management, No 12, 2010; (in English Language);

2. Ogunleye J., Contrasting Cases of Corporate Crisis Management Systems: a Research Report, International Journal of Knowledge, Innovation and Entrepreneurship, Volume 2 No. 1, 2014 pp 3-7; (in English Language);

3. Evdokimova A.V. Kriukova O.G., Preventive Anti-Crisis Management: Goals, Objectives, Features, Business Strategy Magazine, № 2(10), 2015, pp 2-7; (in Russian Language);

4. Isaeva V.M., Content of the Main Stages of the Anti-Crisis Management Policy, Bulletin of the Orenburg State University, No 13 (149), 2012, pp 2-6; (in Russian Language);

5. Podgornaya, Tools for Anti-Crisis Management of the Enterprise in the Conditions of Uncertainty, Actual Problems of Economics and Law, № 4, 2012, pp 4-8; (in Russian Language);

http://www.vinoge.com/qarTuli-Rvino/Rvinis-omis-qronikebi.

SPECIFICS OF ANTI-CRISIS MANAGEMENT OF ENTRPRISES

Grigol Zubiashvili
GTU, PhD Student

RESUME

Anti-crisis management of enterprises is a new concept for Georgian reality. It is less known and actual among Georgian scholars and, therefore, in many cases is not properly developed and implemented in Georgian enterprises. In the US and European countries this is actual matter and many studies have been conducted in this regard.

Different scientists' publications in this field variedly differ. This prevents from development of a single anti-crisis concept. There are not mainly introduced new innovational ideas in Georgia in this field. Georgian practitioners in crisis situations rely on foreign scientists' conceptions.

Key words: Crisis, Conservative approach, Sustainability, Anti-crisis Management, Entity, Stability, Entity's Management, Objective Factor, Plan, Mechanism.

სამამულო და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა – ეროვნული ბიზნესის განვითარებისა და მისი სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი
ჟუჟუნა წიკლაური- შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი
ნათია შენგელია
ედ, სტუ ას.პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

რეზიუმე

ინვესტიციები მხოლოდ მაშინ შეასრულებს ეკონომიკის, სამამულო ბიზნესის განმავითარებელ როლს, როდესაც: ქვეყნის მასშტაბით დამყარდება ოპტიმალური თანაფარდობა უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის და ქვეყანა ძირითადად არ იქნება დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე; შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ამაღლება და რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა; ე.ი.საინვესტიციო პროცესში მონაწილე ყველა მხარე-ინვესტორებიც, ეროვნული ბიზნესიც და საზოგადოებაც-დარჩება მოგებული;

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ოპტიმალური თანაფარდობა უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის, ბიზნესის სოციალიზაცია.

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ეროვნული, საკუთარი წარმოების, ბიზნესის აღორძინება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნის მიღწევა გარდამავალი და ზოგიერთი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის

ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის, მხოლოდ საკუთარი (კერძო, სახელმწიფო) ინვესტიციების საფუძველზე უცხოური ინვესტიციების გარეშე წარმოუდგენელია.

ძირითადი ტექსტი

საკუთარი და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა ეროვნული ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მონაცემები ინვესტიციების შესახებ ფიქსირებულ აქტივებში საკუთრების ფორმების მიხედვით საქართველოში კი საპირისპიროს ადასტურებს - უცხოური სჭარბობს ადგილობრივს. ეს გარკვეულწილად იმაზე მიანიშნებს, რომ უცხოელ ინვესტორთა მსხვილმა კაპიტალდაბანდებებმა შეიძლება მონოპოლიურ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს. ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას, მიზანშეწონილია ამოვიდეთ რეციპიენტი ქვეყნის წარმოების უზენაესი მიზნიდან. ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლამდე (საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე), ჩვენი აზრით, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს: რა ოდენობის ინვესტიცია სჭირდება ქვეყანას, ვისი ფული შემოდის, სად, რომელ პრიორიტეტულ დარგებში დაიხარჯება იგი, რამდენად მომგებიანია ქვეყნისთვის, მისი მოსახლეობისათვის , ასევე რა სარგებლობა მოაქვს მას ინვესტორისთვის და ყოველივე ეს როგორ აისახება საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას. ე.ი.რეციფიენტ ქვეყანაში ინვესტიციების მიზნობრივი განთავსება და მისი შემდგომი სწორად მართვა კი არამარტო ქვეყნის საინვესტიციო, ბიზნეს გარემოს, არამედ საერთოდ ეკონომიკის თვისობრივად გაჯანსაღების საწინდარია.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საერთოდ ინვესტორების შემოსვლას ნიშნავს, მაგრამ ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკასთან როცა გვაქვს საქმე, მოცემული ქვეყნის წარმოების უზენაესი მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია ინვესტიციები ჩაიდოს პრიორიტეტულ დარგებში, სექტორებში, რომელთაც მოაქვთ შემოსავალი, დადებითი სოციალურ - ეკონომიკური შედეგი როგორც ინვესტორისათვის, ისე ინვესტიციის

მიმღები ქვეყნისათვის და წარმოადგენს ამ უკანასკნელისათვის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის საშუალებას. ინვესტიციების წარმოების უზენაესი მიზნის პოზიციიდან განხილვა ასევე მოითხოვს ამა თუ იმ ქვეყნის საკუთარი და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას. ამ მიმართულებით, ჩვენი აზრით, სასურველია მოცემულ რეციპიენტ ქვეყანაში ეროვნული ინვესტიციები სჭარბობდეს უცხოურს. მაგრამ, თუკი ეს ჯერ-ჯერობით ქვეყნის მასშტაბით შეუძლებელია, მაშინ დარგობრივად, მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებში მაინც საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის დახმარებით უნდა შევინარჩუნოთ ეს უპირატესობანი. ამ მხრივ დიდი შესაძლებლობები აქვს ამა თუ იმ ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირებისათვის, თუნდაც ტურიზმის, სოფლის მეურნეობის სფეროში, ფარმაციის დარგშიც, სადაც შეიძლება ეროვნული ინვესტიციების უპირატესად მოზიდვა. გამომდინარე აქედან, ყოვლად დაუშვებელია უცხოური ინვესტიციები წარიმართოს იქ, სადაც ადგილობრივ ინვესტორებს, ბიზნესმენებს შეუძლიათ საქმიანობის დაწყება, წარმოების განვითარება, ეფექტიანად ფუნქციონირება.

ამრიგად, ზემოაღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკნათ, რომ **ინვესტიციები მხოლოდ მაშინ შეასრულებს ეკონომიკის, სამამულო ბიზნესის განმავითარებელ როლს,** როდესაც:

-ქვეყნის მასშტაბით დამყარდება ოპტიმალური თანაფარდობა უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის (ადგილობრივი ინვესტიციების სასარგებლოდ, თუნდაც ზოგიერთი დარგის იმ სექტორში, სადაც ადგილობრივ ბიზნესს თავად შესწევს უნარი ეფექტიანად იფუნქციონიროს,) და ქვეყანა ძირითადად არ იქნება დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე;

-შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ამაღლება და რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა(აღმოიფხვრება ინვესტიციების მოხვედრა მცირე ჯგუფში და საინვესტიციო

პროცესში მონაწილეობას მიიღებს ხალხიც, ეს უკანასკნელი არ იქნება მხოლოდ მაყურებელი);ე.ი.საინვესტიციო პროცესში მონაწილე ყველა მხარე-ინვესტორებიც, ეროვნული ბიზნესიც და საზოგადოებაც-დარჩება მოგებული;

საკუთარი და უცხოური ინვესტიციების რეგულირების მექანიზმების შემუშავებისას სახელმწიფომ უნდა გაატაროს რიგი ღონისძიებები, კერძოდ: ა) უცხოური ინვესტიციების მიმართ შემუშავებულ სტრატეგიაში სწორად განსაზღვროს ეროვნული ბიზნესის მიმართ პროტექციონიზმისა და უცხოური ინვესტიციებით სტიმულირების როლი, შესაბამისობა და ზღვრები; ბ) უნდა შეირჩეს სასურველი უცხოური ინვესტიციების სტიმულირებისა და არასასურველის შეკავების ტაქტიკა და მეთოდი.

საკუთარი და უცხოური ინვესტიციების გამოყენების ოპტიმალური თანაფარდობის რეგულირების აღნიშნული მექანიზმი, ჩვენი აზით, შეიძლება განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც ინვესტირების სტიმულირების, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მყარი გარანტიის ჩამომყალიბებელი მექანიზმები.

ამრიგად, თანამედროვე, გლობალური ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მონაწილეობა საკუთარი და უცხოური ინვესტიციების გამოყენების ოპტიმალური თანაფარდობის რეგულირების საქმეში არა თუ საჭიროა, არამედ აუცილებელიც, ოღონდ მინიმალურად აუცილებელ და მაქსიმალურად დასაშვებ საზღვრებში ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საინვესტიციო საქმიანობას ერთიან საერთაშორისო საინვესტიციო სივრცეში. მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს კონკურენტუნარიანი გარემო და ადილობრივი და უცხოური ინვესტორები იმყოფებოდნენ თანაბარ პირობებში, ხოლო სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ერეოდეს მათ საქმიანობაში, თუ ადგილი ექნება კონკურენციის დარღვევას. სახელმწიფომ სწორად უნდა განსაზღვროს საინვესტიციო პოლიტიკა , რადგან ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს დარგები, რომლებიც აუცილებელია იყოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში. ასევე საინვესტიციიო პოლიტიკის განსაზღვრის დროს სახელწიფომ უნდა იხელმძღვანელოს საექსპო-

რტო და საიმპორტო პროდუქციის თანაფარდობაზე, რომელიც იწარმოება ქვეყანაში, რათა არ მოხდეს ადგილობრივი ბიზნესის შემცირება(ამ მხრივ ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს), ასევე სასურველია ქვეყანაში არსებულ მონოპოლიურ დარგებში გაჩნდეს ჯანსაღი კონკურენტები და ა.შ.

საქართველოში მთავარი აქცენტი უნდა კეთდებოდეს და კიდევ უფრო პრიორიტეტული უნდა გახდეს მომავალში არა იმდენად ინვესტიციების მასტიმულირებელი რომელიმე ცალკეული ფორმა, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბება, რომელიც გადამწყვეტია როგორც საკუთარი, ისე უცხოური ინვესტიციური აქტიურობისათვის. რაც უფრო ლიბერალურია საინვესტიციო გარემო რეციპიენტ ქვეყანაში, მით უფრო ძლიერ განვრცობით ეფექტებს წარმოშობს ამ ქვეყანაში შესული პირდაპირი უცხოური კაპიტალი. ასეთი გარემო, როგორც წესი, იზიდავს ბევრად უფრო დინამიურ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც ხასიათდება უფრო დიდი, მზარდი მასშტაბების, მოწინავე ტექნოლოგიებისა და უახლესი მენეჯმენტის პრაქტიკის შემომტანი თვისებებით. შეზღუდული საინვესტიციო გარემო კი ხასიათდება რესტრუქციული პირობით და იზიდავს პოტენციაურად ნაკლებად პროდუქტიული, მორალურად მოძველებული ტექნოლოგიებისა და ინერტულ ცოდნაზე დაფუძნებულ კაპიტალს, რითაც მცირდება პოტენციური ეფექტების გავრცელების არეალი.

სასურველი საინვესტიციო გარემოსა და სამამულო ინვესტიციების, ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულებით განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი მიუძღვის პოლიტიკურ მდგომარეობასა და ეკოლოგიურ სიჯანსაღეს. საინვესტიციო მიმზიდველობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ქვეყნის, რეგიონის ობიექტური შესაძლებლობების-საინვესტიციო პოტენციალის, ან მხოლოდ ინვესტორის საქმიანობის პირობების-საინვესტიციო რისკის (რომლის სიდიდე აჩვენებს ინვესტიციების დანაკარგების და მათგან მოგების მიღების ალბათობას) განხილვა. ქვეყანა, რეგიონი შეიძლება

საუკეთესო იყოს პოტენციალის თვალსაზრისით - მაგალითად, გააჩნდეს ნედლეულ-რესურსული (ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეების საბალანსო მარაგით უზრუნველყოფა), შრომითი (შრომითი რესურსები და მათი საგანმანათლებლო დონე), საწარმოო (რეგიონში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთიანი შედეგი), ინოვაციური (რეგიონში მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დონე), ინსტიტუციური (საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარების ხარისხი), ინფრასტრუქტურული (რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა), საფინანსო (საგადასახადო ბაზის მოცულობა და რეგიონის საწარმოების მომგებიანობა), სამომხმარებლო (რეგიონის მოსახლეობის ერთობლივი მსყიდველობითი უნარი) პოტენციალი, ან მოსახლეობა იყოს მდიდარი, მაგრამ თუ პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია, ან გარემო ეკოლოგიურად იმდენად დაბინძურებული, რომ , მაგალითად, კიდევ ერთ ქარხანას მოსახლეობა უბრალოდ ვერ აიტანს, ინვესტიციებზე ლაპარაკი ზედმეტია.ვინაიდან გარემოს გაბინძურბაში ყველაზე მეტი წილი ბიზნესს მიუძღვის, ამიტომ არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც მოხდეს ბიზნესის ოპტიმიზაცია ისე, რომ ამით ბიზნესმა შეამციროს ნარჩენების მოცულობა და მოიგოს თვითონაც და გარემომაც. მსგავსი მაგალითის მოყვანაც შეიძლება საქართველოს პრაქტიკიდან. მაგ., როცა ვყიდულობთ ახალ, ან თუნდაც მეორად კარგ მანქანას, კი არ უნდა მოვხსნათ მას კატალიზატორი და გავყიდოთ ბაზარზე (**იყიდება დაახლოებით 100 აშშ** დოლარად-ხაზგასმა ჩვენია), არამედ, პირიქით, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მოვაწესრიგოთ სწვავის ხარჯვის მექანიზმები და მიღებული ეკონომიით მოვიგოთ ჩვენც, გარემომ და ქვეყანამაც. ე.ი. საჭიროა ეკონომიკისადმი, ბიზნესისადმი და, საერთოდ ყველა სფეროში(თუნდაც განათლების სფეროში ახალი „გარემოს დაცვის მენეჯერის“ სპეციალისტების მომზადება. ასეთი სპეციალისტები დაეხმარება კომპანიებს ფინანსურადაც მოიგონ, იმიჯიც გაიუმჯობესონ და თავიანთი წვლი-

ლი შეიტანონ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში) რაციონალური მიდგომა. ასე რომ საიინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას სოციალურ ფაქტორებს, ჩვენი აზრით, არანაკლები დანიშნულება აქვს და მისი ასეთი მნიშვნლობა მომავალში კიდევ უფრო გაიზდება.

დღესდღეობით უცხოურ ინვესტორთა წილი ბაზარზე ისევ საკმაოდ მაღალია. ამიტომ მნიშვნელოვანია უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების უკან დაბრუნების სამოქმედო სტრატეგიაზე ფიქრი. ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც გარკვეული წლების წინ უცხოეთში შრომითი მიგრაციის გამო წავიდნენ, დღეს მსხვილ ბიზნესმენებად გვევლინებიან ამა თუ იმ ქვეყანაში. სასურველია ქვეყანამ წაახალისოს ამ მოქალაქეების უკან დაბრუნება და მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე გარკვეული შეღავათების გაწევა. ყოველივე ამით მეტი წვლილის შეტანა შეიძლება ეროვნული ეკონომიკის, სამამულო ბიზნესის აღორძინებაში.

References:

1. http://carnegieendowment.org/chinafinancialmarkets/52078;
2. http://www.investopedia.com/terms/o/optimal-capitalstructure.asp;
3. www. GeoStat.ge;
4. http://eugeorgia.info/ka/article/524/pirdapiri-ucxouri-investiciebi---aris-tu-ara-saqartvelo-investorebistvis-mimzidveli-qveyana/

PROVISION OF OPTIMAL RATIO BETWEEN LOCAL AND FOREIGN INVESTMENTS- AS AN IMPORTANT FACTOR FOR DEVELOPMENT OF NATIONAL BUSINESS AND ITS SOCIALIZATION

Revaz Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU
Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU
Natia Shengelia
PhD, Professor of GTU, Graduate from
The Oxford University, Business Faculty

RESUME

Investments will only play a crucial developing role in economics and national business, when the country will be able to establish the optimum ratio between foreign and local investments and the country will not depend mainly on foreign capital; Consequently, the improvement of the living standards of the population will be ensured and also solution of a number of socio-economic problems; Thus, all the parties involved in the investment process - investors, national businesses and the society - will be satisfied;

Key words: Investment; Optimal ratio between foreign and local investments: Business socialization.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების (რემიტანსების) გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

ბენ იაკოვ რივკა
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილების, ე.წ. რემიტანსების ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის საკითხი. აღნიშნულია ის დადებითი ეფექტები, რომელიც განაპირობებს ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და შედეგად სიღარიბის დონის შემცირებას, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებას
და სხვ. კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე ჩატარებულია ქვეყნის მშპ-სა და რემიტანსებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზი და დადგენილია, რომ 90% შედეგობრივი ნიშნის (მშპ) საერთო ვარიაცია ფაქტორული ნიშნის (რემიტანსების) შედეგია. ე.ი. მათ შორის მჭიდრო კავშირია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უკანასკნელ წლებში რემიტანსების გავლენა მშპ-ზე და ეკონომიკურ ზრდაზე გაძლიერდა.

რემიტანსების გავლენის სრული სურათისათვის ჩვენს მიერ გაანგარიშებულ იქნა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი და ეკონომიკურ განვითარებაზე მისი ზემოქმედების დონე.

საკვანძო სიტყვები: შრომითი მიგრანტები, ფულადი გზავნილები, რემიტანსები, ეკონომიკური ეფექტი.

ძირითადი ტექსტი:

რემიტანსები წარმოადგენს კერძო პირის საკუთრებას და საოჯახო ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს. ამ პროცესის განხო-

რციელებისათვის აუცილებელია ორი სუბიექტის - გზავნილის გამგზავნი და მიმღები პირის მონაწილეობა, მათი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედების მექანიზმის რეალიზების უზრნველყოფაში კი მრავალი მონაწილე.

საქართველოს ეკონომიკაში შრომითი მიგრანტებისაგან ფულადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაკადებს პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურ ცვლადზე შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს. ამასთან რემიტანსების მიმღებთა ხარჯები იწვევს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას შემდეგნაირად:

- ადგილობრივი წარმოების საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდა ანუ გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადიდება იწვევს სამამულო საქონლისა და მომსახურების წარმოების სტიმულირებას, შიდა წარმოების გადიდებით;
- ადგილი აქვს იმპორტირებულ საქონელზე მოთხოვნის გადიდებას, რაც განაპირობებს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ზრდას;
- კერძო სექტორში ბინათმშენებლობის ზრდა განაპირობებს მთლიანობაში მსენებლობის დარგის განვითარებას;
- კერძო ბინათმშენებლობა სამშენებლო მასალებზე დამატებით მოთხოვნას წარმოშობს, რაც მათი წარმოების გადიდებას იწვევს;
- სამეწარმეო საქმიანობის დაწყება და განვითარება ასევე ეკონომიკური ზრდის წყაროა;
- ადამიანური კაპიტალის განათლებაზე გაწეული ხარჯები, თვის მხრივ ინვესტიციაა, რომლისგანაც ეფექტი საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მიიღება.

ასევე შესაძლებელია გამოვყოთ რიგ სხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე რემიტანსების ზემოქმედების რამდენიმე პოტენციური მექანიზმი. ასე მაგ., რემიტანსების მიმღებმა შინამეურნეობამ თავისი მოთხოვნების გაზრდით შეიძლება განაპირობოს კიდეც გზავნილების მოცულობის ზრდა. ასევე კარგად ნაცნობია ის ფაქტიც, რომ იმპორტირებული სამომხმარებლო საქონლის წილი საერთო მოხმარებაში მნიშვნელოვნად მაღალია, ამიტომ გზავნილების ნაწილი შეიძლება გაწეულ იქნას

ქვეყანაში სამომხმარებლო საქონლის იმპორტის დაფინანსებაზე.

ჩვენი შეხედულებით, ამას რიგი კვლევებიც ადასტურებს, არ უნდა გვქონდეს დიდი მოლოდინი გზავნილები ძირითად კაპიტალში ინვესტირებისათვის იქნება გამოყენებული. ერთის მხრივ, გზავნილები მრავალი შინამეურნეობის დანაზოგის სახით ასოცირდება, შესაბამისად გზავნილების ზრდამ უნდა მიგვიყვანოს შიდა დაზოგვის გადიდებამდე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ინვესტირებაში იქნება ჩადებული. მრავალი შინამურნეობა უპირატესობას დანაზოგებით უძრავი ქონების შეძენას ანიჭებს, რაც საცხოვრებელი ბინებისა და სახლების ფასების ზრდაში გამოიხატება.

ამიტომ, ნათელია, რომ დანაზოგების ასეთი ტიპის ზრდა ვერ იქნება მშპ-ს მატებაში დიდი წვლილის შემტანი. რათქმა უნდა საცხოვრებელ ფართებზე მზარდი ფასების არსებობა დიდი სტიმულია ბინათნმშენებლობისათვის. თუმცა მშპ-ში ამ ეკონომიკურ სექტორს დიდი წვლილი ვერ შეაქვს (2015 წელს, 6%).

რათქმაუნდა, შეიძლება არსებობდეს მოლოდინი რომ იგი დადებით იმოქმედებს მშპ-ის ზრდაზე, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე კერძო მოხმარებაზე. სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შიდა წარმოების ზრდამ, რომლებიც გზავნილების მოცულობის ზდითაა პროვოცირებული, გამოიწვიოს დასაქმების რაღაც დონეზე გაზრდა. თუმცა მისი ცალკე სახით აღრიცხვა ძალზედ რთულია.

სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმპორტის დგღ-ს, აქციზისა და საბაჟო გადასახადებით დაბეგვრიდან მიღებული შემოსულობები. ამიტომ იმპორტის ზრდამ - გზავნილების ნაკადების მოსალოდნელი შედეგის სახით - უნდა მიგვიყვანოს სახელმწიფო შემოსავლების გადიდებამდე.

რემიტანსები ასევე იწვევს სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებას - მის დევალვაციას ან განმტკიცებას.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე სხვა ფაქტორებიც

ზემოქმედებენ. გზავნილების დანაზოგებად გარდაქმის დაბალი ხარისხი, გზავნილების მიმღებთა მიერ კაპიტალურ ინვესტიციების ფინანსირებისათვის ბანკის კრედიტების ნაკლებად გამოყენება და გზავნილების ბიზნესის ინვესტირებაში განთავსების დაბალი დონე, მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინვესტირებაზე გზავნილების ზემოქმედების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

ზემოთმოტანილი მსჯელობის შედეგების დასაბუთებისათვის მიზაშეწონილია განხორციელებულ იქნას რემიტანსების ქვეყნის მშპ-სა და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებზე გავლენის ხარისხის ეკონომიკურ-სტატისტიკური გაანგარიშებები, მსოფლიო ბანკის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდიკის საფუძვლზე, რათა განისაზღვროს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარება.

საქარველოს მშპ-სა და რემიტანსების მოცულობას შორის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისავის გამოყენებულ იქნა ამ მაჩვენებელთა ბოლო 8 წლის სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილი 1.

საქარველოს მშპ-სა და რემიტანსების მოცულობა 2008-2015 წწ.

წელი	რემიტანსები მლნ. აშშ დოლარი (x)	მშპ-ს მოცულობა მლნ. აშშ დოლარი (y)
2008	1002,1	1 564.0
2009	841,7	658.4
2010	1052,3	814.5
2011	1268,1	1 117.2
2012	1334,1	911.6
2013	1477,0	941.9
2014	1440,7	1 758.4
2015	1080,0	1 564.5

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისათვის წრფივი ფუნქციის გამოყენებით დადგინდა მათ შორის მჭიდრო პირდაპირი კავშირი.

დეტერმინაციის კოეფიციენტი	R^2	0,9
კორელაციის ინდექსი	R	0.95
კავშირის ხარისხი	R	0.95
	r^2	0.9

R^2 გვიჩვენებს, რომ 90% შედეგობრივი ნიშნის საერთო ვარიაცია ფაქტორული ნიშნის შედეგია. ე.ი. მათ შორის მჭიდრო კავშირია. ეს კი ნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რემიტანსების გავლენა მშპ-ზე და ეკონომიკურ ზრდაზე გაძლიერდა.

რემიტანსების გავლენის სრული სურათისათვის ჩვენს მიერ გაანგარიშებულ იქნა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი და ეკონომიკურ განვითარებაზე მისი ზემოქმედების დონე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემული მაჩვენებლების გაანგარიშება განხორციელდა მსოფლიო ბანკის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის მიერ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითრების გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდიკის საშუალებით, რომელიც გვიჩვენებს რომ წარმოება როგორც ფაქტორი, კერძოდ კი, შრომითი რესურსები (შრომითი მიგრაცია) გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე.

მოცემული მეთოდიკა შემოთავაზებული მაჩვენებლის სახით გამოიყენებს მაჩვენებელს, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევუდაროთ საანგარიშო პერიოდში საზოგადოების შრომითი დანახარჯების ერთობლიობა (მშპ) წარმოების ყველა ფაქტორის დანახარჯბის ერთობლიობას. რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო აქტიური და მრავალფეროვანია საგარეო ეკონომიკური კავშირების ფორმები.

$$\text{ეკონ. ეფექტ} = \frac{\text{ქვეყნის მშპ}}{\text{წარმოების ყველა ფაქტორის დანახარჯთა ერთობლიობა}}$$

დანახარჯების ერთობლიობა - ეს არის საანგარიშო წელს

ქვეყანაში წარმოებული მზა ნაკეთობებისა და მომსახურების თვითღირებულება. იგი შედგება მოხმარებაზე, ინვესტიციებზე, საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფო ხარჯებზე და წმინდა ექსპორტზე გაწეული ერთობლივი ხარჯებისაგან.

მაჩვენებელზე „წარმოების ყველა ფაქტორის ერთობლივი დანახარჯები" მონაცემთა არ არსებობის გამო მოცემული მაჩვენებელი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას შემდეგნაირად: რადგან ერთობლივი დანახარჯები საქონლისა და მომსახურების თვითღირებულებაცაა, ამიტომ იგი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკაში ყველა საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ამონაგებიდან (მშპ) დგღ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით. ქვეყნის მშპ-ი შედგება 4 მაჩვენებლისაგან: მოხმარება, ინვესტიცია, სახლმწიფო ხარჯები, წმინდა ექსპორტი. ამიტომ ერთობლივი დანახარჯები (თვითღირებულება) აუცილებელია ცალცალკე უნდა გავიანგარიშოთ მშპ-ის ყველა შემადგენელი ნაწილის (წარმოების ფაქტორების) მიხედვით:

- მოხმარების ერთობლივი დანახარჯები= მოხმარება-მოხმარების 20%
- ინვესტიციის ერთობლივი დანახარჯები=ინვესტიციები-ინვესტიციების20%
- სახლემწიფო ხარჯების ერთობლივი დანახარჯები=სახელმწიფო ხარჯები-სახელმწიფო ხარჯების 20%
- წმინდა ექსპორტის ერთობლივი ხარჯები=წმინდა ექსპორტი-წმინდა ექსპორტის 20%.

შემდეგ კი საჭიროა წარმოების ყველა ფაქტორის მიხედვით ერთობლივი დანახარჯების გაანგარიშება ღირებულებით გამოსახულებაში ცალცალკე თითოეეული მშპ-ის მნიშვნელობაზე გაყოფით. მიღებული ერთობლივი დანახარჯების ჯამი იქნება წარმოების ყველა ფაქტორის დანახარჯი.

თუ ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი 1-ზე მეტი იქნება, მაშინ ეკონომიკა ეფექტური და რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო მაღალის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე.

როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენა ეკონომიკური ეფექტიანობის მაცვენებელი 1-ზე მეტია, ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკა ეფექტურია. თუმცა შეინიშნება მისი კლება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკის რეალურ სექტორში შინამეურნეობათა მოხმარება იზრდება და დაგროვება (ინვესტიციები) მცირდება.

გაანგარიშებული მონაცემებიდან სჩანს, რომ საქართველოში რემიტანსები გამოიყენება მოხმარებისათვის, რაც იწვევს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლის შემცირებას, ხოლო შინამეურნეობათა დაგროვებას ფულად გზავნილებში უმნიშვნელო წილი უკავია, რომელიც მოქმედებს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების დონეზე.

დასკვნა

მოცემულ მომენტში საქართველო აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო მიგრაციაში და ეს ტენდენცია წარმოადგენს მინიმუმ საშუალოვადიან ტენდენციას. რადგან მიგრაცია დაკავშირებულია რემიტანსებთან, იგი კვლავ რჩება ქვეყნის ეკონომიკის ფინანსირებაში წამყვანი როლის მქონე. ჩვენი აზრით, აუცილებელია იმის გააზრება, რომ საქართველოში რემიტანსების ნაკადები - ეს არის არა მარტო სავალუტო შემოსულობები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სავაჭრო დეფიციტის ან მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის ბალანსისათვის, არამედ წარმოების ინვესტირებისა და სოციალური განვითარების წყარო.

THE IMPACT OF CASH TRANSFERS (REMITTANCES) OF LABOUR MIGRANTS ON ECONOMIC DEVELOPMENT OF A COUNTRY

Ben Iakov Rivka,
GTU, PhD Student

RESUME

In the article" The Impact of Cash Transfers (Remittances) of Labour Migrants on Economic Development of a Country" is discussed the impact of the cash transfers, (remittances) made by labour migrants, on the economic development. For this reason, there was calculated the index for economic efficiency and its level of influence on the economic development.

Key words: Labour migrants, cash transfers, remittances, economic effect.

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები

არჩილ გოგრიჭიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მსოფლიოს რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებებით, მთიანი რეგიონები არის გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომლის რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს განვითარების, მოწყობისა და დაცვის საგანგებო წესების შემუშავებასა და ამოქმედებას.

ციურიხის კარტოგრაფიული ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, დედამიწის რელიეფური პორტრეტი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ხმელეთის თითქმის ნახევარი 500 მეტრზე მაღლაა ზღვის დონიდან, მათ შორის 27% - 1000 მეტრზე, 11% - 2000-ზე, 5% - 3000-ზე და 2% - 4000 მეტრზე მდებარეობს. მაშასადამე, მთიან ტერიტორიებს დედამიწის საკმაოდ დიდი ნაწილი ეკუთვნის. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს ცნებით ტერმინოლოგიური აპარატის ზუსტად განსაზღვრას.

მსოფლიოს მთიანი რეგიონების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს.ერთ-ერთი კლასიფიკაციით დაყოფილია 4 კატეგორიად (ზონად) ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით: ზღვის დონიდან სიმაღლისა და რელიეფის ვარდნით 300 მეტრით 5 კმ ორთოგონალურ პროექციაში.

ამ კლასიფიკაციის თანახმად, გაანალიზებულია მსოფლიოს 199 ქვეყანა, მათი ტერიტორიების მიმართ მთიანეთის შემდეგი წილების მიხედვით: 0-10%, 10-25%, 25-50%, 50-100%.

საქართველო შედის IV კატეგორიაში სხვა 52 ქვეყანასთან ერთად, რომელთა შორის არიან: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, საბერძნეთი, ირანი, იტალია, იაპონია, ყირგიზეთი, შვეიცარია და სხვა ყველაზე მთიანი ქვეყნები. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთარ ტერიტორიაზე თითქმის ყველა ქვეყანა მიმართავს მთიანობის ზონების დადგენის საკუთარ მეთოდოლოგიას და პროცედურებს.

ამრიგად საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთიანია, შესაბამისად მაღალთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, თუ დემოგრაფიული პრობლემატიკის წამოწევა, შესწავლა და ამ პრობლემატიკის გადაჭრის სტრატეგიის განსაზღვრა პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ეკონომიკური ზრდისათვის.

საკვანძო სიტყვები: მაღალმთიანი რეგიონი, დემოგრაფიული კრიტერიუმი, მთის კანონი, დეპრესიული ზონები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე რეგიონული პოლიტიკისათვის დღეს საზოგადოდ დამახასიათებელია საერთო ეროვნული განვითარების პროგრამებში მთის რეგიონების პრობლემატიკის გამოყოფა. მთიანეთის პრობლემატიკა ყოველთვის იყო სახელმწიფოებრივ ინტერესების ერთ-ერთი სფერო. ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა ხელისუფლება, როგორც წესი, ბარში იყო დაფუძნებული და, ამდენად, მთის რეგიონები ტერიტორიული და ფუნქციური თვალსაზრისით ,,პერიფერიის“ კატეგორიას განეკუთვნებოდა. აქ, ბართან შედარებით, გვიან შემოდიოდა თანამედროვე, ცივილიზაციური ინოვაციები. ამდენად, ბარისა და მთის ურთიერთობა ყოველთვის წარმოადგენდა ,,ცენტრისა“ და ,,პერიფერიის“ ურთიერთობას. აქედან გამომდინარე ყველა სირთულით, წინააღმდეგობითა და არც თუ ისე იშვიათი დაპირისპირებით (მცირერიცხოვან გამონაკლისთა რიგს, ალბათ, მხოლოდ შვეიცარია შეიძლება მივაკუთვნოთ).

მსოფლიოში გამოიკვეთა რეგიონების დისპროპორციული განვითარების პრობლემა. ამჟამად, ერთმანეთისაგან განას-

ხვავებენ შემდეგი სახის ტერიტორიებს: დეპრესიული რეგიონი (სადაც განვითარების ტემპები ძალიან დაბალია), სტაგნაციური (სადაც განვითარება ნელი ტემპით, ან საერთოდ არ ხდება), ყამირი ტერიტორიები, რომლებიც ახალ ათვისებას ექვემდებარება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მთიანი რეგიონები ყველგან განეკუთვნება ეკონომიკურად დეპრესიულ ზონებს, სადაც განსაკუთრებით იჩენს თავს სოციალური ეროზია.

ამ პრობლემების გააზრებისა და მოვლის ამოცანამ ფართე მასშტაბიანი ხასიათი პირველად მიიღო ამერიკულ, „მარშალის გეგმაში“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპისათვის.

დეპრესიული რეგიონების განვითარების პრობლემები ეფექტურად წყდება განსაკუთრებული ბიუჯეტური რეჟიმების და წესების გზითაც. ამ რეჟიმების დაწესება ჩვეულებრივ რეგულირდება საერთო - ეროვნული კანონებით და გულისხმობს შესაბამის ბიუჯეტური და საგადასახადო კანონმდებლობის, აგრეთვე სამართლის სპეციალური განყოფილებების (სახელშეკრულებო, საკონტრაქტო, საინვესტიციო) არსებობას. ზოგჯერ იყენებენ ისეთი რეჟიმების ინდივიდუალურ-სახელშეკრულებო ფორმებს, რომელთაც სამართლებრივი საფუძვლების მიზეზები არა აქვთ და განიცდიან ხშირ გადახედვას. განსაკუთრებული ბიუჯეტური რეჟიმები შეიძლება გავრცელებული იქნეს როგორც ქვეყნის მთელ რეგიონებზე, ისე ფართობით პატარა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულზე (მაგალითად, რაიონი ქალაქში). ბუნებრივია, რომ აღნიშნულის გამო განსაკუთრებული ბიუჯეტური რეჟიმები მათთვის განსხვავებული იქნება.

საქართველოში მთიანეთის სამართლებრივ არეალს განსაზღვრავს საქართველოს კანონი ,,მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ (2016 წ., შემდგომი დამატებებით). ჰოფსიმეტრიული სიმაღლის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე, ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმების (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური

პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვემოთ მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს.(მუხლი 2.1)

ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭებათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყარის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა (მუხლი. 2.2)

ამდენად, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის საფუძველზე ამ ორი ფაქტორის: ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მაღლა მდებარეობისა და ჩამოთვლილ ისტორიულ- გეოგრაფიულ მხარეებისადმი მიკუთვნებულობის მიხედვით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი 1128 დასახლებას მიენიჭა. კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მთის განვითარების ეროვნული საბჭოსათვის ობიექტური კრიტერიუმების პროექტის შესამუშავებლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაამუშავა 2000-ზე მეტი დასახლების მონაცემები.

რამდენადაც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შე-

სახებ“ კანონის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისგან დაცლის პროცესის შეჩერება, მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე მიზანშეწონილად მიიჩნია ზღვის დონიდან 800-1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ისეთი დასახლებებისთვის, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 10 და ნაკლებია. დანარჩენი დასახლებებისათვის პირველ კრიტერიუმად მიჩნეულ იქნა:

დემოგრაფიული კრიტერიუმი, რომლითაც ხდება იმ დასახლებების განსაზღვრა, სადაც განსაკუთრებით მძიმეა დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებულია მიგრაციული პროცესები და აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევა. ამ მიზნით გამოიყენება ორი მაჩვენებელი: მოსახლეობის კლება 2012 და 2014 წლების აღწერებს შორის პერიოდში და დასახლების მცხოვრებთა საშუალო ასაკი, 2014 წლის აღწერის მიხედვით 2002 და 2014 წლის აღწერების მონაცემების შედარებამ აჩვენა, რომ სოფლის მოსახლეობის შემცირების პროცესი მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს და განსაკუთრებით მკვეთრია მთიან რეგიონებში. სოფლის მოსახლეობის შემცირების საშუალო მაჩვენებელმა ამ პერიოდში ქვეყნის მასშტაბით 23,4% შეადგინა. მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ მიიჩნია, რომ დასახლების მცხოვრებთა რაოდენობის 25%-ზე მეტად შემცირება გვიჩვენებს მდგომარეობის კრიტიკულობას. თუ მოსახლეობის საშუალო ასაკი მაღალია, ეს ნიშნავს, რომ ხდება მოსახლეობის დაბერება, რაც ამცირებს შობადობას და ბუნებრივ ნამატს, საბოლოო ჯამში კი იწვევს დეპოპულაციას. 2014 წლის აღწერების მონაცემებით, სოფლის მოსახლეობის საშუალო ასაკი ქვეყანაში შეადგენს 39,7 წელს. მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ მიიჩნია, რომ დასახლების დემოგრაფიული მდგომარეობა ასევე კრიტიკულად უნდა შეფასდეს, თუ მოსახლეობის საშუალო ასაკი 40 წელზე მეტია. მხოლოდ დემოგრაფიული კრიტერიუმის გამოყენებისას დასახლებათა ჩამონათვალში შესაძლებელია მოხვდეს როგორც მთის, ისევე ბარის სოფლები.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ევგენი. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება - თბ., 2008;
2. ბერაძე, თამაზ რაჭა : [ფიზიკურ-გეოგრაფიულია აღწერილობა]. - თბ. : საბჭ. საქართველო, 1983;
3. მარუაშვილი, ლ. კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია.- ნაწ.3.: ბუნებრივი რეგიონების კომპლექსური დახასიათება.- თბ.- 1986;
4. მაქსაკოვსკი, ვ. მსოფლიოს გეოგრაფიული სურათი. რეგიონული მიმოხილვა - თბ.: ლეგა, 2002.

REFERENCES:

1. Baratashvili Evgeni. Complex assessment of competitiveness of regions of Georgia (2008) (In Georgian Language);
2. Beradze Tamaz. Physical-geographical description (1983) (In Georgian Language);
3. Maruashvili L. Physical geography of the Caucasus. - Part 3. : Complex characterization of natural regions (1986) (In Georgian Language);
4. Maksakovski V. Geographical picture of the world. Regional Overview (2002) (In Georgian Language).

MAIN DIRECTIONS OF SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF HIGH-MOUNTAINOUS REGIONS

Archil Gogrichiani GTU, PhD Student

RESUME

The mountainous regions are geographical, economic and social units, with relief, climate, natural and cultural heritage, socio-economic policy, and development of special rules for development, arrangement and protection.

According to the Zurich Cartographic Institute, the earth's relief portrait is as follows: Nearly 500 meters above sea level is above sea level, including 27% - 1000 meters, 11% - 2000, 5% - 3000 - upper 2% - 4000 meters. Therefore, mountainous terrain is a large part of the Earth. Hence the importance of accurate definition of the terminology apparatus.

There are several classifications of mountainous regions of the world. One of the classifications is divided into 4 categories (zones) according to two main criteria:

Elevation from sea level and relief to 300 meters in 5 km orthogonal projection.

According to this classification, 199 countries worldwide are analyzed according to the following areas of mountainous areas: 0-10%, 10-25%, 25-50%, 50-100%.

Georgia is included in the IV category, with 52 other countries, including Armenia, Azerbaijan, Turkey, Greece, Iran, Italy, Japan, Kyrgyzstan, Switzerland and other most mountainous countries. It should be noted that almost every country in their territory will apply its methodology and procedures for determining the mountainous zones.

Thus, the vast majority of Georgian territories are mountainous, therefore highlighting socioeconomic or demographic problems of high mountain regions, studying and determining strategy of solving this problem is a fundamental issue for Georgia's economic growth.

Key words: mountainous region, demographic criteria, mountain law, depressive zones.

მუნიციპალური მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

ვაჟა ზეიკიძე, გიორგი მაისურაძე,
ნატალია ელგენდარაშვილი, ცირა ელგენდარაშვილი
სტუ აკადემიური დოქტორები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყნის მუნიციპალური ფინანსური, საოპერაციო და ტექნიკური, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხთა ფართო წრე, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და აქტუალურს ხდიან მუნიციპალურ მენეჯმენტს თანამედროვე პირობებში. გათვალისწინებულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რომელიც გვიჩვენებს, რომ მუნიციპალური მართვის პრობლემის განხილვის დროს აუცილებლად უნდა იქნეს დაცული მოვლენათა კომბინირებული ანალიზის პრინციპი, რომლის თანახმადაც დასახული ღონისძიებების ეფექტი შეფასებული უნდა იქნას მისი გავრცელების მთელ არეალში, მუნიციპალური მენეჯმენტის ყველაზე დაბალი დონიდან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს დონემდე. დახასიათებულია მუნიციპალიტეტების ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების დროს მხედველობაში მისაღები დარგობრივი სამსახურების თავისებურებანი, რომელიც გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებიდან და ფუნქციონალური სამსახურების შექმნის სპეციფიკიდან.

საკვანძო სიტყვები: მუნიციპალური მენეჯმენტი, მერია, გამგეობა, ადგილობრივი თვითმმართველობა.

შესავალი

მუნიციპალურ მენეჯმენტს ადგილობრივ თვითმმართველობებში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. თვითმმართველობათა აღმასრულებელი რგოლი უშუალოდ მონაწილეობს ადგილებზე მმართველობის განხორციელებაში და, მეორეს მხრივ, გვევლინება ადგილებზე სახელმწიფო პოლიტიკის გა-

მტარებელ ორგანოდ. აღნიშნული გარემოება ნათლად მიუთითებს მენეჯმენტის როლზე მუნიციპალურ სტრუქტურებში.

მუნიციპალური ფინანსური, საოპერაციო და ტექნიკური, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და აქტუალურს ხდიან მუნიციპალურ მენეჯმენტს თანამედროვე პირობებში. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მუნიციპალური მართვის პრობლემის განხილვის დროს აუცილებლად უნდა იქნეს დაცული მოვლენათა კომბინირებული ანალიზის პრინციპი, რომლის თანახმადაც დასახული ღონისძიებების ეფექტი შეფასებული უნდა იქნეს მისი გავრცელების მთელ არეალში მუნიციპალური მენეჯმენტის ყველაზე დაბალი დონიდან, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს დონემდე. 2014 წლის თებერვალში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიღებითა და ამოქმედებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებული ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც უპირველეს ყოვლისა შეეხო თვითმმართველობათა აღმასრულებელ რგოლს. ამ კოდექსით აღმასრულებელ ორგანოდ განისაზღვრა უშუალოდ გამგებელი (მერი), ხოლო გამგეობა (მერია) გახდა გამგებლის (მერის) დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის (მერის) უფლებამოსილების განხორციელებას. მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყრით არჩევამ არსებითად შეცვალა გამგებლის (მერის) სტატუსი და იგი გახდა მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი. კოდექსით დეტალურად გაიწერა გამგებლის (მერის) უფლებემოსილებანი. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ ცენტრალური ფიგურა გახდა გამგებელი (მერი), რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ლიდერს, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირს და მუნიციპალიტეტის მმართველს.

ძირითადი ნაწილი

გამგებლის (მერის) ამგვარი სტატუსი, ცენტრალური ფიგურა, განაპირობებს მისი საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის სპეციფიკას. კერძოდ: ერთის მხრივ მისი საქმიანობა მიმართულია პოლიტიკური პროცესების მართვაზე, მოსახლეობის და საკრებულოს უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინებასა და მიღებული ნდობის შენარჩუნებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მმართველობითი ფუნქციის განხორციელებაზე, ანუ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის:

• საქართველოს კონსტიტუცია;

• ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“;

• საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

• საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

• საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;

• საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

• საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;

• საქართველოს „დარგობრივი“ კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები;

• საკრებულოს რეგლამენტი;

• გამგეობის (მერიის) დებულება;

• გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

მუნიციპალური მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა მოიცავს:

• მართვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას;

• მართვის საკადრო უზრუნველყოფას;

• მართვის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

მუნიციპალური ორგანოს ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისათვის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებემოსილნი არიან განსაზღვრონ თავიანთი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი მისადაგება ადგილობრივ საჭიროებებთან და უზრუნველყოფილი იქნეს „ეფექტური მართვა“. ქარტიით გარანტირებული ეს უფლება მუნიციპალიტეტებს საშუალებას აძლევთ, ორგანიზაციული სტრუქტურა მიუსადაგონ ადგილობრივ პირობებს და უზრუნველყონ ეფექტური მართვის განხორციელება.

მუნიციპალური ორგანოების ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას გასათვალისწინებელია ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვა, რომლის თანახმადც გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირები არიან:

• გამგებელი (მერი);

• გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე;

• გამგებლის (მერის) მოადგილე;

• გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების ხემძღვანელები.

გამგეობის (მერიის) თანამდებობისპირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 13 საშტატო ერთეულს. თითეულმა მუნიციპალიტეტის გამგებელმა (მერმა) უნდა უზრუნველყოს ამ რაოდენობაში მოადგილეების და სტრუქტურული ერთეულების ხემძღვანელების ოპტიმალური თანაფარდობის შერჩევა.

გამგეობის (მერიის) ეფექტური და ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების პროცესი შეიძლება პირობითად ხუთ ეტაპად დავყოთ, კერძოდ:

• სტრუქტურის მიზნების განსაზღვრა;

• საერთო მიზნიდან გამომდინარე ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

• ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება

და სტრუქტურის ძირითადი რგოლების განსაზღვრა;

• მუნიციპალიტეტის შიდა სტრუქტურის და საშტატო ერთეულების განსაზღვრა;

• ორგანიზაციული სტრუქტურის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების (დებულება, თანამდებობრივი ინსტრუქციები) მომზადება. [4.]

მუნიციპალიტეტების ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების დროს მხედველობაში მიიღება დარგობრივი სამსახურების სპეციფიკა, რომელიც გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებიდან და ფუნქციონალური სამსახურების შექმნის სპეციფიკა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს გამგეობის (მერიის) საქმიანობის ცალკეული ფუნქციების გამოტანა დარგობრივი და ტერიტორიული ორგანოებიდან, სპეციალიზირებული სამსახურების შექმნა, რომლებიც შემდგომ პასუხისმეგებლები არიან ამ ფუნქციის შესრულებაზე. ასეთი სამსახურებია: საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური პოლიტიკის, მუნიციპალური ქონების მართვის, მუნიციპალური შესყიდვების, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის და ურბანული დაგეგმვის, სტატისტიკის, ზედამხედველობის სამსახურები.

მუნიციპალიტეტებში მართველობითი ფუნქციების განხორციელებისას დარგობრივი და ფუნქციონალური სამსახურებიდან ცალკე გამოიყოფა ორგანიზაციული, სამართლებრივი, საკადრო, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურები.

მუნიციპალური სამსახურების ეფექტური მართვის განხორციელების მიზნით მეტად მნიშვნელოვანია ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა. აღნიშნული სისტემა თვითმმართველობის ორგანოებს საშუალებას მისცემს:

• მოახდინონ ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია და კავშირურთიერთობის სრულყოფა სტრუქტურულ ერთეულებს შორის;

• ოპტიმალურად შეამცირონ სამუშაოთა შესრულების ვადები;

• გაზარდონ სამუშაოთა გამჭვირვალობის ხარისხი;

• აამაღლონ საჯარო მოხელეთა საშემსრულებლო დისციპლინა. [4.]

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილია მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების საკმაოდ ვრცელი არეალი. ISO 9001:2008 სტანდარის მეთოდოლოგია ეფუძნება მართვის უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება „Plan-Do-Check-Act“ (PDCA) სისტემის გამოყენებას. იგი მოიცავს:

• დაგეგმვას ანუ მიზნის და მის მისაღწევად პროცესების განსაზღვრას;

• ქმედებას ანუ პროცესის განხორციელებას;

• კონტროლს ანუ მიმდინარე პროცესზე და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგს;

• მოქმედებას ანუ შესრულების პროცესის მუდმივ სრულყოფას.

მუნიციპალურ მენეჯმენტში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა აუცილებელი, მაგრამ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს მთელ რიგ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას. ერთ-ერთი უპირველესი საკითხია თვითმმათველობის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობაზე, კადრების კომპეტენტურობაზე, მართვის პროცესის გამჭვირვალობაზე, სტრუქტურის ეფექტურობის შეფასებაზე. სამომავლოდ ამ კუთხით გამოყენებული უნდა იქნეს მუნიციპალური მმართველობის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავხვეწოთ მუნიციპალიტეტების ორგანიზაციული სტრუქტურა და აღმოვფხვრათ ის ძირითადი ხარვეზები რომელიც სახეზე გვაქვს დღეს მუნიციპალურ მენეჯმენტში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“, სტრასბურგი, 15. 10. 1985წ.

2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თბ. 2014წ.

3. მელქაძე ო. ქართული მუნიციპალიზმი. თბილისი; უნივერსალი, 2009 წ.

4. სვანიშვილი ა. სამაგიდო წიგნი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს თანამშრომლებისათვის. თბ. 2016 წ.

REFEREENCES:

1. European Charter on Local Self Government, Strasbourg, 15. 10. 1985

2. Organic Law of Georgia „Local Self-Government Code” Tb. 2014

3. Melkadze O. Georgian municipality. Tbilisi 2009

4. Svanishvili a. Desk book for employees of the self-governing unit of the executive body. Tb. 2016.

THE DIRECTIONS OF IMPROVEMENT OF MUNICIPAL MANAGEMENT IN GEORGIA

Vaja Zeikidze, George Maisuradze,
Natali Elgendarashvili, Cira Elgendarashvil
Academic Doctors, GTU

RESUME

The article deals with a wide range of the municipal financial, operational and technical, human resources management issues, which complement each other and make it relevant to modern municipal management conditions. The experience of the developed countries is considered, which shows that the principle of combined analysis of events must be respected when considering municipal management; that the intended effect of such measures should be assessed in the entire area of its distribution from the lowest level of municipal management to the highest level of state power. The peculiarities of those sectoral services are characterized, that are taken into account when forming the organizational structure of municipalities, deriving from the municipality's right and the specificity of functional services. It aims to bring out the functions of the government (City Hall –"Gamgeoba") from the field and territorial bodies and to create the specialized services, that are ultimately a significant contributor to the economic growth.

Key words: Municipal management; City hall; Municipality; Local self-governance.

ფერმერული მეურნეობის როლი იმერეთის მხარის ცხოვრების დონის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაში

ბექა ბიბილური
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკის ხუთი ინსტიტუციური სექტორიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფერმერული მეურნეობებია (მწარმოებელი შინამეურნეობები). რეგიონში ფერმერული მეურნეობები უმეტესად ფუნქციონირებს მესაქონლეობასა და მევენეხეობაში. 2014 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის მონაცემებით, იმერეთს, საქართველოს რეგიონებს შორის, მოცემულ დარგების განვითარების მხრივ, მეორე ადგილი უჭირავს.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ფერმერული მეურნეობების ცალკეული დარგების შემდგომ განვითარებას, რისი მონიტორინგიც შესაძლებელია განხორციელდეს სტატიაში მოტანილი ინოვაციური ინდიკატორებით.

საკვანძო სიტყვები: ფერმერული მეურნეობა, ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორი, კოოპერირება, ინოვაციური ინდიკატორები.

ეკონომიკაში ფერმერული მეურნეობების როლის ანალიზამდე განვიხილოთ ისეთი საერთაშორისო სტანდარტი, როგორიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. მოცემული სისტემის თანახმად, იმერეთის რეგიონის ეკონომიკაში, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, ეკონომიკური ოპერაციები ნაწილდება ხუთ ინსტიტუციურ სექტორად: არაფინანსური კორპორაციები და კვაზი კორპორაციები; ფინანსური კორპორაციები და კვაზიკორპორაციები; სახელმწიფო მართვის ორგანოები; შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორაგანიზაციები.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი კვლევის ობიექტი იმერეთის მხარის შინამეურნეობებია, უფრო დაწვრილებით შევჩერდები მოცემულ სექტორზე.

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს რეზიდენტ შინამეურნეობებს. ყველა მათგანი ეას-ში მომხმარებლის სტატუსით განიხილება. იქ სადაც შინამეურნეობებზეა საუბარი, ვგულისხმობ ფერმერულ მეურნეობებს. შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით.[1] შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისაგანაც.

შინამეურნეობის უმეტესი ნაწილი საქართველოში დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, ღვინის და სხვა სახის ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმით; მესაქონლეობითა და რძის პროდუქტების გადამუშავებით და ა.შ. ზემოაღნიშნული აქტივობებით უპირველეს ყოვლისა ხდება შინამეურნეობების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ჭარბი პროდუქტების ბაზარზე გაყიდვა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვერსიის თანახმად, შინამეურნეობების თითოეული წევრი არ ითვლება დამოუკიდებელ ინსტიტუციურ ერთეულად, რადგანაც შინამეურნეობის აქტივების დიდი ნაწილი ამავე შინამეურნეობის კოლექტიური საკუთრებაა და მათი განკარგვა ხდება არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად. ამდენად, ინსტიტუციურ რგოლს წარმოადგენს შინამეურნეობა მთლიანად და არა მისი თითოეული წევრი ცალ-ცალკე.

სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი წყარო, შინამეურნეობების შემოსავლებსა და დანახარჯებზე, ასახულია შინამეურნეობების ბიუჯეტებზე განხორციელებული სპეციალურად ორგანიზებული, შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების მასალებში.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში აღი-

1 www.geostat.ge

რიცხა 1109 ათასი კერძო შინამეურნეობა. აქედან, 640 ათასი მწარმოებელი შინამეურნეობაა, რომლებზეც ვრცელდება ფერმერული მეურნეობის სტატუსი. სწორედ ამ სახის შინამეურნეობებია ჩემი კვლევის მიზანი.

არსებული ინფორმაციის თანახმად შინამეურნეობებზე იმერეთის რეგიონში შემოსავლები ჭარბობს ხარჯებს. მაგ., 2015 წ. იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონების შინამეურნეობების შემოსავალი შეადგენდა 196,9 მლნ. ლარს, ხარჯი - 160,4 მლნ. ლარს. სოფლად არსებული რეალური სიტუაციის გათვალისწინებით და არასახარბიელო მიგრაციული პროცესების გასაუმჯობესებლად, საქართველოს ახალმა მთავრობამ ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნია სოფლის მეურნეობისა და შინამეურნეობათა განვითარებისათვის ხელისშეწყობა. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა კანონი „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.

ბოლო სასოფლო-სამეურნეო აღწერის (2014 წელი) მასალის მიხედვით, იმერეთის რეგიონზე მოდის მეურნეობათა ყველაზე მეტი რაოდენობა - 19.6 %, შემდეგ კახეთში -(15.1 %) და ა.შ.; ხოლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის რაოდენობით იმერეთი მე-5 ადგილზეა (8.3 %). რაც შეეხება ვენახების ფართის რაოდენობის მიხედვით იმერეთი, კახეთის შემდეგ რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა და 5.0 ათას ჰა. შეადგენს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის მიხედვით იმერეთი სამეგრელო-ზემო სვანეთის შემდეგ პირველ ადგილზეა და 16.8% შეადგენს, ხოლო ფრინველის განაწილების მიხედვით რეგიონებს შორის მე-3 (16.1%).

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ზუსტად ვერ ახასიათებენ მხარის მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ამდენად, ცხოვრების დონის დახასიათებისათვის მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ახალი ინდიკატორების შემოღებას. ეს საკითხი დღის წესრიგში დააყენა 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში ნობელის პრემიის მფლობელს, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფე-

სორს ჯოზეფ სტიგლიცის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერების მონაწილეობით კრიზისიდან ერთი წლის თავზე წარმოადგინა მეტად საინტერესო მოხსენება „ეკონომიკური შედეგებისა და სოციალური პროგრესის შეფასება“, რომელიც ცხოვრების ხარისხის ინოვაციურ ინდიკატორებს შეიცავს.

მოცემული ინდიკატორები კომპლექსური ხასიათისაა და შედგება როგორც ღირებულებითი, ასევე ისეთი ფაქტორებისაგან, რომლებიც არამონეტარული ხასიათისაა. ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მოქალაქეთა საკუთარი კეთილდღეობის ისეთი ახალი მახასიათებლები, როგორიცა ადამიანთა ცხოვრების კოგნიტური შეფასებები. კერძოდ, დადებითი ემოციები (სიხარული, სიამაყე) და ნეგატიური ემოციები (ავადმყოფობა, წუხილი). ასეთი სახის კვლევების დროს, მოქალაქეებს ეკითხებიან, რამდენად კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით. ყველაზე კარგი ცხოვრების ხარისხი ფასდება 10 ქულით, ხოლო ყველაზე ცუდი 0 ქულით.

ცხოვრების ხარისხის ინოვაციურ ინდიკატორებზე მსჯელობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რიგი დეფინიციების ჰარმონიზება ქვეყნების მიხედვით. ასე მაგალითად, თუ არ ვიცით რა არის ბედნიერება, რომლის არსსზეც ამჟამად მეცნიერებს შორის საკმაოდ ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ძნელია შევუდგეთ მის სტატისტიკურ დახასიათებას.

ცხოვრების ხარისხი ტევადი ცნებაა და მისი დახასიათება, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მიხედვით, შესაძლებელია ისეთი მნიშვენელოვანი ინდიკატორების საშუალებით, როგორიცაა: ჯამრთელობის მდგომარეობა; განათლების მდგომარეობა; საბინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები; ფინანსური პრობლემები; შრომის პირობები და სტაბილური სამუშაო; ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა; ეკონომიკური უსაფრთხოება; ფიზიკური უსაფრთხოება; ურთიერთდამოკიდებულება მეგობრებთან, კოლეგებთან, მეზობლებთან, ნათესავებთან.

ცხოვრების ხარისხის ჩამოთვლილი დეტერმინანტები ძალიან აქტუალურია და მნიშვნელოვანია არა მარტო ქვეყნებს შორის შესადარისობის ანალიზისათვის, არამედ, ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების პროგრამის შემუშავებისათვის.

იმერეთის მხარის ფერმერული მეურნეობის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაგან იზოლირებულად განხილვა არ იქნება მართებული. მიზანშეწონილად მიმაჩნია, პირველ რიგში, ჩამოვაყალიბო იმერეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზანი.

იმერეთის რეგიონში, ისე როგორც დანარჩენ საქართველოში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ერთ-ერთ ძირითდ პრობლემად რჩება.

იმერეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნებია:

1. ძირითადი სექტორების რესტრუქტურიზაცია, რათა ამაღლდეს მუნიციპალური განვითარების კონკურენტუნარიანობა და ბიუჯეტის შემოსავლიანობის დონე ;

2. სატრანსპორტო კომპლექსის განვითარება;

3. ინვესტიციისათვის მიმზიდველი რეგიონად ფორმირება;

4. ცხოვრებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა

სტრატეგიული მიზნები განაპირობებენ რეგიონის შემდეგ პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიმართულებებს:

1. იმერეთი რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარება.

2. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება.

3. სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სისტემის ეფექტურობის ამაღლება.

4. ინვესტიციურად მიმზიდველი რეგიონის ფორმირება გულისხმობს რეგიონის „ახალ ინდუსტრიალიზაციას“ რიგი მასშტაბური საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის საფუძველზე, რაიონის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხარისხობრივად ახალი დონის მიღწევა.

5. მრეწველობისა და მეწარმეობის განვითარება გულისხმობს, ახალი ბიზნესების განვითარებას დამატებით ღი-

რებულების მაღალი დონითა და ინოვაციების დანერგვით.

6. სოციო-ჰუმანიტარული სფეროს განვითარება გულისხმობს მოსახლეობის ცხვოვრების დონისა და ხარისხის კარდინალურ ზრდას, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებასა და ადამიანური კაპიტალის დინამიური განვითარებისათვის პირობების შექმნას: მიზნად ისახავს შეცვალოს ნეგატიური დემოგრაფიული ტენდენციები, გაზარდოს მოსახლეობის საერთო სიცოცხლის ხანგრძლივობა, შობადობის დონე და შეამციროს მაღალკვალიფიციური კადრების გადინება.

7. ეკოლოგიურად ხელსაყრელი სუფთა ზონის შექმნა ცხოვრებისათვის და ეკოლოგიურად უსაფრთხო საკვები პროდუქტების მოყვანა.

ჩამოთვლილი სტრატეგიული მიმართულებები ითვალისწინებს საქმიანობის კონკრეტული სფეროებისა და სახეების მიხედვით მიზნების გაფართოებულ დეტალიზაციას, მათი რეალიზაციის ძირითადი ამოცანებისა და მოქმედებების განსაზღვრას.

მუნიციპალური რეგიონის სტრატეგიულ შერჩევაზე დაყრდნობით SWOT ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად საკითხებად შეიძლება ჩავთვალოთ შემდეგი:

1. მოთხოვნადი ტურისტული პროდუქტის შექმნა; მსოფლიო არენაზე კარგად ცნობადი, ახალი ბრენდის ფორმირება, რომელიც კავშირში იქნება რეგიონის ტურისტულ საქმიანობასთან;

2. რეგიონის ტურისტული პოტენციალის საინფორმაციო გაშუქება და პოპულარიზაცია;

3. სოფლის მეურნეობის საწარმოების საქმიანობის რენტაბელობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლება;

4. კონკურენტუნარიანი გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების სტიმულირება, აგროსამრეწველო კლასტერის ფორმირება;

5. საკუთარი სამრეწველო ბაზის შექმნა, საკუთარი წარმოების მაღალი ხარისხის საქონლით დაკმაყოფილების მიზნით;

6. საერთო მოხმარებისთვის საავტომობილო გზების თანამედროვე სისტემის შექმნა;

7. სატრანსპორტო კომპლექსის მიმართულების პერსპექტიული განვითარების რეალიზაცია;

8. ინვესტიციების მოზიდვის პირობების შექმნა და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა;

9. სამრეწველო საქმიანობის წარმოების პირობების გაუმჯობესება, სამრეწველო ინიციატივების ხელშეწყობა და სტიმულირება;

10. საცხოვრებლად კომფორტული და უსფრთხო პირობების შექმნა;

11. საინჟინრო ინფრასტრუქტურის და საცხოვრებელ-კომუნალური მოწყობის განვითარება;

12. სავაჭრო ქსელის მოდერნიზაცია და ოპტიმიზაცია;

13. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ჩართვა საგანმანათლებლო და ტურისტულ საქმიანობაში;

14. საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაცია და გათანამედროვება;

15. რეგიონის ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება;

16. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., კოღუაშვილი პ., ჩადუნელი გ., გალახვარიძე ნ., მახარაშვილი ი., კვაბზირიძე თ., საქართველოს ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ., 2016.

Baratashvili E, Koguashvili P, Chaduneli G, Galakhvaridze N, Makharashvili I, Kvabziridze T, Economy of Georgia, Tbilisi 2016;

2. ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი და ტენდენციები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში (თვისებრივ-ეკონომიკური მიდგომა), კრ. „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, ბათუმი-თბილისი, ესპსკი, 2001.

Chitanava N, Socio-economic features of politics and trends

in the context of economic globalization. (Qualitative-Economic Approach). Economic and social development of the regions of Georgia in the transition period, Batumi-Tbilisi, 2001;

3. ჭითანავა ნ., საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები პერსპექტივები. გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2015.

Chitanava N, Agriculture of Georgia, transformation, Problems, Prospect, Iverioni, Tbilisi 2015;

4. ბარათაშვილი ე., ვეშეპიძე შ., რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 2002.

Baratashvili E, Veshapidze Sh, Political Economy of Region, Tbilisi Social-Economic institute, 2002;

5. აგიაშვილი ი., „ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით თუ უზრუნველყოფაში“ სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2006 წელი.

Agiashvili I, The peculiarity of the formation of farming farms in Georgia and their role in the grain supply of the population, Tbilisi 2006;

6. ბიწაძე ჯ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ურთიერთკავშირის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. „გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა“. გვ. 31. თბ, 2009.

Bitsadze G, Relation of the standard of living of the population and some macroeconomic indicators. International scientific-practical conference. “The Global Crisis and the Economy of Georgia”, page 31, Tbilisi 2009

7. Система Национальных Счетов 2008г.: КЕС, МВФ, ООН, ОЕР, ВБ., Нью-Йорк 2009, Стр. 1296.

System of national accounts, 2008, New York, page 1296

www.geostat.ge

THE ROLE OF FARMING ENTERPRISE (PRODUCTIVE HOMESTEAD) IN INCREASING AND IMPROVING OF LIVING STANDARD IN IMERETI REGION

Beka Bibiluri
GTU, PhD Student

RESUME

In the regions, farms (farming enterprises) operate mainly in the field of live stock breeding and viticulture (wine growing).

According to the agricultural survey (inventory) of 2014, Imereti region occupies the second place among the regions of Georgia in these branches (industries).

Further development of farms can make a significant contribution to the co-cperative farms in individual industries and in improving living standards of the population.

Key words: Farming enterprise, institutional sector of economy, cooperation, innovation indicators.

მართული ჯანდაცვის სექტორის ორგანიზება საქართველოში

ლელა ინასარიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

გასული საუკუნის 20-იანი წლებში აშშ-ში შეიქმნა ჯანდაცვის „მართული სისტემა“, იგივე „სამედიცინო მომსახურების ინტეგრირებული სისტემა“. მისი ჩამოყალიბების აუცილებლობა იმავე ფაქტორებმა გამოიწვია, რომელი ფაქტორებიც ამჟამად არსებობენ საქართველოს ჯანდაცვის სექტორში. ეს არის:

• ჯანდაცვის სისტემის ფრაგმენტაცია;
• სტრუქტურული დისპროპორცია;
• სამედიცინო დაწესებულებებს შორის კოორდინაცის არარსებობა;
• პაციენტების მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი;
• სახლმწიფოს ტვირთი ჯანდაცვის სექტორის დაფინანსებაში;

მართული ჯანდაცვა წარმოადგენს მართვითი, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და კლინიკური ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია სამედიცინო დახმარების მიწოდებისა და დაფინანსების სისტემის ფრაგმენტულობის დასაძლევად და სამედიცინო დაწესებულებების მთელი კომპლექსის უფრო მაღალი ხარჯთ-ეფექტურობით ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მართული ჯანდაცვა, სახელმწიფოს გარდა, კერძო სექტორის ჩართვას უზრუნველყოფს ჯანდაცვის სექტორის დაფინანსებაში. ასეთი ტიპის ორგანიზაციები ხელს უწყობენ კონკურენტუნრიანი გარემოს ჩამოყალიბებას და მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურეობის მიწოდებას.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა; მართული ჯანდაცვა; არჩეულ მომწოდებელთა ორგანიზაცია; ექიმი; პაციენტი; დაზღვევა.

შესავალი

მართული ჯანდაცვა კომპლექსურ სისტემაა, რომელიც ახორციელებს სამედიცინო მომსახურების მიწოდებისა და დაფინანსების აქტიურ კოორდინაციას, ინტეგრაციას და ურთიერთშეთანხმებას. მართული ჯანდაცვის მოდელი დაფუძნებულია სამედიცინო დახმარების მყიდველების როლის გააქტიურებაზე სამედიცინო დახმარების მიწოდების ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის ფორმირებაში, მოცული მოსახლეობის ჯანმრთელობის მაქსიმალური მაჩვენებლების მისაღწევად. მისი მიზანია სქემაში გაწევრიანებულ პირთათვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდება წინასწარ დადგენილი ბიუჯეტის ფარგლებში.

ძირითადი ნაწილი

მართული ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრუქტურის და მექანიზმის ანალიზი, მისი მნიშვნელობა საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის. ჯანდაცვის მეტად სერიოზული ნაკლოვანება არის მის დაწესებულებებს შორის ინტეგრაციის სისუსტე, ამბულატორია-პოლიკლინიკები და სტაციონარი დაწესებულებები ერთმანეთისგან მოწყვეტილად მუშაობენ. არ არსებობს მათ საქმიანობაში კოორდინაცია. მართული ჯანდაცვის მოდელის საფუძველზე იქნება სამედიცინო დახმარების დაფინანსებისა და მიწოდების ინტეგრირებული სისტემა, მაგალითად, როგორც ზოგადი პრაქტიკის ექიმების, სპეციალიზებული საექიმო პრაქტიკების, პარაკლინიკური სამსახურების,ასევე სტაციონარული მომსახურების გაერთიანება, სადაც საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ყველა რგოლისათვის საერთო ეკონომიკური სტიმულების შექმნა და შეთანხმებული წესებით მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მაშასადამე, შეიქმნება მართული ჯანდაცვის, ჩვენს შემ-

თხვევაში ჰოსპიტალური სექტორის ორგანიზაცია, რომლის შემადგენელი ნაწილებია:

1. სადაზღვევო ორგანიზაცია;

2. სამედიცინო ორგანიზაცია (ზოგადი პრაქტიკის ექიმები, საავადმყოფოები, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრები);

3. პაციენტი.

ჩვენი აზრით, საქართველოში ასეთ გაერთიანებაში უნდა შემოვიდნენ აფთიაქებიც (ერთი ან რამოდენიმე).

მართული ჯანდაცვის ორგანიზაციის ძირითადი სახეებია:

• **ჯანმრთელობის ხელშემწყობი ორგანიზაცია** (Health Maintenance Organization - HMO);

• **ჯანდაცვის არჩეულ მომწოდებელთა ორგანიზაცია** (Preferred Provider Organization - PPO);სწორედ ამ სახეს ვუწევთ რეკომენდაციას.

• **ექსკლუზიური პროვაიდერების ორგანიზაცია** (Exclusive Provider Organizations - EPO);

• **მომსახურების პუნქტის გეგმა** (Plan - POS).

არჩეულ მომწოდებელთა ორგანიზაციები (PPO) მართული ჯანდაცვის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენენ, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოების, ექიმების, სამედიცინო ჯგუფებისა და სადაზღვევო კომპანიების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებას აფორმებს დამოუკიდებელ პრაქტიკის ექიმებთან, საავადმყოფოებთან და ჯანდაცვის სხვა პოვაიდერებთან. ისინი მისთვის არჩეულ ე. წ. „პრივილეგირებულ“ მომწოდებლებს წარმოადგენენ. არჩეულ მომწოდებელთა ორგანიზაციები დამზღვევებს სთავაზობენ შედარებით დაბალ ფასებს, წაყენებულ მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებას, რაც კომპენსირდება მოსახლეობის დიდი ნაწილის მოცვით. არჩეულ მომწოდებელთა ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ უკეთესი მოცვა და მომსახურების დაბალი ფასები, რითაც კონკურენციას უწევენ ჯანდაცვის კერძო მომწოდებლებს. არჩეულ მომწოდებელთა ორგანიზაციების (PPPOO) უმრავლესობა სადაზღვევო კომპანიების და დამოუკიდებელი ინვესტორების საკუთრებას წარმოადგენენ და

პროვაიდერების შერჩევა ხდება გარკვეული ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით (მაგალითად, ლიცენზირება, აკრედიტაცია და ა. შ.).

აღსანიშნავია, PPO იხდის სამედიცინო მომსახურების ისეთ ხარჯებს, რომლებიც კონტრაქტით არის განსაზღვრული. როდესაც ბენეფიციარს სურს სამედიცინო დახმარების მიღება PPO-ს ქსელის გარეთ არსებული პროვაიდერისგან, მასზე გავრცელებული სარგებელი მცირდება. ასე, მაგალითად, როდესაც ბენეფიციარი სამედიცინო დახმარებას ღებულობს PPO-ს ქსელის შიგნით, სარგებელი შეადგენს 90-100%-ს. როდესაც ბენეფიციარს სურს სამედიცინო დახმარების მიღება P PPO-ს ქსელის გარეთ, თანაგადახდის პროცენტი იზრდება.

მართული ჯანდაცვის ორგანიზაცია ექიმების ანაზღაურებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:

- სულადობრივი ანაზღაურება;
- სერვისების მიხედვით ანაზღაურება;
- ფიქსირებული ხელფასი;
- სტიმულირებადი ანაზღაურება (მაგალითად, ბონუსები).

სულადობრივი ანაზღაურება. მართული ჯანდაცვის ყველაზე პოპულარულ ანაზღაურების მეთოდს წარმოადგენს. ექიმები მათთან გაწევრიანებულ ბენეფიციართა რაოდენობის მიხედვით ღებულობენ ფიქსირებულ ანაზღაურებას, რომელიც არ არის დამოკიდებული მათ მიერ მათთვის გაწეულ მომსახურების მოცულობაზე.

სულადობრივი ანაზღაურება შეიძლება დამოკიდებული იყოს ბენეფიციართა ასაკზე და სქესზე. ასაკოვანი ადამიანები უფრო მეტ სამედიცინო მომსახურებას მოითხოვენ, ვიდრე ახალგაზრდები, ახალგაზრდა ქალები უფრო მეტ სამედიცინო მომსახურებას საჭიროებენ, ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცები. სულადობრივი ანაზღაურება შეიძლება დამოკიდებული იყოს გეოგრაფიულ არეალზეც. მაგალითად, თუ იგი საქართველოში დაინერგება, მესტიაში არსებული საავადმყოფოს ექიმის ანაზღაურება უნდა აღემატებოდეს მცხეთის საავადმყოფოს ექიმის ანაზღაურებას.

სულადობრივ ანაზღაურებას უფრო ხშირად იყენებენ ჯანმრთელობის ხელშემწყობი ორგანიზაციები (PPO-ების 70%).

ჩვენს მიერ ზემოთგანხილული მართული ჯანდაცვის ორგანიზაციის სახეები ჯანდაცვის, მათ შორის ჰოსპიტალური სექტორის, ალტერნატიული ფორმებია. ამჟამად ისინი ფართოდ გავრცელდნენ განვითარებულ ქვეყნებში. იქ, მათი იურიდიული სტატუსი მკაცრად განსაზღვრულია კანონმდებლობით. ეს ორგანიზაციები სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო დაფინანსების ალტერნატიულ დაფინანსებას სთავაზობენ მოსახლეობას. ძირითადი პირობა ყველგან ერთია - მოსახლეობა წინასწარ (ავადმყოფობის დადგენამდე) უნდა გაწევრიანდეს ამ ორგანიზაციაში და იხადოს საწევრო. არცერთი ასეთი ორგანიზაცია საქართველოს ჯანდაცვაში არ არის შექმნილი. აშშ კი თუ 30-იან წლებში (დიდი დეპრესიის წლები) 30 ასეთი მართვადი მედიცინის კომპანია არსებობდა, 2000 წელს კი მათი რიცხვი 1500-ს აღემატებოდა.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

საქართველოში მართული მედიცინის კომპანიები ჯანდაცვის ჰოსპიტალურ სექტორშიც შეიძლება შეიქმნას და სხვაგანაც. ისინი ავადმყოფების განკურნების ხარჯებს მათთან გაწევრიანებულ მოსახლეობის საწევროებით ფარავენ. ამ საწევროებს, როგორც აღვნიშნეთ, ისინი წინასწარ გადაიხდიან და ამ გზით სახელმწიფოს შეუმცირდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისთვის გასაწევი ხარჯი.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ სიახლის დანერგვის ინიციატორი არ არის აუცილებელი სახელმწიფო იყოს. ამის სრული უფლება აქვთ მედიცინის სპეციალისტებს. გასათვალისწინებელია მხოლოდ ერთი, თუ რამდენად ცნობადი არიან ისინი მოსახლეობისთვის, როგორც კარგი პროფესიონალები. ეს არის პირველი პირობა იმისა, რომ მოსახლეობა მათთან წევრად დარეგისტრირდეს.

საქართველოს ჯანდაცვას, მით უფრო ჰოსპიტალურ სექტორს ასეთი პროფესიონალები მრავლად ყავს. მათ მთელ

მსოფლიოში იცნობენ. ასე რომ, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი ყამირია ამ სიახლის დასანერგად.

ლიტერატურა:

1. ჯაყელი კ., ხაჭაპურიძე გ.,ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებები მსოფლიოს გამოცდილების გათვალისწინებით. ჟურნალი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ბიულეტენი“, #5, 2002, გვ. 35-36.

2. Glied, Sherry, „Managed Care” Handbook of Health Economies, vol. 1A, Anthony J. Culyer and Joseph P., Newhouse, eds (amsterdam: Elsevier, 2000), გვ. 98.

3. ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბ., გვ. 730.

LITERATURE:

1) Jakeli K., Khachapuridze G., Important directions for the development of the healthcare economics, taking into account the experience of the world. Magazine ,,Bulletin of Strategic Researches and Development of Georgia'', # 5, 2002, p. 35-36 .

2) Glied, Sherry, „Managed Care” Handbook of Health Economies, vol. 1A, Anthony J. Culyer and Joseph P., Newhouse, eds (amsterdam: Elsevier, 2000), გვ. 98.

3) Verulava T., Healthcare Economics and Insurance, Tb., p. 730.

ORGANIZING MANAGED HEALTHCARE SECTOR IN GEORGIA

Lela Inasaridze
PhD Student , GTU

RESUME

In the United States, managed healthcare model is widely spread, which provides high quality healthcare services for the member persons in the frameworks of the prescribed budget. The components of this model are: insurance organization, medical organization, doctors of general practice, hospitals, and clinical-diagnostic centers, patient.

The companies of managed medicine can be created in the healthcare system of Georgia, too. They will cover the cost of curing sick patients with the money of the member population. In this way the reimbursement cost will reduce for the state for the medical service of the population.

Key words: Healthcare; Managed healthcare; Organization of selected suppliers; Doctor; Patient; Insurance.

ტურიზმის განვითარების ჯაფარის მოდელი და მდგრადი განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე

ნინო დევაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

1980-იანი წლებიდან მდგრადი განვითარება ხდება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ წრეებში ფართოდ გავრცელებული განხილვის საგანი. ტურიზმის განვითარების თავდაპირველი მიზნის მიუხედავად, რომ მეტი ეკონომიკური სარგებელი მოეტანა საზოგადოებისთვის, გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ტრადიციულ მიდგომას ყოველთვის სასურველ შედეგებამდე არ მივყავართ და მდგრადი ტურიზმის მოდელის განვითარება ხდება აუცილებელი. ნაშრომში წარმოდგენილია ჯაფარის პლატფორმის მოდელი, რომელიც "პროპაგანდული", "გამაფრთხილებელი", "ადაპტირებადი" და "ცოდნაზე დაფუძნებული" პლატფორმების საშუალებით ტურიზმში არსებული მიდგომების თანმიმდევრულ დახასიათებას გვაძლევს. პლატფორმის მოდელი სასარგებლო ჩარჩოს ქმნის იმის გასაგებად, თუ როგორ მოხდა მიდგომის გარდაქმნა მასობრივი ტურიზმის პრომოუშენიდან იმის რეალიზებამდე, რომ ტურიზმს სარგებელთან ერთად ზიანის მიყენებაც შეუძლია საზოგადოებისათვის. შესაბამისად, გვიჩვენებს თუ როგორ შეექმნა საფუძველი მდგრადი ტურიზმის განვითარების იდეას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ტურიზმი, მდგრადი განვითარება, ჯაფარის მოდელი, ეკონომიკური სარგებელი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ცალკეული ბიზნესის მფლობელებმა ისარგებლეს მოგზაურობების მზარდი რიცხვით და ტურისტების მსყიდველუნარიანობით, რის შედეგადაც ტურიზმმა სანიმუშო ზრდა განიცადა. ტურიზმის მოთხოვნის ზრდასთან ერთად ინფრასქტრუქტურის, დაბინავების საშუალებებისა

და სხვადასხვა ხელსაყრელი პირობებით ტურისტების უზრუნველყოფა გახდა მრავალი ქვეყნისთვის ეკონომიკის განვითარების მთავარი სტრატეგია.

მე-20 საუკუნეში განხილვად მოსაზრებებს შორის ყველაზე საყურადღებოა დისკუსია იმ მიდგომის შესახებ, თუ როგორ იყენებს და იკვლევს მსოფლიო მოსახლეობა დედამიწაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებს. ამ მღელვარების ფონზე მდგრადი განვითარება ხდება ნებისმიერი საქმიანობის სავალდებულო იდეა.

მსოფლიოში მოსალოდნელი მუდმივი ცვლილებების პროგნოზი და ტურიზმის განვითარებაზე მათი ზეგავლენის ანალიზი გახდა ამ დარგის ეფექტური მენეჯმენტისთვის არსებითად მნიშვნელოვანი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ტურისტული დანიშნულების ადგილები იძულებულნი ხდებიან იპოვონ და შექმნან ტურიზმის მდგრადი განვითარების მოდელები, რადგანაც ამ მიზნის შეუსრულებლობა დიდი ალბათობით საქმიანობის მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივას განაპირობებს.

დროთა განმავლობაში "მდგრადი ტურიზმის" შესახებ ინფორმირებულობა გაიზარდა, მეტიც, ცნობილია, რომ 1990-იან წლებში "მდგრადი განვითარება" ტურიზმის მრავალი კვლევის გამაერთიანებელი თემა გახდა (Pigram 1995). რაც წინააღმდეგობაში მოდის წინა ათწლეულთან, როცა ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენა, განსაკუთრებით გარემოს მიმართ, ნაკლებად იყო აღიარებული. მცდელობას, რომ ტურიზმი, როგორც მსოფლიოს ერთერთი უდიდესი დარგი, მეტად მდგრადი გახადოს, მნიშვნელოვანი როლი აქვს გლობალური მდგრადი განვითარებისათვის და არსებობს ნათელი მიზეზები თუ რატომ უნდა მოახდინოს ტურიზმმა ამ მიმართულებით განვითარებაზე ორიენტირება. დამოკიდებულია რა ბუნებრივ რესურსებზე, განსაკუთრებით ადგილობრივი გარემოს შემთხვევაში, ტურიზმს გააჩნია თანდაყოლილი ძლიერი მოტივაცია, რომ შეინარჩუნოს, როგორც გარემოს ხარისხი, ასევე მისი მონაწილეების კეთილდღეობა (McKercher 1993). მიუხევად ამისა, მნიშვნელოვანმა განვითარების პროცესებმა აჩვენა, რომ მოსახლეობასა და ბუნებრივ გარემოს შორის ურთიერთკავშირია სწორედ ის, რის გამოც ტურიზმს ზიანის

მიყენებაში ადანაშაულებენ. ადამიანების სურვილი, რომ ახალი ადგილები აღმოაჩინონ, განაპირობებს ამ ლოკაციის განვითარებას, რაც მისი თავდაპირველი იერსახის ცვლილებას იწვევს (Butler1980). სწორედ ტურიზმის ამგვარმა პარადოქსულმა ბუნებამ განაპირობა შესაძლებლობა მიეცა ხალხისთვის, რომ ცხოვრების მრავალფეროვნებით მიეღოთ სიამოვნება, მაშინ როცა წინ უძღოდა, დრამატულ და ხშირად, გამანადგურებელ გავლენას ბუნებასა და კულტურაზე მსოფლიოს ირგვლივ.

ცხრილი 1. ტურიზმის განვითარების ჯაფარის პლატფორმა

	გაცნობის პერიოდი	ტურიზმის განვითარების მიმართ მიდგომა	მიდგომის დასაბუთება
პროპაგანდული	II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი	ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარებას და პრომოუშენს შეუწყო ხელი	ტურიზმი უზრუნველყოფდა დასაქმებას, იცავდა გარემოს და კულტურულ ტრადიციებს, ახდენდა ეკონომიკის სტიმულირებას, ხელს უწყობდა კულტურათაშორის კომუნიკაციებს და მსოფლიო მშვიდობის დამყარებასაც კი.
გამაფრთხილებელი	1970-იანი წლები	ტურიზმის განვითარება არ არის მხოლოდ პოზიტიური, მისი შეზღუდვა უნდა მოხდეს	ტურიზმის მიერ უზრუნველყოფილი სამსახურები სეზონური და დაბალ-ანაზღაურებადია, განვითარებას შეუძლია განაპირობოს საზოგადოებიდან ფულადი სახსრების გადინება, იწვევს კულტურის კომერციალიზებას და გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ადაპტირებადი	1980-იანი წლები	ტურიზმი უნდა განვითარდეს ისე, რომ მგრძნობიარე იყოს მასპინძელი საზოგადოების მიმართ და ამავდროულად ტურისტები სასიამოვნო შთაბეჭდილებით უზრუნველყოს — შეიძლება მოიცავდეს აგრო-ტურიზმს, ეკო-ტურიზმს და მდგრად ტურიზმს.	ორივე ზემოთ ხსენებული მიდგომა ღირებულია და ტურიზმის განვითარება შესაძლებელია სასარგებლო იყოს, თუ იგი მასპინძელ საზოგადოებაზე იქნება ორიენტირებული, შეამცირებს უარყოფით გავლენას და გააუმჯობესებს მასპინძლებსა და სტუმრებს შორის კომუნიკაციას
ცოდნაზე დაფუძნებული	1990-იანი წლები	ტურიზმის შესახებ ცოდნის სამეცნიერო ორგანო უნდა შეიქმნას	ტურიზმის განვითარება, ეს არის სისტემა, რომელსაც ბევრი გავლენა და სარგებელი აქვს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება იქნას განხორციელებული, და სწორედ ამიტომ ერთობლიობაში უნდა იქნას განხილული

წყარო:Jafari (1990)

ჯაფარის "პლატფორმის" მოდელი. მდგრადი ტურიზმის ისტორიული საფუძვლების შესასწავლად ჯაფარის "პლატფორმის" მოდელი შეგვიძლია დავიხმაროთ. პლატფორმის მოდელი სასარგებლო ჩარჩოს ქმნის იმის გასაგებად თუ როგორ მოხდა მიდგომის გარდაქმნა მასობრივი ტურიზმის პრომოუშენიდან იმის რეალიზებამდე, რომ ტურიზმს სარგებელთან ერთად ზიანის მიყენებაც შეუძლია საზოგადოებისათვის. შესაბამისად, გვიჩვენებს თუ როგორ შეექმნა საფუძველი მდგრადი ტურიზმის განვითარების იდეას. იგი მთლიანობაში განიხილავს ტურიზმს და ამასთან, მოიაზრებს, რომ თითოეული პლატფორმა მის წინამორბედზე წარმოიქმნება. ჯაფარის მიხედვით (1990, 2001), გლობალური ტურიზმის დარგის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევოლუცია - "პროპაგანდული", "გამაფრთხილებელი", "ადაპ-

ტირებადი” და “ცოდნაზე დაფუძნებული” პლატფორმებისა და მიდგომების თანმიმდევრული გამოჩენით იყო განპირობებული და დახასიათებული. თითოეული ახალი პლატფორმის გამოჩენა, არ ნიშნავს, რომ წინამორბედი პლატფორმა გაქრა ან ნაკლებად გავლენიანი გახდა, მეტიც, ჯაფარი (2001) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე გლობალური ტურიზმის დარგში ოთხივე პლატფორმა თანაარსებობს.

პროპაგანდული პლატფორმა. მსოფლიო ომის შემდეგ წარმოჩენილი პირველი მიდგომა ტურიზმის ძლიერი მხარდაჭერით ხასიათდება. 1950-1960-იან წლებისთვის დამახასიათებელი ამ პრო-ტურიზმული მიდგომის წარმოქმნა და დომინირება იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ხელშემწყოფი ფაქტორის თანხვედრას გამოხატავდა. მასში შედიოდა: შედარებით განვითარებულ ქვეყნებში ძლიერი საშუალო კლასის განვითარება - გამოხატული რეკრეაციული მიზნით მოგზაურობის ზრდადი ტენდენციით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში მშვიდობისა და სტაბილურობის დაბრუნება და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა, რამაც მოგზაურობის რეალური ღირებულება შეამცირა და უფრო მეტი ტურისტული ადგილი გახადა ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი.

ეკონომიკური სარგებელი. პროპაგანდული პლატფორმის შესაბამისი ტურიზმის ეკონომიკური არგუმენტები ცხრილ 2-შია თავმოყრილი. იგი მოიცავს როგორც პირდაპირი შემოსავლების გაჩენას ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე ადგილობრივი ეკონომიკის დანარჩენი დარგებისგან მულტიპლიკატორის ეფექტით მიღებული არაპირდაპირი შემოსავლების შესამჩნევი წილის წარმოქმნასაც. დასაქმებასთან მიმართებაში პარალელური ეფექტი განიხილება, სადაც ინტენსიურად დამსაქმებელი ტურიზმის ინდუსტრია პირდაპირ თუ ირიბად უამრავ ახალ სამსახურს შექმნის, განსაკუთრებით კი უმუშევრობით გაწვალებული არაკვალიფიციური და გამოუცდელი მუშათა ფენისთვის შესაფერისს. გარდა ამისა, ტურიზმი მიჩნეულია პერიფერიულ რეგიონებში ეკონომიკური განვითარების სტიმულად და მომაკვდავი ინდუსტრიული ქალაქების გამოცოცხლების ერთ-ერთ საშუალებადაც,

შეუძლია რა მისი ინდუსტრიული მემკვიდრეობა ტურისტულ სანახაობად იქნას შეთავაზებული (McNulty, 1985).

ცხრილი 2. პროპაგანდული და გამაფრთხილებელი მიდგომების მტკიცებულებების შედარება

პროპაგანდული პლატფორმა	გამაფრთხილებელი პლატფორმა
✓ წარმოშობს პირდაპირ შემოსავლებს ✓ ქმნის არაპირდაპირ შემოსავლებს (მულტიპლიკატორის ეფექტი, სხვა დარგებთან კავშირი) ✓ ზრდის დასაქმების დონეს ✓ რეგიონალური განვითარების სტიმულირებას ახდენს ✓ ძლიერი გლობალური მონაწილეობა ✓ ხელს უწყობს კულტურათა შორის ურთიერთგაგებას ✓ ახალისებს კულტურის, გარემოს დაცვას	✓სეზონურობით და ხარჯებით (მარკეტინგი, ადმინისტრირება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, წამახალისებელი ღონისძიებები) შეჭმული პირდაპირი შემოსავლები ✓იმპორტირებული პროდუქტისა და სერვისის შედეგად მიღებული მოგების უკან დაბრუნებით გამოწვეული ფულადი სახსრების გადინება ✓დასაქმება დაბალანაზღაურებადი, სეზონური ან ნახევარ-განაკვეთურია ✓ყოველთვის საუკეთესო ალტერნატივა არ არის ✓მონაწილეობა მერყეობს ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ✓ხელს უწყობს კულტურათა შორის კონფლიქტს უთანასწორობის და გადატვირთულობის გამო ✓კულტურა კომერციალიზებულია, დანაშაული წახალისებულია, განვითარებისა და ტურისტების აქტივობებისაგან გარემო გაუარესებულია

სოციო-კულტურული და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სარგებელი. სოციალური და კულტურული სარგებლები ავსებენ პროპაგანდულ პლატფორმაში არსებულ პოპულარულ ეკონომიკურ არგუმენტებს. მათგან ერთ-ერთია კულტურათა შორის ურთიერთგაგება და შედეგად, მსოფლიოში მშვიდობის

დამყარება სტუმარსა და მასპინძელს შორის პირდაპირი კავშირის საფუძველზე (D'Amore, 1988). მეტიც, ტურიზმი ხელს უწყობს დანიშნულების ადგილის უნიკალური ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული რესურსების დაცვას, რომელთა შემოსავლების ნაწილიც მიმდინარე რესტავრირების თუ სარემონტო მიზნებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული. ამ ლოგიკით, ისეთი ცნობილი სანახაობები, როგორიცაა ჩინეთის დიდი კედელი, ეგვიპტის პირამიდები თუ რომის ფორუმის ნანგრევები, შეიძლება სერიოზული რისკის ქვეშ დადგნენ ტურისტებისგან შემოსავლის ვერ მიღების შემთხვევაში. პროპაგანდული ლიტერატურის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ტურიზმს ყველანაირი კრიტიკის გარეშე უნივერსალურ საშუალებად მიიჩნევს. შესაბამისად ამ პლატფორმის წარმომადგენლები აშკარად ხაზს უსვამს ტურიზმის "შეუფერხებელი ზრდის" მიდგომას — თუ პატარა მასშტაბით კარგია, დიდი მასშტაბით ხომ კიდევ უფრო კარგი უნდა იყოს! ამგვარი პრო-ტურისტული გრძნობები ეყრდნობა ამ პლატფორმაში ფართოდ გავრცელებულ თავისუფალი ბაზრის მხარდაჭერის იდეას, რომელიც კაპიტალიზმს ტურიზმის ზრდის ყველაზე ხელშემწყობ და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მომტან საშუალებად მიიჩნევს.

გამაფრთხილებელი პლატფორმა. გამაფრთხილებელი პლატფორმის წარმოქმნა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში. იგი ძირითადად ამტკიცებს, რომ ტურიზმის არაკონტროლირებადი განვითარება ადრე თუ გვიან მიაღწევს კულმინაციას დაუშვებლად მაღალი ბუნებრივი, ეკონომიკური თუ სოციო-კულტურული ზიანით, რისგანაც ყველაზე მეტად ადგილობრივი მაცხოვრებლები დაზარალდებიან. ძირითადი ფაქტორი გახდა ტურიზმის განვითარების ინტენსიური ზრდა ბევრ დესტინაციაზე (პროპაგანდული პლატფორმის მომხრეების მონაწილეობით განპირობებული) და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში კონკრეტულად იმ დონემდე სადაც უარყოფითი ზეგავლენის შედეგები აშკარად შესამჩნევი გახდა. დამატებითი ფაქტორი გახდა გარემოს დაცვითი მოძრაობების გამოჩენა და პოპულარიზაცია. გამაფრთხილებელი პლატ-

ფორმის გარემოს დამცველთაგან ცნობილია კრიტენდონი (1975), რომელიც ველურ ბუნებაზე ტურიზმის ნეგატიურ გავლენაზე აკეთებდა აქცენტს, და ბუდოვსკი (1976), რომელიც ამტკიცებდა, რომ ტურიზმსა და ბუნებრივ გარემოს შორის კავშირი ძირითადად თანაარსებობის პრინციპს ემყარება, რომელიც კონფლიქტში გადაიზრდებოდა, რადგანაც ტურიზმი განაგრძობდა ქაოტურად გავრცელებას შედარებით ხელშეუხებელ ადგილებში.

ეკონომიკური ხარჯები. როგორც ცხრილი 2 გვიჩვენებს, ამ პლატფორმის მიმდევრებს ტურიზმის პროპაგანდისტების მიერ მიჩნეულ თითოეულ სარგებელზე შესაბამისი კონტრ-არგუმენტი მოყავთ. იქ, სადაც პროპაგანდული პლატფორმა აშკარა პირდაპირი შემოსავლების გენერირებით არის მოხიბლული, გამაფრთხილებელი პლატფორმის მომხრეებს სწრაფად მზარდი მარკეტინგული, წამახალისებელი და ადმინისტრაციული ხარჯები მოყავთ მაგალითად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებსAამ შემოსავლებს. გარდა ამისა, ტურიზმში დასაქმებას დაბალ-ანაზღაურებად, ნახევარ-განაკვეთურად და სეზონურად ახასიათებენ, რაც თავის მხრივ გამორიცხავს დასაქმებულის სარგებელს და დაწინაურების შესაძლებლობებს. რადგანაც უწყვეტი ზრდის გრძელვადიანი გეგმა გლობალური მასშტაბით არსებობს, ინდივიდუალური დანიშნულების ადგილები არაპროგნოზირებადი და პოტენციურად დამანგრეველი რყევების სუბიექტი შეიძლება გახდეს. მიზეზი სხვა ტურისტული დანიშნულების ადგილების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ან პოლიტიკისა და გარემოს არასტაბილურობის მიმართ ტურისტული ბაზრის მგრძნობელობა შეიძლება გახდეს. ტურიზმის მოთხოვნის სეზონური ბუნებაც. ეს და სხვა ფაქტორები ტურიზმის, როგორც პერიფერიულ რეგიონებში ეკონომიკური განმავითარებლის ეფექტურობას ამცირებენ..

სოციო-კულტურული და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სარგებელი. გამაფრთხილებელი პლატფორმის მომხრეები სოციო-კულტურულ ნაწილში ამტკიცებენ, რომ ტურიზმს ისევე შეუძლია გაუგებრობისა და კონფლიქტის წარმოქმნა, როგორც ჰარმონიის და მსოფლიო მშვიდობის. გადატვირთულობით და სერვისის ან რესურსების ტურისტებზე მორგებით გამოწვეული

აღშფოთებაც შეიძლება გახდეს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. წამახალისებლის ეფექტს "თანა-ცვლილების" ეფექტი შეიძლება დავუპირისპიროთ, რადგან რეზიდენტები პროდუქტს და სერვისს ტურისტული ბაზრის მოთხოვნას მიუსადაგებენ და არა საკუთარი საზოგადოების საჭიროებებს (Cohen, 1988). გაზრდილი ტურისტული აქტივობებიც ასოცირებულიდება მეტ დანაშაულთან, ერთის მხრივ, ტურისტის, როგორც მიმზიდველი მსხვერპლი თაღლითებისთვის, მეორეს მხრივ კი თვით ტურისტები, რომლებიც არალეგალურ და კრიმინალურ აქტივობებში ერთვებიან.

ადაპტირებადი პლატფორმა. გამაფრთხილებელმა პლატფორმამ განსაზღვრა ტურიზმის პოტენციური ნეგატიური შედეგები, მაგრამ არ შემოუთავაზებია ტურიზმის ისეთი მოდელი, რომელიც ამ ეფექტების თავიდან აცილებაში დაეხმარებოდა და ფაქტიურად, პროპაგანდული პლატფორმის მომხრეების მიერ დახასიათებული სარგებლების ჩამონათვალის რეალიზებას მოახდენდა. 1970-იანი წლების დასასრულს და 1980-იანი წლების დასაწყისში პრობლემის შესაძლო გადაწყვეტის შესახებ არსებული დისკუსიების გამოჩენა ითვლება ადაპტირებადი მიდგომის საწყისად. მის მიხედვით ტურიზმი ნებისმიერი საზოგადოების უნიკალურ სოციო-კულტურულ და ბუნებრივ გარემოებებზე უნდა იყოს ადაპტირებული. ბევრი კომპლექსური ტერმინი იქნა გამოყენებული ამ ადაპტაციების დასახასიათებლად, მაგრამ მხოლოდ "ალტერნატიულმა ტურიზმმა" მიიღო ფართო აღიარება მოიაზრებდა რა, რომ მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას წარმოადგენა, რომელიც თავის მხრივ სრულიად ეწინააღმდეგებოდა ხსენებულ ადაპტირებად ტურიზმს.

ცოდნაზე დაფუძნებული პლატფორმა. ჯაფარის მიხედვით, რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა ცოდნაზე დაფუძნებული პლატფორმის წარმოქმნა 1980-იანი წლების ბოლოს. ერთ-ერთი იყო დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან იმის გაანალიზება, რომ ტურიზმი უზარმაზარ გლობალურ ინდუსტრიად იქცა და ადაპტირებადი პლატფორმით შემოთავაზებული ალტერნატიული ტურიზმი ვეღარ იქნება შესაფერისი არჩევანი ისეთი ტურისტული დანიშნულების ადგილებისთვის, სადაც მასობრივი ტურიზმი უკვე

დომინირებს. მეორე, უფრო და უფრო მეტად ცხადი ხდებოდა, რომ ტურიზმის ნებისმიერი ფორმა წარმოშობს როგოც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებს. ეს ნიშნავდა, რომ იდეოლოგიურად პოლარიზებული პროპაგანდული, გამაფრთხილებელი და ადაპტირებადი პლატფორმები მზარდი კომპლექსური გლობალური ტურიზმის დარგის მხოლოდ შეზღუდულ და მიკერძოებულ მსოფლიო ხედვას გვთავაზობს. ჯაფარი გვთავაზობს, რომ საჭიროა გლობალური, სისტემური მიდგომა, რომელიც იყენებს ზუსტ მეცნიეურულ მეთოდებს საჭირო ცოდნის მოსაგროვებლად იმისათვის, რომ ზუსტად შეაფასოს და მართოს ტურიზმის დარგი. ის ამტკიცებს, რომ ტურიზმის დაინტერესებული მხარეებმა, კერძოდ აკადემიური პირებმა დაიწყეს დარგის "გამეცნიერების" განხორციელება, რაც მეტად ცხადი ხდება ტურიზმის საუნივერსიტეტო კურიკულუმებში შეტანით, ტურიზმთან დაკავშირებული კვლევების გაზრდილი დაფინანსებით და ტურიზმისა და მასპინძლობის რეცენზირებადი ჟურნალების გავრცელებით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ამტკიცო, რომ პატარა მასშტაბით განვითარებული ტურიზმი ჯობს დიდი მასშტაბით გავრცელებულ ტურიზმს (როგორც ადაპტირებად პლატფორმაში) ან — პირიქით (როგორც პროპაგანდულ პლატფორმაში). შესაბამისად, გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ კონკრეტული დანიშნულების ადგილისთვის რა სახის ტურიზმი იქნება საუკეთესო, სრულ მეცნიერულ ანალიზზე უნდა იყოს დაფუძნებული და შემდგომ უნდა იქნას განხორციელებული შესაბამისი სტრატეგიები.

მდგრადი განვითარებისკენ ცვლილება. ჯაფარის პლატფორმა ისტორიულად ასახავს მიდგომის გარდაქმნას მასობრივი ტურიზმის პრომოუშენიდან იმის რეალიზებამდე, რომ ტურიზმს ისევე შეუძლია საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება, როგორც კარგის გაკეთება. გვიჩვენებს თუ როგორ გაიზარდა გადაწყვეტილების მიმღებ ფენებში მასობრივი ტურიზმის უარყოფითი მხარეების შესახებ ცნობიერება და როგორ დაიწყეს ტურიზმის დაგეგმვის, მენეჯმენტის და განვითარების ალტერნატიული გზების ძიება.

ჯაფარის პლატფორმა გვიჩვენებს თუ დროთა განმავლობაში როგორ იცვლებოდა შეხედულებები მასპინძელ საზოგადოებაზე

ტურიზმის ზეგავლენის შესახებ. საბოლოოდ კი ადაპტირებადი და ტურიზმის სისტემის მთლიანობაში შესასწავლად ცოდნაზე დაფუძნებული პლატფორმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ტურიზმის ამ ალტერნატიულმა ფორმებმა და ტურიზმის სისტემის კომპლექსურმა მიდგომამ განაპირობა ტურიზმის განვითარების მიდგომის ცვლილება, და მკვლევარების იმ აზრამდე მიყვანა, რომ მდგრადი ტურიზმის მოდელის შექმნა ხდება აუცილებელი (Choi & Sirkaya, 2005). მიდგომის ცვლილების მხარდაჭერის დანახვა ბევრ საერთაშორისო დოკუმენტშია შესაძლებელი. მაგალითად, ბერლინის დეკლარაცია (1997), სადაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი მნიშვნელოვნად ეხმარება ეკონომიკურ განვითარებას და კულტურათა გაცნობას, ამავდროულად აქვს პოტენცია, რომ ბუნებრივი გარემოს, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის რღვევა გამოიწვიოს, შესაბამისად ტურიზმის მდგრადი განვითარებაა საჭირო.

დასკვნები და წინადადებები

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი ტურიზმის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს, ყველა მათგანს საერთო თემა — საზოგადოების მხარდაჭერა აერთიანებს. ამგვარ განზრახვას კვლავ ტურიზმის განვითარების თავდაპირველ ახსნამდე მივყავართ — მეტი ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, ვხედავთ, რომ ამ ტრადიციულ მიდგომას ყოველთვის კეთილშობილურ შედეგებამდე არ მივყავართ, ხშირად უცხოელი მფლობელის, დაქირავებული პერსონალის თუ იმპორტირებული საქონელის წყალობით ხდება ქვეყნიდან ფულადი სახსრების გადინება. მდგრადი ტურიზმის მოდელის ამოსავალი წერტილია — ეკონომიკური სარგებლის სამართლიანი გადანაწილება ქვეყნის რეზიდენტებს შორის. როგორც ქოი და სირაკაია ამტკიცებს, მდგრადი ტურიზმის წარმატებულად განხორციელება საჭიროებს — ხედვის, პოლიტიკის, დაგეგმვის, მენეჯმენტის, მონიტორინგის, საზოგადოებრივი სწავლის პროცესებს და საზოგადოების სრულ მონაწილეობას განვითარების პროცესში (Choi & Sirakaya, 2005). ჯაფარის პროპაგანდული

მოდელიდან დაწყებული ტურიზმის განვითარების მიდგომების ცვლილება საზოგადოების კეთილდღეობისკენ არის მიმართული, რისი მიღწევის საშუალებასაც მდგრადი ტურიზმის მოდელი იძლევა. მდგრადი ტურიზმის განვითარება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებს შორის გარკვეულ დონემდე ჰარმონიის დამყარების და გრძელვადიან პერსპექტივაში ცხოვრების ხარისხის სასურველი დონის მიღწევის საფუძველია (Ahn, Lee, & Shafer, 2002).

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. Ahn, B., Lee, B. & Shafer, C.S. (2002): 'Operationalising Sustainability in Regional Tourism Planning: An Application of the Limits of Acceptable Change Framework', Tourism Management, 23: 1-15.

2. Budowsky, G.(1976), Tourism and environmental conservation: conflict, coexistence or symbiosis?,Environmental Conservation 3, 27-31

3. Butler, R.W. (1980). The concept of a tourism area cycle of evolution: Implications for management of resources. *Canadian Geographer*, 24 (1), 5 – 12.

4. Choi, H.C. & Sirakaya, E. (2005). Measuring residents' attitude toward sustainable tourism: Development of sustainable tourism attitude scale. *Journal of Travel Research*, 43 (3), 380 – 394.

5. Cohen, E. (1984). The sociology of tourism: Approaches, issues and findings. Annual Review of Sociology, 10, 373-92

6. Crittenden, A. (1975) Tourism's terrible toll. International Wildlife 5(3):4-12.

7. D'Amore, L. (1988). Tourism: The world's peace industry. Journal of Travel Research, 27(1), 35–40.

8. Jafari, J. (1990). The research and scholarship, the basis of tourism education; The journal of tourism studies, Vol.1.No.1, 33-41

9. Jafari, J. (2001). The scientification of tourism. In V.L. Smith & M. Brent (Eds.), *Hosts and guests revisited: Issues of the 21st century* (pp. 28 – 41). Elmsford, NY: Cognizant.

10. McKercher, B. (1993) Some fundamental truths about tourism: Understanding tourism's social and environmental impacts, *Journal of Sustainable Tourism,* 1 (1), 6-16

11. Mcnulty, R. (1985) Revitalizing industrial cities through cultural tourism, International Journal of Environmental Studies, 25, pp. 225-228

12. Murphy, P.E. (1985). *Tourism: A community approach.* New York, NY: Methuen, Inc.

13. Pigram, J .P. (1995) Resource Constraints on Tourism: Water Resources and Sustainability. In R. W. Butler and D. Pearce (eds) *Change in Tourism: People, Places, Processes.* London: Roudedge.

JAFARI'S "PLATFORM" MODEL OF TOURISM DEVELOPMENT AND CONTEMPORARY PERSPECTIVES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT

Nino Devadze
PhD Student,
Batumi Shota Rustaveli State University

Since 1980s the sustainable development becomes a widely discussed question for the policy makers. Even though the original intention of tourism development was to provide an increased economic support for a community, the historical practices showed that the traditional approach does not always achieve the principal goal, which leads us to the requirement of sustainable tourism model development. The paper discusses the shift from Jafari's platform model to sustainable development. While the platform provides the description of successive development of tourism approaches summarizing them in 'advocacy', 'cautionary', 'adaptancy' and 'knowledge-based' platforms or perspectives, the paper discusses the framework for understanding the foundations and the contemporary perspectives of sustainable development.

Key words: Sustainable Tourism, Jafari's Platform Model, Sustainable Development,

სადაზღვევო კომპანიების მართვის ბიზნეს-მოდელის ფუნქციონირების პრობლემები

გიორგი მაისაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სადაზღვევო კომპანიების მართვის ბიზნეს-მოდელის

ფუნქციონირების პრობლემები. ავტორის აზრით სადაზღვევო ბიზნესში ეს ვლინდება იმაში, რომ პროდუქტების გამყიდველები ვიწრო სპეციალიზაციის არიან, ამიტომ კლიენტი შეიძლება მუშაობდეს სხვადასხვა გამყიდველებთან სხვადასხვა პროდუქტებზე. ამასთან ერთ კომპანიაში მსგავსი დაყოფა იწვევს დაყოვნებას ინფორმაცის გადაცემასა და დამუშავებაში. ეს პრობლემა აქტუალურია კომპანიების გაერთიანებისას ან შედარებით სუსტი ბიზნესის ყიდვის შემთხვევაში.

ავტორის მოსაზრებით, კლიენტთა ბაზასთან უთიერთქმედების პროცესები რთულდება ახლად წარმოქმნილ სტრუქტურაში შიდა სოციალური წინააღმდეგობების გამო.

საკვანძო სიტყვები: კომპანიის მართვა; ბიზნეს-მოდელი; მართვის პრობლემა,

შესავალი

სადაზღვევო ბაზარი წარმოადგენს ურთიერთობების სისტემას, რომლის მთავარი მონაწილენი არიან დაზღვევის პროდუქტების და მომსახურების პროვაიდერები, ამ პროდუქტების და მომსახურების მომხმარებლები და სახელმწიფო. მონაწილეები შედიან ამ ურთიერთობებში თავისი ინტერესების შესაბამი-

სად. ინტერესების ფორმირება ხდება თვისებებით, რომლებიც დამახასიათებელია სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილეებისათვის. ურთიერთობების ამ სისტემის გაფართოვებული რეპროდუქციის წყაროს წარმოადგენს მომხმარებელთა საშუალებები.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს დამახასიათებელი თავისებურებაა უზარმაზარი განსხვავებები ბუნებრივ-გეოგრაფიულ, სოციალურ-დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სხვა პირობებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ ტერიტორიული წარმონაქმნების განვითარების დონეს. როგორც შედეგი, ის, რაც იმყოფება სადაზღვევო ბიზნესის ზედაპირზე, ანუ ქვეყნის ცენტრალურ რეგიონებში, არ ასახავს საქმეთა ნამდვილ მდგომარეობას, განსაკუთრებით რეგიონულ ჭრილში. სადაზღვევო კომპანიების ბიზნეს-მოდელის ფუნქციონირების ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია რეგიონული სადაზღვევო ბაზრის განხილვა.

საქართველოს ტეროტორიაზე მოქმედებს 14 სადაზღვევო კომპანია, 2014 წელს აღინიშნებოდა სადაზღვევო ბაზრის ოპერატორების რაოდენომრივი ნახტომი. ასეთი ტენდენცია გამოწვეული იყო „სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის აუცილებლობაზე“ კანონის მიღებით (დიაგრამა).



სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციების ანალიზმა გამოავლინა საქალაქთაშორისო სადაზღვევო კომპანიების და მათი ფილიალების (ნახ.1) კონცენტრაცია, ამასთან, მათ ძირითად წილს შეადგენენ ბაზრის ოპერატორები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან თბილისში და მის რაიონში. ასე მაგალითად, თუ ადრე თბილისის სადაზღვევო კომპანიების წილზე მოდიოდა კომპანიების 48%, დღეისათვის იგი შეადგენს 69%-ს.

ამავე დროს აღინიშნება ბაზრიდან სადაზღვევო კომპანიების გასვლა, რომლებიც დარეგისტრირებული არიან უშუალოდ თბილისის ტერიტორიაზე. ეს დაკავშირებულია ბაზრიდან ნებაყოფლობით წასვლასთან, რაც გამოწვეულია მაღალი კონკურენციისა და შედარებით ძლიერი მოთამაშეების გამოჩენასთან, აგრეთვე ლიცენზიის გამოწვევასთან, რამდენიმე კომპანიის ერთ ჯგუფში გაერთიანებით, ან ერთი კომპანიის მიერ მეორეს ყიდვით.



საქართველოს სადაზღვევო კომპანიების და მათი ფილიალების განვითარების დინამიკა და წილი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ კომპანიებსა და მათ ფილიალებთან მიმართებაში

უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევის არც თუ ცუდმა ფინანსურმა შედეგებმა შესაძლებლობა მისცა მზღვეველებს, დაეგროვებინათ გარკვეული ფინანსური მარაგი შემდგომში რეგიონების ათვისებისათვის. სტრატეგია, როგორც წესი, მდგომარეობს ახალი ფილიალების გახსნაში ყველგან, სადაც შესაძლებელია დაზღვევის პროდუქციაზე მოთხოვნის მდგრადი ზრდა.

ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელს წარმოადგენს მოდელი, რომელიც აღწერს მის შიდა არქიტექტურას. იგი მოიცავს კორპორაციის მისიას და სტრატეგიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, ბიზნეს-პროცესებს, ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურას, დოკუმენტბრუნვას და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რომლებიც გარდაქმნიან შესასვლელებს (ნედლეული, ინფორმაცია) და გამოსასვლელებს (საქონელი, სამუშაო, მომსახურება, ინფორმაცია). ამ განმარტებებზე დაყრდნობით, გავაანალიზოთ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ბიზნეს-მოდელი.

სადაზღვევო ორგანიზაციის კორპორატიული მისიის საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: საქართველოს ტერიტორიაზე იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის დაზღვევის პროდუქტების მიყიდვა მათი მატერიალური დაცვის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოიხატება დაინტერესებულ პირთათვის დამზღვევების მიერ მატერიალური ზარალის შეფასებისა და დაზღვევის თანხის გადახდაში დაზღვევის შემთხვევის დადგომისას.

ამ განმარტებიდან გამომდინარეობს შემდეგი ორი ძირითადი მიზანი:

1. რეგიონული პოლიტიკის რეალიზაცია, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიები დაინტერესებული არიან საკუთარი ბიზნესის განვითარებით საქართველოს ტერიტორიაზე (რიგ შემთხვევებში მის ფარგლებს გარეთაც). ამისათვის ისინი ან უნდა განვითარდნენ, ან, თუ უკვე გააჩნიათ საკუთარი რეგიონული ქსელები, სხვა მეთოდებით განახორციელონ სადაზღვევო საქმიანობა, მაგალითად, რეგიონის გარეთ, საკუთარ დაქვემდება-

რებაში მყოფ ტერიტორიებზე;

2. განვითარების ფინანსური სტრატეგიის რეალიზაცია, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ორგანიზციის ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობისა და სადაზღვევო პორტფელის ბალანსირების უზრუნველყოფას, ვინაიდან სადაზღვევო ბიზნესის ბუნებიდან გამომდინარე, დაზღვევის პრემიები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად დაბალია, ყოველ სადაზღვევო შემთხვევაზე გაცემულ სადაზღვევო თანხებთან შედარებით.

ამ მიზნების მიღწევა შეიძლება პერსონალის მართვის, საკადრო პოლიტიკის, განვითარების მარკეტინგული სტრატეგიისა და IT-უზრუნველყოფის სფეროებში არსებული პრობლემების გადაჭრის გზით.

სადაზღვევო კომპანიების სტრატეგიული მიზანია კონკურენტუნარიანობის ამაღლება კლიენტების მომსახურების ხარისხის საფუძველზე, დაზღვევის პროდუქტების გაყიდვებისა და გაყიდვების შემდგომ მომსახურების ნაწილში და მზღვეველის ფინანსური მდგრადობის ნაწილში. ამასთან, სტრატეგიული მიზნის რეალიზაცია კომპანიის კონკურენტუნარიანობის ნაწილში, მიეკუთვნება არა მარტო დღეისათვის მოქმედ ნაციონალური დაზღვევის მოქმედ ოპერატორებს, არამედ მოსალოდნელ უცხოელ მზღვეველებსაც, რომელთა საქმიანობა შეიძლება გააქტიურებული იქნას რუსეთის მსო-ში შესვლის ფარგლებში.

ვინაიდან დაზღვევის ინსტიტუტის ეკონომიკურ არსს წარმოადგენს სადაზღვევო ფონდის ფორმირება, სადაზღვევო ურთიერთობების სისტემის გაფართოვებული თვითაღდგენის წყაროა დაზღვევის პროდუქტების მომხმარებლები. ამის შედეგად სადაზღვევო ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა აიგება განვითარებული ფილიალების ქსელის არსებობაზე, მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით და დაზღვევის პროდუქტების მომხმარებელთა დიდი ნაწილის დასაცავად.

ქსელური სტრუქტურა - ეს არის სტრუქტურა, სადაც დამყარებულია კოორდინაციისა და ურთიერთქმედების მდგრადი

დამოკიდებულებები თვითმართვად ფილიალებს შორის, რომლებიც წარმოების და ქსელური ბიზნესის მართვაში იყენებენ ურთიერთობებსა და ტექნოლოგიებს.

ამრიგად, სადაზღვევო ორგანიზაციის საერთო მოდელის აგება შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ნაჩვენებია ნახაზ.2. როგორც ნახაზიდან ჩანს, სადაზღვევო ორგანიზაციების საფუძვლს სათავო კომპანია წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია საკუთარი ბიზნეს-მოდელი. სათავო კომპანია დაზღვევის პროდუქტების ხელშეწყობის მიზნით ქმნის თავის n-ურ ქვეგანყოფილებებს, რომელთაგან ყოველს გააჩნია ორგანიზაციის საკუთარი ბიზნეს-მოდელი.



ნახ. 2. სადაზღვევო კომპანიის აგების მოდელი

როგორც ჩანს, სადაზღვევო ორგანიზაციის ქვედანაყოფები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფილიალების, წარმომადგენლობის, შვილობილი კომპანიების და სააგენტოების სახით. ფილიალები და წარმომადგენლობები გვევლინებიან კომპანიის იზოლირებულ სტრუქტურულ ერთეულებად. სხვაობა მათ შორის იმაშია, რომ ფილიალებსს შეუძლიათ განახორციელონ ყველა საწესდებო საქმიანობა, ხოლო წარმომადგენლობას მხოლოდ სააგენტო და წარმომადგენლობითი. სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლობა, როგორც წესი, დაკავებულია ინფორმაციის მოგროვებით, რეკლამით, წარმომადგენლობითი ფუნქციებით, კლიენტების მოძიებით მზღვეველის ინტერესე-

ბიდან გამომდინარე, მოცემულ რეგიონში ან სხვა ქვეყანაში, მაგრამ არ აწარმოებს კომერციულ საქმიანობას.

ფილიალის ხელმძღვანელობას შეუძლია იმოქმედოს მინდობილობის საფუძველზე, რომელიც გაცემულია მოქმედი კანომდებლობის და საზოგადოების წესდების შესაბამისად. წარმომადგენლობა და ფილიალები მოქმედებენ დამტკიცებული საზოგადოებრივი პოზიციის ფარგლებში.

მიუხედავად ფილიალების მთელი რიგი უპირატესობებისა, შვილობილი სტრუქტურის ორგანიზაციულ-სამართებლივი ფორმის არჩევისას, მრავალ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შვილობილი ფირმის შექმნას იურიდიული პირის სტატუსით. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ შვილობილი ფირმა წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების სრულუფლებიან სუბიექტს. შვილობილ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა. თავისი ფუნქციური შესაძლებლობებით ის მნიშვნელოვნად მაღლა დგას ფილიალზე. რაც შეეხება ფილიალების ან შვილობილი ორგანიზაციების ორგანიზაციულ-სამართებლივ ფორმას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ის წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებას. სადაზღვევო კომპანიის სააგენტოს უფლება აქვს, შეასრულოს წარმომადგენლობის ყველა ფუნქცია და განსაზღვრული სადაზღვევო ოპერაციები: დაზღვევის ხელშეკრულებების დასკვნები და მომსახურება.

ორგანიზაციული პროექტირების სფეროში თეორიულ-სამეცნიერო კვლევებისა და ქართული პრაქტიკის ანალიზმა საშუალება მოგვცა, გავაკეთოთ დასკვნა, რომ დღეისათვის საქართველოს სადაზღვევო კომპანიების უმეტესობაში არსებობს მართვის წრფივ-ფუნქციონალური სტრუქტურა (ნახ.3).

სადაზღვევო კომპანიის მართვის პროცესი მოიცავს დაგეგმვას, საწარმოს საქმიანობის ორგანიზაციას და კონტროლს. მართვის ამოცანებში შედის საწარმოო პროცესების მოწესრიგება და საქმიანობის ყველა ფუნქციური მიმართულების კომბინირება. მართვის ორგანოების მიერ მიიღება ყველა გა-



ნახ. 3 . სადაზღვევო კომპანიის წრფივფუნქციურ ორგანიზაციული სტრუქტურის მოდელი

დაწყვეტილება, რომლებიც ეხება კომპანიის სამეწარმეო საქმიანობას, განისაზღვრება სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია.

სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და კადრებით უზრუნველყოფა მოიცავს ყველა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით, პერსონალით და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფას.

გაყიდვების ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაში. დაზღვევის პროდუქტების გაყიდვა ხორციელდება საკუთრივ სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებამდე. დაზღვევის პროდუქტების გაყიდვებში უნდა გვესმოდეს დაზღვევის გადაფარვის გადაცემა დამზღვევიდან მზღვეველზე/ დაზღვევის პრემიის გადახდის

სანაცვლოდ, აგრეთვე კლიენტების სერვისული მომსახურება.

ვინაიდან გაყიდვების ფუნქცია ვრცელდება როგორც კვლავ დადებული ხელშეკრულებებზე, ისე უკვე არსებულ სადაზღვევო პორტფელზე, ამიტომ ის მუდმივად ხორციელდება. სადაზღვევო მომსახურების ქვეშ იგულისხმება სადაზღვევო დაცვის გაწევა. დროით ურთიერთობაში ეს ფუნქცია მოყვება გასაღებას. სადაზღვევო მომსახურების გაწევა იყოფა ახალი და უკვე არსებული ხელშეკრულებების დადებაზე, აგრეთვე ზარალის დარეგულირებაზე. ამასვე მიეკუთვნება დაზღვევის, თანადაზღვევის და გადაზღვევის ტექნიკური საკითხები.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს საქმიანობის ყველა იმ სახეობას, რომელიც არაპირდაპირაა დაკავშირებული სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებასთან. მასში შედის, მაგალითად, პერსონალის მართვა, საწარმოო სახსრების მართვა, მონაცემების დამუშავება. თავისი არსით ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამუშაო წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური და კადრებით უზრუნველყოფის საქმიანობის გაგრძელებას. დაფინანსებამ უნდა უზრუნველყოს დაზღვევის გადახდის შესაძლებლობა სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას.

მართვის ფუნქციური სტრუქტურა იძლევა განსაზღვრულ უპირატესობებს, რომელთა შორისაც შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: თანამშრომელთა სპეციალიზაციის შესაძლებლობა განსაზღვრული მიმართულებით, რაც საშუალებას იძლევა გამომუშავდეს უმაღლესი დონის პროფესიული ჩვევები; ყოველმა თანამშრომელმა იცის ის სამუშაო, რომელიც მან უნდა შეასრულოს; ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურის ფორმირება.

ორგანიზაციის აგების საქმეში ფუნქციური მიდგომის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა ფუნქციური ქვედანაყოფები ხშირად არ ინტერესდებიან იმით, რაც მათ არ ეხებათ. პროდუქტის საბოლოოდ მომხმარებელმა შეიძლება მიიღოს არა ის, რაც მას სურდა და ორგანიზაციის მიზნები მიუღწეველი დარჩება. თანამედროვე ფუნქციონური ორგანიზაციების საერთო თვისებას წარმოადგენს კონკურენციის

არსებობა ფუნქციონურ ქვედანაყოფებს შორის. ფუნქციონურ ქვედანაყოფებში მომუშავე ადამიანებს აინტერესებთ თავიანთი განყოფილებების მუშაობა და არ ახსოვთ მათ ირგვლივ არსებული დანარჩენი საქმიანობა. ადგილი აქვს ინფორმაციის მიმოცვლის შეფერხებას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე გარეთ, როგორც შედეგი - მმართველი გადაწყვეტილების მიღების დაგვიანება.

დასკვნა

ამგვარად, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელის ანალიზი საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. სადაზღვევო კომპანიების ბიზნეს-მოდელის აგების საფუძველს წარმოადგენს ქსელური პრინციპი, როდესაც სადაზღვევო ორგანიზაციების საფუძველია სათავო კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ბიზნეს-მოდელი.

2. სადაზღვევო კომპანიების ორგანიზაციული პროექტირების გამოკვლევა საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ მათი მართვის სისტემა არ იძლევა კლიენტების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების საშუალებას, მოქნილად და ოპერატიულად მოხდეს კომპანიის შიგნით, გარემოს ცვლილების ზეგავლენით მოსულ ბრძანებებზე რეაგირება.

3. სადაზღვევო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელის აგების ქსელური და წრფივ-ფუნქციური სტრუქტურის სინთეზს მივყავართ როგორც თვით სადაზღვევო კომპანიების, ასევე მთელი სადაზღვევო ბაზრის ინფორმაციული სივრცის სტაგნაციისკენ. ამ უკანასკნელის შედეგია არა მხოლოდ პოტენციური მომხმარებლების დეზინფორმაცია არაკვალიფიციური პერსონალის სახით და სადაზღვევო დილეტანტიზმის გავრცელება და დაზღვევის შემთხვევების ხანგძლივი ვადით გაგრძელება, არამედ ასევე სადაზღვევო ორგანიზაციის მთელი ბიზნეს-მოდელის არაეფექტიანი ფუნქციონირება.

ლიტერატურა

1. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2008.
2. გოგოლაშვილი გ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2010.
3. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფო რეგულირება, თბილისი, 2000.
4. http://www.gpih.ge/geo/home/index.php
5. http://daezgvie.wordpress.com/2015/02/28/58/
6. http://etibeglarashvili.blogspot.com/2015/04/2001-8.html
7. http://b-k.ge/main/print:page,1,219-gpi-holding-giorgi-kvirikadze.html

REFERENCES:

1. J. Shatirishvili., Kakashvili N., Insurance, Tbilisi, 2008.
2. G. Gogolashvili., Insurance, Tbilisi, 2010.
3.Georgian Insurance Market and State regulation, Tbilisi 2000.
4. http://www.gpih.ge/geo/home/index.php
5. http://daezgvie.wordpress.com/2015/02/28/58/
6. http://etibeglarashvili.blogspot.com/2015/04/2001-8.html
7. http://b-k.ge/main/print:page,1,219-gpi-holding-giorgi-kvirikadze.html

THE FUNCTIONING PROBLEMS OF MANAGING THE BUSINESS MODEL OF INSURANCE COMPANIES

George Maisashvili,
GTU, PhD Student

RESUME

The article deals with the functioning problems of management of business model of insurance companies.

According to the author, the insurance business is revealed in the fact that the sellers of the products are very specialized, so the client can run on a variety of products from different sellers.

But the author believes that a company with such a division leads to a delay in data transmission and processing. This issue of the merger of companies with weak or buying a business case.

According to the author, client base utiertkmedebis processes complicated internal structure of the nascent social challenge.

Keywords: company management; business model; management problems.

ღვინის კლასტერები როგორც კონკურენციის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

გრიგოლ ზუბიაშვილი
სტუ დოქტორანტი

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით სულ უფრო მეტადაა აუცილებელი ინტეგრაციული პროცესების დანერგვა და ბიზნეს-საწარმოო საქმიანობის ორგანიზების ახალი ფორმების განვითარება. მეღვინეობის დარგის ქართული საწარმოების საქმიანობის ძირითადი მახასიათებლებისა და პარამეტრების ცვლილება საწარმოო პროცესების ტემპის დაჩქარებას, წარმოებაში ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვას შეუწყობს ხელს. ღვინომასალის დაბალი ხარისხი, არსებული საწარმოო სიმძლავრეების არაპროდუქტიულად გამოყენება, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა პრობლემები ქართული მეღვინეობის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს. მეღვინობის დარგის რადიკალური გარდაქმნა, მათ შორის დარგში სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მეღვინეობის სექტორის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, სახელმწიფო, საწარმო, კონკურენცია, პროდუქტიულობა, სტრუქტურა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, აგროსამრეწველო კომპლექსი, ინფრასტრუქტურა, რესურსი.

ძირითადი ტექსტი

განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით „ზევიდან ქვევით“ აგრო-კომპლექსების მართვის სტილი სულ უფრო ნაკლებადაა აქტუალური ჰორიზონტალური სტილით ინტეგრირებულ სტრუქტურებთან შედარებით, როგორიცაა მაგალითად კლასტერები. კლასტერის შიგნით სუბიექტებს

შორის ურთიერთკავშირი დინამიური და მოქნილია, რაც ასეთი ტიპის აგრო-სამრწველო კომპლექსების სტრუქტურის სიმარტივითა და ჰორიზონტალური ხასიათითაა განპირობებული.

კლასტერის ცნებას საფუძვლად უდევს გეოგრაფიული ლოკალიზაცია და კლასტერის წევრების ტერიტორიული სიახლოვე. კლასტერის წევრებს გააჩნიათ საერთო ბარიერები და მსგავსი შესაძლებლობები კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. კლასტერში ცენტრალურ როლს როგორც წესი რამდენიმე მსხვილი კომპანია ასრულებს, რომლებიც კლასტერში გაერთიანების მიუხედავად ერთმანეთის კონკურენტები რჩებიან. კლასტერული სტრუქტურა ხელს უწყობს მცირე და საშუალო კომპანიების განვითარებას. სხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან განსხვავებით ასეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურა წარმოებაში უფრო მეტად უწყობს ხელს ინოვაციების დანერგვას.

მეღვინეობის დარგის საწარმოებში გამოყენებული მანქანა-დანადგარების მატერიალური და მორალური მოძველების, ნედლეულისა და მასალების შეზღუდულობის, პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული სირთულეების, ფულადი რესურსების შეზღუდულობის და სხვა პრობლემების ფონზე კლასტერული სტრუქტურების დაფუძნების საჭიროება გამოიკვეთა. ასეთ სტრუქტურებში როგორც წესი ინვესტორთა რისკის დონე მნიშვნლოვნად მცირდება, ასევე სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სადაზღვევო სერვისების ინტეგრირებას უწყობს ხელს. კლასტერული სტრუქტურა როგორც პირველადი პროდუქციის მწარმოებლების, ისე გადამამუშავებელი, სავაჭრო და სერვისის მიმწოდებელი კომპანიების განვითარებას უწყობს ხელს. კლასტერში შემავალი სუბიექტების საბაზისო პრობლემების მოგვარების შემდეგ ერთიანი მარკეტინგული პროგრამის შემუშავება გახდება შესაძლებელი, რაც მეღვინეობის კომპანიების ძირითადი სტრატეგიული ორიენტირების შემუშავებას შეუწყობს ხელს.

ქართული სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის შრომის დაბალი მწარმოებლურობის ძირითადი მიზეზი

სუსტი მენეჯმენტი და საწარმოო ფონდების მაღალი ამორტიზაციაა. საწარმოო პროცესში სამუშაო ძალა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან სწორედ ადამიანურ კაპიტალზე არის მნიშვნლოვანწილად დამოკიდებული ის, თუ რამდენად პროდუქტიულად გამოიყენება არსებული რესურსები.[1]

კლასტერების დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ასევე საწარმოების კონკურენტულ გარემოსთან და საბაზრო პირობების ცვლილებებთან მისადაგებაა. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ღვინის ბაზარი მაღალი დინამიურობით ხასიათდება, მცირე და საშუალო მეღვინეობის კომპანიების საბაზრო ცვლილებების საპასუხოდ სწრაფად გადაწყობა მათი სტაბილურობის შენარჩუნების და შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

კლასტერული ინტეგრაციის პირობებში ასევე ბაზარზე იმპორტიორთა გავლენა მცირდება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტირებული ღვინის წილი ქართულ ბაზარზე ძალიან მცირეა, ასეთი პრობლემა ქართული მეღვინეობის კომპანიებისათვის ნაკლებად აქტუალურია.

კლასტერული ინტეგრაცია ახალი მახასიათებლებისა და თვისებების მქონე ღვინის პროდუქციის შექმნას მნიშვნელოვნად განაპირობებს. ამ მხრივ პირველ რიგში მევენახეობა-მეღვინეობაში ახალი ვაზის სახეობების დანერგვა და შესაბამისად ახალი ტიპის ღვინოების წარმოება იგულისხმება. მეღვინეობის პროდუქტის მახასიათებლების ცვლილებაში ასევე ღვინის პროდუქციის ეტიკეტის, შეფუთვის და სხვა ატრიბუტიკის გარდაქმნა იგულისხმება. კლასტერიზაცია მეღვინეობის პროდუქციის რეკლამირებისა და ბაზარზე მისი დაწინაურებისათვის ახალი გზებისა და მეთოდების დანერგვისათვის ხელშემწყობი ფაქტორია.

კლასტერული ინტეგრაცია მის წევრებს შორის რაციონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შემდგომ გა-

1 ჭითანავა ნ., ქვეყანას სჭირდება აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტექინფორმი, #11(23), 2013, გვ 189-194

ნვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სისტემაში ფასწარმოქმნა იმგვარად დარეგულირდება, რომ მისი თითოეული წევრი მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩება საკუთარი მდგომარეობით. კლასტერული ინტეგრაცია პირველ რიგში სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის მწარმოებლების ინტერესების დაცვას შეუწყობს ხელს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლები ყველაზე ნაკლებად არიან დაინტერესებულები საკუთარ პროდუქციაზე მაღალი ფასნამატით, რადგან პროდუქციის მაღალი ფასი პროდუქციაზე მოთხოვნას შეამცირებს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი ქართული მეღვინეობისათვის, რადგან ქართული ღვინო სხვადასხვა ბაზრებზე საშუალოზე მაღალ ფასად იყიდება.[1]

კლასტერების დაფუძნების დროს სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოები და მუნიციპალური თვითმმართველობები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ისინი ხელს უწყობენ კლასტერების თაობაზე სხვადასხვა პროგნოზების შექმნას და მის წევრებს შორის კონტაქტების განმტკიცებას. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო კლასტერის ფორმირების პროცესშია ჩართული, ასეთი აგროსამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა სუბიექტებს შორის ნდობის ხარისხი გაიზრდება, როგორც კლასტერული ინსტიტუციის, ისე ერთმანეთის მიმართ.

კლასტერის წევრებს შორის ურთიერთკავშირის ინტენსიფიკაცია აგროგაერთიანების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. იმის გათვალისწინებით, რომ კლასტერის შიგნით საწარმოებს შორის ნდობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მის გარეთ სხვადასხვა სუბიექტებს შორის, ურთიერთხელსაყრელ კომერციულ პირობებზე მოლაპარაკება მნიშვნელოვნად გამარტივდება.

კლასტერიზაციის პირობებში რეგიონული აგროსამრეწველო კომპლექსები რამდენიმე მიმართულებით ვითარდებიან:

1) სოფლის მეურნობის სუბიექტები მეურნეობის იმ სახე-

1 Алехин М.Ю., Кочемасов А.Р., Проблемы Кластеризации и Кластерной Политики, Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ”, Том 7, №5, 2015, стр 10-15

ებზე სპეციალიზდებიან, რომლებიც ყველაზე უფრო ეფექტური და რენტაბელურია. ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მეღვინობას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. მიკროდონეზე ისეთ საწარმოებზე ხდება ორიენტირება, რომლებსაც განვითარების ყველაზე უფრო მაღალი პოტენციალი გააჩნია. სხვადასხვა საწარმოებს შორის ურთიერთობების ინტენსიფიკაციის პირობებში საბაზრო მექანიზმი გაძლიერდება, რაც ყველაზე უფრო პერსპექტიული მეღვინეობის საწარმოების შემდგომ განვითარებას უწყობს ხელს. მეღვინეობის დარგის ტოტალური აღმშენებლობის პირობებშიც კი შეუძლებელია ყველა მეღვინეობის საწარმოს განვითარება. ამიტომაც ზოგიერთ საწარმოებს ეს პროცესი არ შეეხება.

2) გამსხვილება და კონცენტრაცია ზოგადად საწარმოებში ინოვაციებისა და სიახლების დანერგვის ხელშემწყობი ფაქტორია. კლასტერიზაციის პირობებში შედარებით გამარტივებულია წარმოებაში დაბალხარჯიანი, ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა.

3) დაჩქარდება ტექნიკური გადაიარაღებისა და აღჭურვის პროცესი.[1]

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის კლასტერში და მათ შორის მეღვინეობის კლასტერებში აქტიურად გამოიყენება წამყვანი ინფორმაციული ტექნოლოგიები. იმის გათვალისწინებით, რომ ღვინის წარმოების პროცესი მრავალეტაპიანი და კომპლექსურია, თანამედროვე და ზუსტი ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა დარღვევის აღმოფხვრას და საბოლოოდ მაღალხარისხიანი მეღვინეობის პროდუქციის წარმოებას შეუწყობს ხელს.

ქართულ მეღვინეობის კომპანიებში ინფორმაციული ტექნოლოგიების უფრო ინტენსიურად გამოყენება სხვადასხვა მიზეზების გამო არის სასურველი:

1. დარგის სტრუქტურას გარდაქმნის და კონკურენციის

1)Андросик Ю. Н., Управление Процессами Кластеризации Отрасли в Обеспечении Устойчивого Развития Предприятия, Экономика и экономические науки, Труды БГТУ, № 7, 2014, стр 2-4

ახალ ეტალონის დანერგვას შეუწყობს ხელს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოებაში მეღვინეობის საწარმოების კონკურენტული უპირატესობის ზრდას უწყობს ხელს. ინფორმაციული ტექნოლოგიბის დანერგვის შედეგად, როგორც წარმოების სისწრაფე გაიზრდება, ისე პროდუქციის დანახარჯიც მნიშვნელოვნად შემცირდება.

3. თანამდროვე ტექნოლოგიების მოხმარების შედეგად მეღვინეობის საწარმოს პერსონალის კვალიფიკაციაც და პროდუქტიულობაც დროთა განმავლობაში გაიზრდება.[1]

კლასტერის დაფუძნების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურაა. მეღვინეობის პროდუქციის წარმოება მრავალი ეტაპისაგან და პროცედურსაგან შედგება. შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა დროისა და ფულადი რესურსების ეკონომიას შეუწყობს ხელს. თანამედროვე ინფრასტრუქტურის პირობებში გამარტივებულია მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობასი მოყვანა, საქონლის რეალიზაციის დროის შემცირება, კაპიტალის ბრუნვის დაჩქარება, საქონლის ტრანსორტირების და შესაბამისად საბოლოო პროდუქციის ფასის შემცირება.

მსხვილი ინტეგრირებული გაერთიანებების შექმნის შედეგად სტრუქტურის ფარგლებში წამგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირებაა შესაძლებელი. კლასტერში შესვლის შედეგად ასეთ საწარმოებს გაუმარტივდებათ კრედიტის, ასევე მაღალპროფესიული დახმარების მიღება (იურისტების, ბუღალტრების, ფინანსისტების). მცირე საწარმოების განვითარება კლასტერებშია ყველაზე უფრო რეალური. ეს ფენომენი განსაკუთრებით აქტუალურია ქართული მეღვინეობის კომპანიებისათვის, რომელთა უმეტესობა დაბალრენტაბელური ან წამგებიანია.[2]

1 Clemons E., Reddi S., Row M., The Impact of Information Technology on the Organization of Economic Activity: The "Mov to the Middle" Hypothesis, Journal of Management Information Systems, Volume 10, №2, pp 15-18

2 Doronina I.I., Borobov V.N., Ivanova E.a., Agro-industrial Clusters as a Factor of Increasing competitiveness of the Region, International Journal of Economics and Financial, Volum 6, Special Issue (1), 2016, pp 2-5

სახელმწიფო მეღვინეობის კლასტერს შესაძლოა სხვადასხვა გზით დაეხმაროს:

1. სახელმწიფომ იმგვარად უნდა დაარეგულიროს ეროვნული ფულად-საკრდიტო სისტემა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს დაბალპროცენტიანი სესხის მიღება გაუმარტივდეთ,
2. სახელმწიფო პროტექციონიზმის პოლიტიკის მეშვეობით სამამულო მწარმოებელს უცხოური კონკურენციისაგან დაიცავს.

ამდენად, სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც კლასტერების დაფუძნებისას, ისე მათი შემდგომი განვითარების პროცესში. თუმცა ამავე დროს კლასტერის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გაერთიანების შიგნით მის წევრებს შორის ურთიერთქმედების ინტენსიურობასა და ხარისხზე. ამ შემთხვევაში მთავარია კლასტერის შიგნით მის წევრებს შორის არსებობდეს მოტივაცია საერთო მიზნების მისაღწევად.

დასკვნა

ქართული აგროსექტორის და მათ შორის მეღვინეობის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია ინტეგრაციის ისეთი ფორმების განვითარება, როგორიცაა კოოპერატივები, აგროჰოლდინგები, კლასტერები. ქართული მეღვინეობის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის სასურველია ე.წ „ახალი მეღვინეობის“ ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება. ჩილეს, არგენტინის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის და სხვა მსგავსი ქვეყნების მეღვინეობის ინდუსტრია ძირითადად კლასტერებს ეფუძნება. საწარმოო რესურსებისა და კაპიტალის მასშტაბური კონცენტრაცია ხელს უწყობს სხვადასხვა მიმართულებით აგროწარმოების შესაძლებლობების განვითარებას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

აგრარული სექტორის განვითარების ერთერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული გზა კლასტერიზაციაა. იგი ეკონომიკის ფორმირების განსაკუთრებული მეთოდია და კონკურენტუნა-

რიანობის ამაღლების საკვანძო საკითხია რეგიონული და ეროვნული მასშტაბით. აღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, ქართულ მეღვინეობის ინდუსტრიაში კლასტერული აგლომერაციის შექმნაა სასურველი.

ლიტერატურა:

1. ჭითანავა ნ., ქვეყანას სჭირდება აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტექინფორმი, #11(23), 2013, გვ 189-194;

2. Clemons E., Reddi S., Row M., The Impact of Information Technology on the Organization of Economic Activity: The „Mov to the Middle" Hypothesis, Journal of Management Information Systems, Volume 10, №2, pp 15-18;

3. Doronina I.I., Borobov V.N., Ivanova E.a., Agro-industrial Clusters as a Factor of Increasing competitiveness of the Region, International Journal of Economics and Financial, Volume 6, Special Issue (1), 2016, pp 2-5;

4. Алехин М.Ю., Кочемасов А.Р., Проблемы Кластеризации и Кластерной Политики, Интернет-журнал „НАУКОВЕДЕНИЕ", Том 7, №5, 2015, стр 10-15;

5. Андросик Ю. Н., Управление Процессами Кластеризации Отрасли в Обеспечении Устойчивого Развития Предприятия, Экономика и экономические науки, Труды БГТУ, № 7, 2014, стр 2-4.

REFERENCES:

1. Chitanava N., The Country Needs a New Strategy for Agricultural Development, Georgian Technical University Techinform, #11(23), 2013, pp 189-194; (in Georgian Language)

2. Clemons E., Reddi S., Row M., The Impact of Information Technology on the Organization of Economic Activity: The „Mov to the Middle" Hypothesis, Journal of Management Information Systems, Volume 10, №2, pp 15-18; (in English Language);

3. Doronina I.I., Borobov V.N., Ivanova E.a., Agro-industrial Clus-

ters as a Factor of Increasing competitiveness of the Region, International Journal of Economics and Financial, Volum 6, Special Issue (1), 2016, pp 2-5; (in English Language);

4. Alioxin M.U., Kochemasov A.R., Clustering and Cluster Policy Issues, Internet-Journal „Science", Volume 7, №5, 2015, pp 10-15; (in Russian Language)

5. Androsik U.N., Management of Industry's Clustering Processes In Ensuring Sustainable Enterprise Development, Proceedings of BGTU, № 7, 2014, pp 2-4. (in Russian Language)

,

WINE CLUSTERS AS AN IMPORTANT TOOL FOR RAISING COMPETITIVENESS

Grigol Zubiashvili
PhD Student, GTU

RESUME

Integration and development of new business processes are more and more important according to the world economic tendencies. The main characteristics and parameters change of Georgian wine enterprises will speed up production process and will promote new products and technologies into production. The low quality of wine materials, unproductive use of existing production capacity, old-fashioned material technical base and other problems significantly hinder the development of Georgian wine industry. The radical transformation of the wine industry, including the change of organizational-legal form of entities, will significantly contribute to the development of the wine sector.

Key words: Cluster; State; Enterprise; competition; Productivity; Structure; Informational Technologies; Agro-industrial Complex; Infrastructure; Resource.

მეწარმეობის თვითრეგულირების სტრატეგია

დავით ძოწენიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

კონკურენცია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა აუცილებელი ელემენტია და ამდენად წარმოადგენს რეგულირებადი ბაზრის სიმბოლოს.ახალი ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოქმედების ფონზე მნიშვნელოვანია კონკურენციის პოლიტიკის თეორიის და პრაქტიკის ხელახლა გააზრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მექანიკური ქმედებების შედეგად შესაძლოა არსებითად დაზარალდეს ბიზნეს სექტორი. აუცილებელია საერთაშორისო პრაქტიკის და გამოცდილების გათვალისწინებით განისაზღვროს წესი – ვინ შეიძლება დასახელდეს ან ჩაითვალოს მონოპოლისტად. კერძოდ, ნიშნავს თუ არა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აუცილებლობას, სად გადის ზღვარი, როგორი უნდა იყოს სპეციფიური სექტორების (ენერგეტიკა, კომუნიკაციები) როლი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის კონტექსტში. წინამდებარე სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბაზრის (სასაქონლო და გეოგრაფიული), საბაზარო ძალაუფლების და ბაზრის კონცენტრაციის განსაზღვრის კრიტერიუმებს, ასევე ჰორიზონტალური და ვერტიკალური გაერთიანებების სირთულეებს. ბაზრის განსაზღვრის დროს აუცილებელია მისი საზღვრების დადგენა სასაქონლო ნიშნით. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემების გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ საქართველოში კონკურენციის სფეროს თავისებურებებთან დაკავშირებული კვლევითი სპექტრის სრულფასოვანი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები:კონკურენცია, დარგი, სტრატეგია;ინოვაციები, პროგრესული ტექნოლოგიები, კონკურენტუნარიანობა.

კონკურენცია დინამიკური და განვითარებადი პროცესია, რომელშიც მთავარი როლი განეკუთვნება ინოვაციებსა და ცვილებებს, აგრეთვე ფირმათა უნარს, მართებულად გამოიყენონ და შეინარჩუნონ კონკურენციული უპირატესობანი.

კონკურენციის ბუნების გასაგებად, ანალიზის ძირითად ერთეულად მიიჩნევა დარგი, ანუ კონკურენტების ჯგუფი, რომლებიც აწარმოებენ საქონელს ან მომსახურებას და მეტოქეობენ ერთმანეთში. შეიძლება არსებობდეს მონათესავე დარგები, რომლეთა პროდუქციასაც ერთი და იგივე მყიდველი, ტექნოლოგია ან გასაღების არხები აქვთ. პრაქტიკაში დარგებს შორის საზღვრების დადგენა მეტად ძნელია.

ყოველი მწარმოებელი მოგების მაქსიმიზაციისკენ მიილტვის. რა თქმა უნდა, ამისათვის საუკეთესო ვარიანტია უხარისხო პროდუქციის მაღალ ფასში გაყიდვა, თუმცა კონკურენცია ზღუდავს ამ შესაძლებლობის გამოყენებას. კონკურენციის მთავარი პირობა ხომ ბაზარზე ბევრი ფირმის ფუნქციონირებაა, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეარჩიოს მისთვის საუკეთესო ვარიანტი. სწორედ ამიტომ მეტი მომხმარებელი ყავს იმ საწარმოს, რომლის პროდუქციაც საუკეთესო ხარისხისაა და ფასი შედარებით ნორმალურია. მომხმარებელთა მიზიდვის მიზნით ყოველი ფირმა ცდილობს, შესაძლებლობების ფარგლებში, უკეთესი ვარიანტი შესთავაზოს მყიდველს, დანერგოს უახლესი ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგიები, ეფექტიანად გამოიყენოს მატერიალური და შრომითი რესურსები და ა.შ. აქ კი ძალაუნებურად თავს იჩენს მყიდველისა და საზოგადოების ინტერესების დაცვა.

კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობების მოსაპოვებლად უმნიშვნელოვანესი პირობაა ინფორმაციული უზრუნველყოფა. ინფორმაციულმა რევოლუციამ დაიპყრო მთელი მსოფლიო და არცერთ ფირმას არ შეუძლია მისგან თავის დაღწევა. ფირმის საქმიანობაში მძლავრად იკიდებს ფეხს ინფორმაციული ტექნოლოგიები. დღეს უკვე შესაძლებელია კომპიუტერული ქსელების საშუალებით ფირმებისა და მათი შვილობილი

კომპანიების მართვა შორი მანძილიდან, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში.[1]

ერთ–ერთი საუკეთესო ინფორმატორი ბაზარზე მიმდინარე პროცესებისა არის ფასი. იგი იძლევა უსწრაფესს სიგნალს ბაზარზე მიმდინარე პროცესების შესახებ. კონკურენციის პირეობებში კი ეს ინფორმატორი ძალზე ეფექტიანად მუშაობს. კონკურენტულ ბაზარზე თითოეული ფირმა აწარმოებს ერთგვაროვან ან იდენტურ საქონელს და ამ შემთხვევაში შეიძლება ფირმები სიფრთხილეს იჩენდნენ თავის მიერვე დაწესებული ფასის მიმართ, რადგან მყიდველებს არა აქვთ სრული ინფორმაცია პროდუქციის ხარისხისა და თვისების შესახებ. მაგრამ, კონკურენტულ ბაზარზე მოღვაწე ფირმებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებიდან ერთ–ერთის თანახმად, არც ერთ მათგანს ზეგავლენა არ შეუძლია ფასზე, რომლითაც ის ყიდის გამოშვებულ ნაწარმს. აქედან გამომდინარე მყიდველებს აქვთ თითქმის სრული ინფორმაცია გასაყიდი პროდუქციის შესახებ, ანუ მათ იციან, კონკურენტული წარმოების სხვადასხვა ფირმების პროდუქცია, მართლაც იდენტურია თუ არა.

ეკონომიკასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს შორის კონკურენტუნარიანობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სხვადასხვანაირი ახსნა იმისა, თუ რატომაა ერთი ქვეყანა კონკურენტუნარიანი და მეორე – არა, ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. საყოველთაოდ მიღებული ერთიანი თეორია არ არსებობს.

ღია ეკონომიკის რადიკალური კონცეფციის მომხრეები ჟ. ბ. სეი, ე. ჰეკშერი, ბ. ოლინი, რ. ვერონი, პ. სამუელსონი და სხვები მიიჩნევენ, რომ საბაზრო კონკურენცია არის ეკონომიკური განვითარების საუკეთესო რეგულატორი. როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე მსოფლიო ეკონომიკის მაშტაბით იგი აიძულებს ყოველ ქვეყანას დასპეციალდეს იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელშიც აქვს შეფარდებითი უპირატესობა.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის მრავალი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ, ჩვეულებრივ, ქვეყნის კონკურენტუნა-

1 Портер М., Конкуренциа. Москва. 2000. стр. 97

რიანობაში გულისხმობენ მისი ფირმებისა და დარგების შესაძ-ლებლობებს, დაასწრონ მოწინააღმდეგეებს საერთეშორისო ბაზრებზე პოზიციების მოპოვება და განმტკიცება. რა თქმა უნდა, ეროვნული კონკურენტუნარიანობა განპირობებულია თვით ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორებით.

ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ქვეყნის კონკურე-ნტუნარიანობა განისაზღვრება ისეთი ცვლადებით, როგო-რიცაა: ვალუტის კურსი, საპროცენტო განაკვეთი, ბიუჯეტის დეფიციტი. ასევე თვლიან, რომ კონკურენტუნარიანობა იაფი მუშახელის წყალობით მიიღწევა. სხვა შეხედულებით მას გა-ნსაზღვრავს უხვი ბუნებრივი რესურსები. ქვეყნის კონკურე-ნტუნარიანობაზე გავლენას, პირველ რიგში, ახდენს პოლიტი-კა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. არსებობს აგრეთვე განსხვავებული შეხედულებები, რომლის მიხედვითაც კონკუ-რენტუნარიანობა განისაზღვრება მართვის პრაქტიკაში არსე-ბული განსხვავებებით. ნათელია, რომ ეს თეორიები მთლიანად დამაკმაყოფილებელი არ არის. გარდა ამისა პორტერი გვთავა-ზობს საერთოდ უარი ვთქვათ ტერმინზე ,,კონკურენტუნარიანი ქვეყანა“[1], რადგან სხვადასხვა ქვეყნები კონკურენტუნარიანნი არიან სხვადასხვა დარგებში და მისი თეორია, ფაქტობრივად, წარმოადგენს არა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის თეორიას, არამედ – იხილავს დარგთა კონკურენტუნარიანობის არსს.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კონცეფცია მნიშვნელო-ვანწილად შეიძლება დაეყრდნოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. საერთაშორისო კონკურენციის გარეშე ნაყო-ფიერების დონე ერთ ქვეყანაში, ფაქტობრივად, დამოკიდებუ-ლი არ იქნება სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე. საე-რთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის გატანა ქვეყნის რესურსე-ბის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საშუალებაა.

თუ ქვეყნის შედარებით პროდუქტიული დარგები პოზიცი-ებს უცხოელ კონკურენტებს უთმობენ, მაშინ ქვეყნის უნარი, ხელი შეუწყოს ნაყოფიერების ზრდას, საფრთხის ქვეშ აღმოჩ-

1 Портер М., Международная конкуренция. 1993. стр. 586

ნდება. იგივე ხდება, როცა დარგი, სადაც მაღალი პროდუქტიულობაა საჭირო, გადის საზღვარგარეთ ქვეყანაში პროდუქტიულობის არასაკმარისი დონის გამო.

ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს საფუძველს კონკურენციული უპირატესობის განვითარებისათვის მაღალეფექტურ დარგებსა და სეგმენტებში. ამ პროცესს თან ახლავს მთელი ეკონომიკის სწრაფი ზრდა. სხვადასხვა ქვეყნები საოცრად სწრაფად ახდენენ განვითარების მაღალი ტემპის დემონსტრირებას, მრავალ ქვეყანაში დიდი სიძნელეების გადალახვაა საჭირო იმისათვის, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ტემპები ძალზე შენელებულია.

ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეს განსაზღვრავს ის გარემოება თუ რა სტადიაში იმყოფება კონკურენციის განვითარება. ამ სტადიების განსხვავებული სპეციფიკა განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მიღწევას მსოფლიო ბაზარზე, აგრეთვე იქ არსებული კლასტერებისა და დარგების ფუნქციონირების მდგრად განვითარებასა და სახეებს. ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლება ხელს უწყობს დარგების განვითარებას, მონაწილეობას საერთაშორისო კონკურენციაში, თუმცა დარგთაშორისი კონკურენციის პრცესი ორიენტირებულია შიდა ბაზარზე.

ფირმები კონკურენციულ უპირატესობას აღწევენ საკუთარ დარგში ახალი კონკურენციული მეთოდების შემუშავებით, რასაც შეიძლება განახლება ვუწოდოთ. ნოვატორობა ფართო გაგებით თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, საქმეთა წარმოების მეთოდებისა და საშუალებების სრულყოფას, მარკეტინგისადმი ახალ მიდგომებს, გასაღების ახალი გზების მოძიებას, კონკურენციის ახალი სფეროების გამოძებნას და ა.შ.

ნოვატორი ფირმები არა მხოლოდ ეძებენ ცვლილებების შესაძლებლობებს, არამედ აჩქარებენ ამ ცვლილებების განხორციელებასაც. ცვლილებების უმეტეს ნაწილს ევოლუციური ხასიათი აქვს და არა რადიკალური. ხშირად მცირე ცვლილებების დიდი რაოდენობა საერთო ჯამში უფრო მეტ მოგებას

იძლევა, ვიდრე ტექნოლოგიური სიახლე. განახლება როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის, ისე სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოების სრულყოფის შედეგია.

ფირმები, რომლებიც კონკურენტებზე უფრო ადრე ახდენენ სიახლეების განხორციელებას იღებენ უპირატესობას, რადგან ისინი პირველად იყენებენ მასშტაბის ეფექტს, ამცირებენ დანახარჯებს პერსონალის ინტენსიური სწავლების ხარჯზე, ქმნიან ფირმის იმიჯს და ამყარებენ ურთიერთობებს კლიენტებთან იმ დროს, როცა კონკურენცია ჯერ კიდევ მძაფრი არ არის.[1] მათ აქვთ შესაძლებლობა ამოირჩიონ გასაღების არხები, ან ქარხნების განლაგების ყველაზე უფრო ხელსახრელი მდებარეობა, ნედლეულის ყველაზე უფრო იაფი წყაროები. ასეთ პირობებში ბაზარზე კარგად მორგებულ კონკურენტებთან გაჯიბრება რთულია. მაგრამ ეს ფირმები მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევენ წარმატებას, თუ სწორად წინასწარმეტყველებენ და ითვალისწინებენ ტექნოლოგიის ცვლილებებს.

ეკონომიკური განვითარების პროცესი ყველა ქვეყნისათვის სხვადასხვაგვარია. ქვეყანაში არსებული დარგები და მათთვის დამახასიათებელი ნიშნები განსაზღვრავენ განვითარების თუ რომელ სტადიაზე იმყოფება ეკონომიკა. მთავარი როლი უჭირავს ქვეყნის ისტორიას, თუ როგორ ფორმირდება სამეწარმეო უნარ–ჩვევები. ქვეყანაში დარგების აღმავლობა უზრუნველყოფს კლასტერების ფორმირებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას მონათესავე დარგებში.

კლასტერები წარმოადგენს იმგვარ საწარმოთა თვითგანვითარებად ქსელს, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია უმეტესად ტექნოლოგიური ჯაჭვების მეშვეობით და ერთობლივად იყენებენ რესურსებს. ჯ. ბეკატინის, მ. პორტერისა და ა. კრუგმანის მიერ აღწერილი კლასტერები[2] საშუალებას აძლევს საშუალო და მცირე საწარმოებს, არა მარტო გადარჩნენ, არამედ – დინამიკურად განვითარდნენ კიდეც. კლასტე-

1 მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, ,,დიოგენე“, 2000. გვ., 394

2 Портер М., Конкуренциа. Москва. 2000. стр. 157

რების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კომერციულ რეკლამას. ეს ხელს უწყობს მწარმოებელბისა და მათი პროდუქციის აღიარებას სამომხმარებლო გარემოში, საქმიანობის მომიჯნავე სფეროთა წარმომადგენლებთან საწარმოო კავშირების მოწესრიგებას, საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობას.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდაზე გავლენას ახდენს ძირითად სტადიებს შორის დამოკიდებულება. ეს სტადიები განსაზღვრავენ ეროვნული კონკურენციული უპირატესობების ფორმირებას და ეკონომიკურ განვითარებას.

უნივერსალური კონკურენციული სტრატეგია არ არსებობს. წარმატების მოტანა მხოლოდ იმ სტრატეგიას შეუძლია, რომელიც შეესაბამება მრეწველობის კონკრეტული დარგის პირობებს, სიახლეებსა და კაპიტალს, რომლესაც მოცემული ფირმა ფლობს.

კონკურენციული უპირატესობები მიიღწევა იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს ფირმა საქმიანობის ცალკეულ სახეობებს. ამ საქმიანობების საბოლოო ღირებულება, რომელსაც ფირმა ქმნის, განისაზღვრება იმით, თუ რამდენი კლიენტია მზად გადაიხადოს იმ საქონლის და მომსახურებისათვის, რომელსაც ფირმა სთავაზობს. თუ ეს თანხა სჭარბობს ყველა აუცილებელი საქმიანობისათვის გაწეულ დანახარჯებს, ფირმა რენტაბელურია. კონკურენციული უპირატესობების მისაღწევად ფირმამ მყიდველს უნდა მიაწოდოს იგივე ღირებულების ნაკლები დანახარჯებით, რასაც კონკურენტი აწვდის.[1]

კონკურენციული უპირატესობის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ფაქტორი განისაზღვრება ფირმის განკარგულებაში არსებული კონკურენციული უპირატესობების აშკარა წყაროების რაოდენობით. თუ ფირმა ეყრდნობა მხოლოდ ერთ უპირატესობას, კონკურენტები უფრო ადვილად შეძლებენ ამ ერთი უპირატესობის მიღწევას. ლიდერი ფირმები, როგორც წესი ცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა ღირებულებათა ჯაჭვის

1 Молоток Е., Принципи маркетингового исследавания конкуренции на рынке. Москва. 2002. гл. 2, стр. 87

ყველა რგოლში.

კონკურენციული უპირატესობის შენარჩუნების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ეს არის წარმოებისა და საქმიანობის სხვა სახეების მუდმივი მოდერნიზაცია. ნებისმიერი უპირატესობა დროთა განმავლობაში კონკურენტებსაც შეუძლია გადაიღოს, ამიტომ უპირატესობის შენარჩუნებისათვის საჭიროა მუდმივი წინსვლა.

კონკურენციული უპირატესობების შენარჩუნებისათვის აუცილებელია მისი წყაროების რაოდენობის გაზრდა და მათი სრულყოფა. აგრეთვე, დაბალი რანგის უპირატესობიდან მაღალი რანგის უპირატესობაზე გადასვლა, რომლებიც უფრო დიდხანს ნარჩუნდება.

მოტივაციური პოტენციალის ანალიზი

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

არსებობს მოტივაციის თეორიის შესწავლის ორი გზა. პირველი ეფუძნება მოტივაციის შინაარსობრივი ნაწილის კვლევას. ასეთი მიდგომის მომხრეებად ითვლებიან ამერიკელი ფსიქოლოგები: აბრაჰამ მასლოუ, ფრედერიკ გერცბერგი, დევიდ მაკკლელანდი. მეორე გზა მოტივაციისა კი ეფუძნება პროცესუალურ თეორიებს. იგი კონკრეტული მიზნების მისაღწევად ეფუძნება მუშაკთა ძალისხმევის განაწილებას და განსაზღვრული ტიპის (სახის) ქცევის შერჩევას. ასეთ თეორიებს მიეკუთვნება: მოლოდინების თეორია, ან ვ. ვრუმის მიხედვით - სამართლიანობის თეორია და პორტერ-ლოულერას თეორია, ან მოდელი.

საკვანძო სიტყვები: მასლოუს მოტივაციის თეორია; სამუშაოს პარამეტრები; ფსიქოლოგიური მდგომარეობები.

შესავალი

მასლოუს თეორიის თანახმად ნებისმიერი საჭიროებები (მოთხოვნები) ქცევის მოტივაციას იწყებენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაკმაყოფილებულია ყველა წინა მოთხოვნები[1]. შრომითი საქმიანობის სფეროში ეს ნიშნავს, რომ ადამიანები პირველ რიგში ძალისხმევას ახმარენ ყველაზე დაბალი დონის დაუკმაყოფილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ადამიანი, რომელიც იწყებს მუშაობას, შეიძლება ფიქრობდეს იმაზე, რომ იშოვოს ფული, რათა გადაიხადოს სწავლის ვალი, უზრუნველყოს საკუთარი თავი საცხოვრებლითა და საკვებით. მოსალოდნელია, რომ ეს ადამიანი იშრომებს გულმოდგინედ, რათა გაუზარდონ ხელფასი, რაც საშუალებას მისცემს უკეთ

1 ლ. ხელლი, დ. ზიგლესი — პიროვნების თეორია. СПБ.: პეტროგრადი, 2001.

დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. მეორე ადამიანმა შეიძლება იმუშაოს მხოლოდ იმისთვის, რომ ურთიერთობა ჰქონდეს ხალხთან და ჩართული იყოს სოციალურ სფეროში და ამიტომ, მისთვის ხელფასის მომატება არ იქნება ისეთი ძლიერი მასტიმულირებელი ფაქტორი, როგორც პირველი თანამშრომლისთვის. თითოეული ადამიანის საჭიროებები მასლოუმ გააერთიანა ხუთ ჯგუფად:

1) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები – საკვები, დასვენება და ა.შ.;

2) ფიზიკური და ემოციური დაცვის და უსაფრთხოების საჭიროებები;

3) კუთვნილების (აფილაციის) მოთხოვნილება;

4) თავის პატივისცემის, ავტონომიის, წარმატების მიღწევის, სტატუსის, აღიარების, ყურადღების მოთხოვნები (საჭიროებები);

5) თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება – სურვილი, რომ გახდე ის, რისი უნარიც გაქვს, ზრდისკენ მისწრაფება, საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზება, თვითგამოხატვის ნება.

მოთხოვნების ეს ხუთი ჯგუფი უნივერსალურია ყველა ადამიანისთვის. პირველი ორი ჯგუფი პირველადია, დანარჩენები – მეორადი. მასლოუს თეორიის თანახმად ყველა ეს მოთხოვნები შეიძლება განვალაგოთ მკაცრი იერარქული თანმიმდევრობით პირამიდის სახით, რომლის ფუძეში მოთავსებულია პირველი მოთხოვნები, ხოლო წვეროსკენ – მეორადი მოთხოვნები. ასეთი იერარქული სქემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანისთვის პრიორიტეტულია უფრო დაბალი დონის მოთხოვნები და ეს აისახება მის მოტივაციაზე. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების კვალობაზე, მასტიმულირებელი ფაქტორის ადგილს იკავებს უფრო მაღალი დონის მოთხოვნები.

ყველაზე მაღალი მოთხოვნა – პიროვნების თვითგამოხატვა და ზრდა – ვერასოდეს იქნება მთლიანად დაკმაყოფილებული, ამიტომ, მოთხოვნილების მიხედვით ადამიანის მოტივაციის პროცესი – უსასრულოა.



მოთხოვნების პირამიდა მასლოუს მიხედვით.ხელმძღვანელის მოვალეობა თანამშრომლების მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ იგი გულმოდგინედ უნდა დააკვირდეს მათ, დროულად გაარკვიოს, რა აქტიური მოთხოვნები ამოძრავებს თითოეულ მათგანს და ამის მიხედვით მიიღოს მათი რეალიზების გადაწყვეტილება, რაც ხელს შეუწყობს სამუშაოს ეფექტურობის ამაღლებას.

ძირითადი ნაწილი: მეთოდი შემუშავებულია ჰეკმანის და ოლდჰემის მიერ და უწოდებენ სამუშაოს პროექტირებაში სამუშაოს მახასიათებლების მოდელს. თეორია ამტკიცებს, რომ გარკვეული სახის ძირითადი პარამეტრები, ადამიანში იწვევენ გადამწყვეტ ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს, რომლებიც შემდეგ გავლენას ახდენენ სამუშაოს შედეგებზე. ქვემოთ განსაზღვრულია ამ მოდელის ძირითადი ცნებები.

<u>სამუშაოს პარამეტრები</u>:

„სამუშაოს დიაგნოსტიკური კვლევის“ მეთოდი (სდმ) განსაზღვრავს შემდეგი ხუთი ძირითადი პარამეტრის სიდიდეს (საზომს):

1) ჩვევების მრავალფეროვნება – გვიჩვენებს, თუ რა ხარისხით უკავშირდება მოცემული სამუშაოს შესრულება სხვა მრავალი სამუშაო ოპერაციის შესრულებას, რაც მუშაკისგან მოითხოვს განსხვავებული უნარ-ჩვევების გამოყენებას;

2) დავალების განსაზღვრულობა – გვიჩვენებს, თუ რა ხარისხით მოითხოვს მოცემული სამუშაო მთლიანი სამუშაოს, ან მისი ნაწილის შესრულებას, ე.ი. დავალების შესრულებას საწყისიდან საგრძნობ შედეგამდე;

3) დავალების მნიშვნელობა – გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის გავლენა, რომელსაც მოცემული სამუშაო

ახდენს სხვა ადამიანების ცხოვრებასა და შრომაზე, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ;

4) ავტონომიურობა – გვიჩვენებს, თუ მოცემული სამუშაო რა ხარისხით აძლევს მუშაკს მოქმედებების თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, თავისი სამუშაოს დაგეგმვის და იმ პროცედურების განსაზღვრის დროს, რაც სჭირდება ამ სამუშაოს შესრულებას;

5) სამუშაოს მხრიდან უკუკავშირი – გვიჩვენებს, თუ მოცემული სამუშაოს შესრულების დროს რა ხარისხით შეუძლია მუშაკს, რომ იმსჯელოს მის დამოუკიდებლობასა და ეფექტურობაზე.

საერთო მოტივაციური პოტენციალის მნიშვნელობა შეიძლება მივიღოთ რესპოდენტის მიერ ამ ხუთი მნიშვნელოვანი პარამეტრების მიხედვით გაკეთებული შეფასებების მარტივი შეჯამების გზით.

<u>ფსიქოლოგიური მდგომარეობები</u>.

არსებობს მუშაკის სამი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს მთავარი პარამეტრების და შრომის შედეგების გასაშუალოებულ ფაქტორს:

1. შრომის გონივრულობა. აჩვენებს, თუ მთელი სამუშაო პროცესი რა ხარისხით აღიქმება გონივრულად, ღირსეულად და მნიშვნელოვნად.

2. პასუხისმგებლობის გრძნობა შრომის შედეგებზე. აჩვენებს, თუ რა დონის პასუხისმგებლობას გრძნობს მუშაკი მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

3. შრომის შედეგების ცოდნა. აჩვენებს, თუ რა დონეზე ესმის მას მის მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტურობა.

<u>ემოციური შედეგები</u>. ადამიანს თავის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ შეიძლება ჰქონდეს სამი მნიშვნელოვანი გრძნობა:

1. შრომით გამოწვეული საერთო კმაყოფილება, რაც წარმოადგენს იმის საზომს, თუ რა ხარისხითაა კმაყოფილი ადამიანი თავისი სამსახურით (სამუშაოთი).

2. შრომის შინაგანი მოტივაცია. აჩვენებს, რომ შინაგა-

ნად რა ხარისხითაა მოტივირებული ადამიანი იმისთვის, რომ ხარისხიანად შეასრულოს ეს სამუშაო; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განიცდის თუ არა იგი დადებით შინაგან ემოციებს მაშინ, როცა მუშაობს კარგად და უარყოფითს, მაშინ, როცა მუშაობს ცუდად.

3. ზრდით გამოწვეული კმაყოფილება. აჩვენებს მუშაკის კმაყოფილების ხარისხს პირადი ზრდის შესაძლებლობებითა და სრულყოფით.

<u>შრომის ეფექტურობა</u>. ჩვეულებრივ, შრომითი საქმიანობის ნებისმიერი რეორგანიზაციის დროს ორგანიზაციისთვის გადამწყვეტი კრიტერიუმია ის, თუ ამ დროს რამდენად იზრდება თანამშრომელთა საქმიანობის რაოდენობრივი და/ან ხარისხობრივი მაჩვენებლები.

MOTIVATION POTENTIAL RESEARCH

Ketevan Kitsmarishvili
Associated Professor, GTU

RESUME

There are two ways of study of the motivation theory. The first is based on the research of the part of motivation content. The supporters of such approach are considered American psychologists: Abraham Maslow, Frederick Herzberg, David Mack Leland. The second way of motivation is based on the procedural theories. For the purpose of achievement of special objectives it is based on the distribution of employee's efforts and selection of defined type (kind) of conduct. To such theories are ascribed: the expectancy theory, or in accordance with the V. Vrum's opinion - equity theory and Porter-Loulera's theory, or model.

Key words: Maslow Motivation Theory; Work Parameters; Psychological states.

ორგანიზაციის მართვა: კონცეფციების რეტროსპექტივა და ახლებური მიდგომები

გიორგი მაისაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ორგანიზაციის, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სისტემა. ეს ელემენტებია: ხალხი, სხვადასხვა რესურსები, ტექნოლოგიები. დასაბუთებულია, რომ ასეთი მიდგომა ორიენტირებულია ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე.ამ მიდგომამ ცვალებადი გარემოს პირობებში, ბიძგი მისცა ორგანიზაციის მართვისადმი სისტემური მიდგომის განვითარებას.

გარდა ამისა, სტატიში განხილულია მართვისადმი სხვადასხვა სკოლების მიდგომის სრული რეტროსპექტივა.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული ცვლილებები; კონკურენტუნარიანობა; ტექნოლოგიები; მართვის სკოლები

შესავალი

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ორგანიზაციური ცვლილებები თანამედროვე ბიზნესის განუყოფელი ნაწილი გახდა. კომპანიები, რომლებსაც თავისი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება სურთ, იძულებულნი არიან, რეაგირება მოახდინონ თავისი კონკურენტების მოქმედებებზე, მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილებებზე, ახალი მასალების და საწარმოო ტექნოლოგიების შესაძლებლობებზე. ორგანიზაციები, რომლებიც თავისი რესურსებისა და დროის ძირითად ნაწილს ხარჯავენ სტაბილურობის შენარჩუნებაზე, საეჭვოა, რომ აღორძინდნენ დღევანდელ ცვალებად გარემოში. წარმატებული ორგანიზაცია მუდმივად დინამიკაში იმყოფება.

ამგვარად, ორგანიზაციული ცვლილებების მართვა თანამედროვე მსოფლიოში წარმოადგენს კომპანიის საერთო მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს.

ძირითადი ნაწილი

მართვისადმი განსხვავებული მიდგომები. ტერმინი ორგანიზაციული ცვლილებები ნიშნავს იმ ორგანიზაციულ რეფორმებს, რომელთა მსვლელობისას მიიღწევა ღირებულებების ცვლილება, ადამიანების სწრაფვა და ქცევები, პროცესების, მეთოდების, სტრატეგიის და სისტემის ერთდროული ცვლილებეისას. ამასთან, ვინაიდან ყოველ ორგანიზაციას გააჩნია მის მიერ წარმოებული საქონლის, სამუშაოს, მომსახურების საკუთარი ნაკრები, აგრეთვე სტრატეგია, დასახული მიზნების მისაღწევად, ამიტომ ცვლილებები შეიძლება ხორციელდებოდეს ტექნოლოგიებში, საქონელში და მომსახურებაში, სტრატეგიასა და სტრუქტურაში, ორგანიზაციის კულტურაში.

მართვაში გამოიყოფა ოთხი ძირითადი მიდგომა. პირველ რიგში, ეს არის მართვისადმი სისტემური და სიტუაციური მიდგომები. თანამედროვე პირობებში მმართველობითი აზრისა და მართვის პრაქტიკის განვითარებამ შესაძლოა გააფართოვოს მოცემული კლასიფიკაცია კლიენტზე ორიენტირებული მიდგომით, რომელიც თავისი არსით დაეხმარა ისეთი მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა ხარისხის სრული მართვა, ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი, ბალანსირებული მაჩვენებლების სისტემა და სხვა.

მართვის მეცნიერებაში სხვადასხვა სკოლების გამოყოფა ნაჩვენები გვაქვს ცხრილში:

- მეცნიერული მართვის სკოლა (1885-1920) დაკავშირებულია იმ მდგომარეობასთან, რომ დაკვირვებების, გაზომვების, ლოგიკისა და ანალიზის გამოყენებით შეიძლება სრულყოფილი გახდეს ხელით შრომის მრავალი ოპერაცია. დაკვირვების, გაზომვის, ლოგიკის და ანალიზის მეთოდი, გამოყენებულ იქნა არაპროდუქტიული მოქმედებების თავიდან ასაცილებლად და ეფექტური მუშაობის გასაზრდელად.
- მართვის ადმინისტრაციული სკოლის კვლევა (1920-1950) მიმართული იყო მართვის უნივერსალური პრინციპების შექმნაზე; ადამიანური ურთიერთობების სკოლის ფარგლებში (1940-1950) ჩაისახა თვითსწავლების ორგანიზაციის თეორია

და ცოდნის მართვის თეორიის ფორმირებული ეგრეთ წოდებული შეზღუდული მოდელი.

- ქცევათმეცნიერების სკოლა (1950 - დღემდე) დაკავშირებულია ადამიამთა ქცევის შესახებ ფსიქოლოგიისა და მეცნიერების გამოყენებასთან, სოციალური ურთიერთქმედების, მოტივაციის, ძალაუფლების ხასიათის და ავტორიტეტის, ლიდერობის სხვადასხვა ასპექტებთან.

- რაოდენობრივი მიდგომის განვითარება (1950 - დღემდე) დაკავშირებულია მათემატიკური მოდელების და მართვის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებასთან, მმართველი გადაწყვეტოლებების მიღების მხარდაჭერის მიზნით.

- ორგანიზაციის, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების (ხალხი, სხვადასხვა რესურსები, ტექნოლოგიები) განხილვის აუცილებლობამ, რომლებიც ორიენტირებულია ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე, ცვალებადი გარემოს პირობებში, ბიძგი მისცა ორგანიზაციის მართვისადმი სისტემური მიდგომის განვითარებას.

სიტუაციურმა მიდგომამ დიდი წვლილი შეიტანა მართვის თეორიაში, გამოიყენა რა მეცნიერების პირდაპირი მიახლოების შესაძლებლობა კონკრეტულ სიტუაციებთან და პირობებთან. სიტუაციური მიდგომის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს სიტუაცია, ანუ, პირობების კონკრეტული ნაკრები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვს ორგანიზაციაზე მოცემულ კონკრეტულ დროში. იმის გამო, რომ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სიტუაცია, სიტუაციური მიდგომა ხაზს უსვამს „სიტუაციური აზოვნების“ მნიშვნელობას. ამ მიდგომის გამოყენებით, ხელმძღვანელებს შეუძლიათ უკეთ გაიგონ თუ რომელი ხერხები უფრო მეტად შეუწყობს ხელს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას კონკრეტულ სიტუაციაში.

როგორც ჩანს, მართვისადმი ცხრილში ნაჩვენები ყოველი მიდგომა ისწრაფვის უფრო ეფექტიანი ინსტრუმენტების და იმ მეთოდების პოვნისკენ, რომლებიც მიმართულია ორგანიზაცის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად; თუმცა მენეჯმენტის მეცნიერების და პრაქტიკის განვითარება იძლეოდა ახალ

ინფორმაციას ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ორგანიზაციაზე. ორგანიზაციის მართვის ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების დამუშავება დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასა და დაჩქარებასთან და მეხუთე ინფორმაციული ბაზრის გაჩენასთან. თუმცა, როგორც ნახაზიდან ჩანს, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მიმართულებამ როგორც ბაზამ, ხელი შეუწყო დღევანდელი დღისთვის ჩამოყალიბებული და განვითერებულიყო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მიდგომა მართვისადმი - კლიენტზე ორიენტირებული და მართვისადმი, როგორც პროცესისადმი მიდგომას.

საწარმოს მართვისადმი მიდგომები	1885	1920	1930	1940	1950	1960	1970	1980	1990	2000	დღეს
1.მართვის სკოლები											
სამეცნიერო მართვის											
ადმინისტრაციული											
ადამინური ურთიერთობების											
ქცევითი											
რაოდენობრივი მეთოდების											
2.სისტემური მიდგომა											
3.სიტუაციური მიდგომა											
4.კლიენტზე ორიენტირებული											
მარკეტინგი											
ხარისხის საერთო მერთვა											
5.პროცესული											
6 სიგმას კონცეფცია											
ბიზნეს-პროცესების რეინჟენირინგი											
დაბალანსებულ მაჩვენებელთა											

ნახ. 4. ორგანიზაციის მართვისადმი მიდგომის ევოლუცია

კლიენტიზე ორიენტირებული მიდგომის განვითარება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მეორე მსოფლიო ომიდან დაახლოებით ოცი წელი, მრავალ ქვეყანაში შეიმჩნეოდა სამო-

მხმარებლო მოთხოვნის ზრდა და პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია არ იყო დამოკიდებული მომხმარებლის საჭიროებაზე. ამრიგად, უმაღლესი მენეჯმენტი ორიენტირებული იყო მხოლოდ ორგანიზაციის მუშაობის ფინანსურ მაჩვენებლებზე, ხოლო საერთაშორისო კონკურენცია იმყოფებოდა თავისი განვითარების ყველაზე საწყის სტადიაზე. ბაზრის გაჯერებისა და გლობალიზაციის პროცესის ჩამოყალიბებისას, ინფორმატიზაციის განვითარება, როდესაც მომხმარებელმა შეძლო პროდუქციის არჩევა, ორგანიზაციები იძულებული გახდნენ ეფიქრათ ხარისხზე და არა მარტო მომავალზე, არამედ მიმდინარე კლიენტებზეც. როგორც შედეგი - ბაზრის შემსწავლელი ინსტრუმენტების განვითარება და მასზე გავლენის შესწავლა (მარკეტინგი), გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე აუცილებელი კონტროლი (ხარისხის მართვის კონცეფცია), მართვისამი პროცესული მიდგომა.

შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი ცვლილებები, რომლებაც ხელი შეუწყვეს პროცესული მიდგომის ელემენტების განვითარებას:

1. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრობლემას წარმოადგენს არა საკითხი თუ „როგორ და რა ვაწარმოოთ“, არამედ „ვის და რა მივყიდოთ“. ამგვარად, საწარმოს განვითარების სტრატეგიის ფორმირების სათავეში დგება მომხმარებელი, როგორც „კლიენტი მთლიანობაში“; მასობრივი ბაზარი დაიყო ნაწილებად და ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კლიენტით, ხოლო ცალკეული კლიენტები მოითხოვენ ინდივიდუალურ მიდგომას. უფრო მეტიც, უკვე არ არის კონკურენცია ბაზრის წილზე. კონკურენცია მიდის ყურადღებაზე - გულის წილზე და გონების წილზე.

2. გლობალიზაციის განვითარებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ თანამედროვე მსოფლიომ არ იცის საზღვრები. მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში წარმოებული პროდუქცია. უფრო მეტიც, კომპანიებს შეუძლიათ იქონიონ საკუთარი ლაბორეტორიები და ქარხნები პროდუქციის საწარმოებლად ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში. წარმო-

იქმნება მეგა-სახელმწიფოები, ისეთი, როგორიცაა ევროკავშირი, აზიურ-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა, განვითარებას განიცდის ტრანსნაციონალური კორპორაციები და კაპიტალი. ყველაფერი ეს იწვევს ბიზნესის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას, ძველის გარდაქმნას კონკურენტულ ბრძოლაში.

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება გაზვიადების გარეშე ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში წარმოადგენს რევოლუციურ განვითარებას. ორგანიზაციაში პროცესული მიდგომის დანერგვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მოწინავე ინფორმაციული ტექნოლოგიებს სისტემების დახმარებით ბიზნეს-პროცესების გაერთიანება. კომპანიის მართვის თეორიის განვითარების ერთ-ერთ მიზეზს პროცესული მიდგომის საფუძველზე, როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის ინსტრუმენტისა და ცვლილებების მართვისა, წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის განვითარება და ზრდა, თანამედროვე ორგანიზაციების საქმიანობაში. მითუმეტეს, ეს აქტუალური ხდება გლობალიზაციის და ეკონომიკის განვითარების პირობებში.

4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია მომხმარებლისა და მწარმოებლის ურთიერთობის სრულიად ახალი ჯაჭვი, მათი ურთიერთქმედების ახალი სივრცის ფორმირება ინტერნეტის ქსელის დახმარებით. გაუაზრებელი პროცესების შემთხვევაში ელექტრონული კომერცია ხდება კოშმარი და არა ოცნება: შეკვეთების დამუშავება და შესრულება იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ მათ ძნელად ასრულებენ განსწავლული სპეციალისტები, ხოლო უდანაშაულო კლიენტების იძულება აკეთონ ეს შუამავლის გარეშე, უბრალოდ სისასტიკეა. გაყიდვები ინტერნეტით ზოგჯერ მოითხოვს ახალ გადახედვას, შესაბამისად ბიზნეს-პროცესების გადაპროექტებას კომპანიებშიც კი, რომლებმაც ახლახან დაასრულეს თავისი განვითარების წინა ციკლი. ასევე, IT -ს განვითარებამ გამოიწვია ის, რომ კლიენტს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულოს პროცესი თვითონ, რათა გამორიცხოს სამუშაოს

გადაცემა ხელიდან ხელში და ამგავარად, ორგანიზაციას აარიდებს ზედნადებ ხარჯებს, ხოლო შედეგად - მოხდება კომპანიის ხარჯების შემცირება.

5. ინფორმაციული ბაზრის ფორმირება, რომელიც წარმოადგენს ფირმებს შორის კონკურენტული გარემოს ახალ წყაროს. ინფორმაცია - ახალი ვალუტაა. ინფორმაციულ საუკუნეში - ეს არის ფული, რომლის გამომუშავება კომპანიას შეუძლია თუ ფლობს მას. კომპანიები მილიონებს ხარჯავენ, რათა მიიღონ რაიმე ინფორმაცია თავისი კლიენტებისა და კონკურენტების შესახებ, ვინაიდან დღევანდელი ინფორმაცია, ახალი ამბები მოთხოვნების ხასიათზე, პროდუქტებზე, მომსახურებაზე - ეს ხვალინდელი გამარჯვება ან დამარცხებაა კონკურენტულ ბრძოლაში. მეორე მხრივ, სწორედ ინფორმაცია იძლევა საშუალებას შეიქმნას ეგრეთ წოდებული არამატერიალური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ღირებულება და ასევე შეუძლიათ მოუტანონ მის მფლობელს მრავალმილიონიანი მოგება.

ცხადია, ადამიანები ჩართულები არიან საწარმოო პროცესში, და შედეგად მრავალი ათწლეულების განმავლობაში აზროვნებენ საწარმოო პროცესების ტერმინებში. ეს დასტურდება იმით, რომ ხალხური რეწვა თავისი არსით წარმოადგენს ერთ პროცესს, რომელიც სრულდება თავიდან ბოლომდე ერთი ადამიანს მიერ.

დასკვნა

ა. სმიტის მიერ ჩადებულმა პრინციპებმა და სხვა თეორეტიკოსების და პრაქტიკით განვითარებულმა მენეჯმენტმა საკმაოდ გაართულა თანამშრომელთა ძალისხმევის კოორდინაცია და მუშაობის შედეგების გაერთიანება ერთ მთლიანობაში. ეს არ შეესაბამება თანამედროვე ცვალებად მსოფლიოს, როდესაც პროდუქცია აღარ არის მასობრივი და ორიენტირებადი უნდა იყოს მომხმარებელთა ვიწრო წრეზე. პროდუქტების ბაზარი უფრო გაფართოვდა, კონკურენცია და ბრძოლა მომხმარებლებისათვის აგრესიული და ხისტი გახდა. ზოგჯერ კომპანიის მიზანს წარმოადგენს არა ახალი მომხმარებლების

მოზიდვა, არამედ ძველების შენარჩუნება. შემსრულებლები კარგად განათლებულები უნდა იყვნენ, ისწრაფვოდნენ ცოდნის დონის ამაღლებისაკენ, არ ეშინოდეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და, მართლაც, რთული ამოცანების გადაჭრა.

ყოველივე ამან მიგვიყვანა მართვისადმი მიდგომის განვითარებასთან, როგორც პროცესულ-ორიენტირებული ორგანიზაციის აგების აუცილებლობასთან.

ლიტერატურა

1. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2008.

2. გოგოლაშვილი გ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2010.

3. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფო რეგულირება, თბილისი, 2000.

4. http://www.gpih.ge/geo/home/index.php

5. http://daezgvie.wordpress.com/2015/02/28/58/

6. http://etibeglarashvili.blogspot.com/2015/04/2001-8.html

7. http://b-k.ge/main/print:page,1,219-gpi-holding-giorgi-kvirikadze.html

REFERENCES:

1. J. Shatirishvili., Kakashvili N., Insurance, Tbilisi, 2008.

2.G. Gogolashvili., Insurance, Tbilisi, 2010.

3.Georgian Insurance Market and State regulation, Tbilisi 2000.

4. http://www.gpih.ge/geo/home/index.php

5. http://daezgvie.wordpress.com/2015/02/28/58/

6. http://etibeglarashvili.blogspot.com/2015/04/2001-8.html

7. http://b-k.ge/main/print:page,1,219-gpi-holding-giorgi-kvirikadze.html

ORGANIZATION MANAGEMENT: RETROSPECTIVE OF CONCEPTS AND INNOVATIVE APPROACHES

George Maisashvili,
GTU, PhD Student

RESUME

The article discusses the organization as a system of interrelated elements. According to the author, this elements are: people, different resources and technologies. The author argues that such an approach focused on the organization's strategic goals. According to the author, this approach to changing environmental conditions, a shift in the organization's management system approach to development.

In addition, the article discusses the different schools approach to managing a complete retrospective.

Keywords: Organizational changes; Competitiveness; Technologies; Management schools.

რეგიონული მარკეტინგის მნიშვნელობა და მისი განვითარების აუცილებლობა საქართველოში

ნანა ნადირაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის მასწავლებელი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მნიშვნელოვან გამოწვევად დგას ეკონომიკური განვითარების საკითხი და ამა თუ იმ სახის ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელის მიღება. ამ ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია ცალკეულ ტერიტორიათა, როგორც დამოუკიდებელ ერთეულთა პოტენციალის მაქსიმალური ათვისება და რეალიზება. ყოველი ქვეყნის, საწარმოს თუ ცალკეულ ადამიანთა მთავარი საზრუნავია წარმატებული ბიზნეს საქმიანობის განხორციელება და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. თანამედროვე ბიზნესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობა კი წარმატებული მარკეტინგული საქმიანობაა.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული მარკეტინგი, ინოვაცია, ინოვაციური კონკურენცია.

შესავალი

ტერიტორიების მართვისადმი მარკეტინგული მიდგომა არის შედარებით ახალი კონცეფცია.უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ლიტერატურა აქტიურ ინტერესს იჩენს ტერიტორიული მარკეტინგის პრობლემებისადმი, რაც ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერი შედეგია. ტერიტორიების მართვისადმი მარკეტინგული მიდგომა განიხილება როგორც ტერიტორიების სუბიექტების მოთხოვნათა უფრო სრული დაკმაყოფილება ცხოვრების ხარისხის ამაღლებისა, შიდა და გარე ინვესტიციების მოზიდვისა, ტერიტორიის კონკურენტუნარიანობისა და პოტენციალის გახსნის შესაძლებლობათა მეშვეობით.

ძირითადი ნაწილი

რეგიონული მარკეტინგის პრაქტიკული გამოყენების ობიექტური წინაპირობები გახდა კონკურენტული გარემოს ფორმირება და გან-

ვითარება, რეგიონების ეკონომიკური განვითარების აქტივიზაცია, საქმიანი აქტივობის ზრდა, რაც მაკროეკონომიკური თვალსაზრისით დაკავშირებულია ეკონომიკის საერთო აღმავალ ციკლთან. გარდა ამისა, ბევრი რეგიონი განიცდის გლობალიზაციის პროცესების გავლენას, რაც იწვევს გარემოს ცვალებადი პირობებისადმი ადაპტაციისათვის ადეკვატური მექანიზმების, ღონისძიებების შექმნასა და გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით რეგიონების წინაშე დგას საინოვაციო და საინვესტიციო მიმზიდველობის მიღწევისათვის გარე რესურსების მოზიდვის, შიდა პოტენციალის განვითარებისა და ხელსაყრელი იმიჯის ფორმირების, რეგიონის კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლების ამოცანა.

რეგიონული მარკეტინგ - მიქსი - ეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთდაკავშირებული სისტემაა, რომელიც ასახავს ბაზარზე მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგის (ანალიზის, შეფასების და პროგნოზის) საფუძველზე რეგიონის ეკონომიკის მართვის საკითხში სხვადასხვა სუბიექტებს შორის ურთიერთმოქმედებას, ასევე სხვადასხვა დონის ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებას. კლასიკური მარკეტინგული თეორიის თვალსაზრისით მარკეტინგის კომპლექსი წარმოადგენს კონტროლირებადი ფაქტორების ერთობლიობას, რომელთა კომბინირებული გამოყენება ხელს უწყობს მთლიანი სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას. რეგიონის პოზიციიდან მარკეტინგის კომპლექსი - ეს არის ცვალებადი ფაქტორების ნაკრები, რომელთა ერთობლივი გამოყენება მიმართულია რეგიონის სუბიექტების საკვანძო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და მისი შიდა გარემოს გარე ზემოქმედებებთან ადაპტაციაზე.

რეგიონულ მარკეტინგში საქონელი წარმოადგენს იმ სარგებელსა და უპირატესობებს, რომლებიც შეუძლია ტერიტორიას შესთავაზოს თავის სუბიექტებს მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. მისი მომხმარებლები იქნებიან ინდივიდუალური და კოლექტიური მომხმარებლები, გარე სუბიექტები, ფინანსური, ვენჩურული ორგანიზაციები, ფონდები, ასოციაციები და ა.შ. ამგვარად რეგიონული საქონელი შეიძლება იყოს მიწა, უძრავი ქონება, დასვენების ზონები, მოსახლეობა (მაგალითად, როგორც იაფი სამუშაო ძალა), ტერიტორიის სხვა რესურსები და სხვ. ამასთან ეს ფასეულობები, როგორც წესი, ატარებენ სოციალურ ხასიათს - რეგიონში სიცოცხლის ხარისხის ამაღლება, მისი მაცხოვრებლების და მმართველი სუბიექტების კეთილდღეობის მდგრადი ზრდა, გარემოს დაცვა და სხვ. რეგიონში ფასწარმოქმნის პოლიტიკა - პირველ რიგში ესაა ხელისუფლების რეგიონული ორგა-

ნოების მმართველობითი გადაწყვეტილებების სფერო, რადგან იგი გვთავაზობს რეგიონის მარკეტინგულ საქმიანობაში მონაწილეთათვის საგადასახადო შეღავათებს. ფასი რეგიონულ მარკეტინგში - ეს არის ასევე იმ დანახარჯების კომპონენტი, რომლებიც აქვთ ტერიტორიის მომხმარებლებს: უშუალოდ მოსახლეობისათვის - ეს არის ცხოვრების ღირებულება რეგიონში მთლიანად, შემოსავლების დონე, პენსიების დონე, სოციალური შეღავათები და ა.შ.; პოტენციური მწარმოებლებისათვის და ინვესტორებისათვის - ეს არის სატრანსპორტო, დროის ხარჯები და ძალისხმევა, რომლებიც იხარჯება რეგიონზე სრული და უტყუარი ინფორმაციის მისაღებად და ა.შ. რეგიონული საქონელმწარმოებლების და ორგანიზაციების ფასების პოლიტიკა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონულ მარკეტინგში, რადგან მიზნობრივი სუბიექტებისათვის რეგიონის მიმზიდველობა არის დამოკიდებული საკვანძო რესურსებსა და საქონელზე ფასების დონეზე. რეგიონული მარკეტინგისათვის ფასების პოლიტიკის მნიშვნელობა აშკარაა: ინვესტირების და ახალი პროექტების მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროცესის ყველა მონაწილისათვის ის, როგორც წესი, გამოდის როგორც განმსაზღვრელი ფაქტორი. ინვესტორები, დეველოპერული ფირმები დაინტერესებული არიან ხელსაყრელ ფასში ხელმისაწვდომი იყოს მათთვის რეგიონული პროდუქტი, ამის გარდა, ისინი რეგიონული ხელისუფლებისგან ელოდებიან საგადასახადო შეღავათებს, რისკის დაზღვევის დაბალ საპროცენტო განაკვეთებს - რეგიონული საფინანსო სექტორისგან. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩია დავამატოთ, რომ მომხმარებლები (რეგიონის მოსახლეობა), ხელისუფლების რეგიონული ორგანოები მოელიან რეგიონში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე მიიღონ ფასების კონკურენტუნარიანი დონე.

რეგიონში განაწილების სისტემას შეიძლება მიენიჭოს წამყვანი როლი ინვესტირების ობიექტის შერჩევისას. რესურსების დაშორებულობა და მიუვალობა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა ხშირად შეიძლება გახდეს რეგიონის ამა თუ იმ დარგის ინვესტირებაზე, ან ინოვაციური პროექტის განხორციელებაზე უარის მიზეზი. ამიტომ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი შეიძლება განეკუთვნოს რეგიონის პირველი რიგის ამოცანას. ამჟამად აქტუალურია რეგიონებში ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნის პრობლემა. იგი აერთიანებს ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობენ ინოვაციურ პროცესებში, მათ შორის ინოვაციური პროდუქციის შექმნასა და რეალიზაციაში. ტრადიციულად

ინოვაციურ ინფრასტრუქტურაში გამოიყოფა ხუთი შემდეგი ქვესისტემა:

- საწარმოო-ტექნოლოგიური;
- საექსპერტო-კონსალტინგური;
- საკადრო;
- საინფორმაციო;
- საფინანსო.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის ქვესისტემების განვითარება და სრულყოფა ქმნის ხელსაყრელ და მიმზიდველ პირობებს რეგიონში მარკეტინგული პროდუქტის განაწილებისათვის.

რეგიონული მარკეტინგის სისტემაში მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსი ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს, განსაკუთრებით თუ ტერიტორია მიმზიდველია ტურისტული თვალსაზრისით, გააჩნია მდიდარი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა. მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსი შეიცავს რეკლამას, კავშირებს საზოგადოებასთან, გასაღების სტიმულირებას, პირად გაყიდვებს.

რეგიონული მარკეტინგი განიხილება როგორც რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია გაცვლის ორგანიზაციისა და განხორციელების მეშვეობით რეგიონის მოსახლეობისა და მმართველი სუბიექტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. რეგიონული მარკეტინგი მოიცავს არა მარტო რეგიონული საქონლის და მომსახურების პოპულარიზაციაზე მიმართულ მმართველი სუბიექტების საქმიანობას, არამედ ხელისუფლების ორგანოების სუბიექტების მუშაობას ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის, როგორც სახელმწიფოს საერთო სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილის რეალიზაციის საკითხში. რეგიონული მარკეტინგის ობიექტებად გამოდიან სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, უპირველესყოვლისა, რეგიონის ფარგლებში და მის გარეთ მიმდინარე გაცვლის პროცესები.

რეგიონში მარკეტინგული პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი სუბიექტები არიან ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები, რომელთა მმართველობითი გადაწყვეტილებები შეეხება რეგიონული მარკეტინგის სისტემის ყველა მონაწილის ინტერესებს და საქმიანობას. ამ თვალსაზრისით ისინი გამოდიან როგორც ზემოქმედების ობიექტი ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების მხრიდან. მონაწილეობენ რა რეგიონული ეკონომიკური სისტემის გაფართოებული კვლავწარმოების სისტემაში, საქონლისა და მომსახურების შიდა და

გარე მწარმოებლები, ექსპორტიორები სთავაზობენ ბაზარს რეგიონულ პროდუქტს, ხელს უწყობენ მის პოპულარიზაციას (წინ წაწევას).

ვენჩურული კომპანიები და ინვესტორები გამოდიან რეგიონის ინოვაციური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად, ამიტომ ისინი განიხილებიან როგორც უმნიშვნელოვანესი სუბიექტები რეგიონული მარკეტინგის სისტემაში. რეგიონის მოსახლეობა, როგორც შრომითი რესურსი გამოდის რეგიონული მარკეტინგის სუბიექტის სახით, მინაწილეობას იღებეს რეგიონული პროდუქტის წარმოებაში. რეგიონის მოსახლეობა, როგორც მარკეტინგული ზემოქმედების ობიექტი, არის რეგიონული პროდუქტის პოტენციური მომხმარებელი. ამით უზრუნველყოფილია რეგიონული მარკეტინგის სუბიექტებისა და ობიექტების ურთიერთკავშირი და ურთიერთმოქმედება.

რეგიონის მარკეტინგის დარგში ახალი იდეებისა და შემუშავებების გენერირება შეეხება ყველა სუბიექტს - როგორც რეგიონის ადმინისტრაციას, მის მოსახლეობას, არაკომერციულ და კომერციულ სუბიექტებს, ისე ყველა გარე სუბიექტებსაც .რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება ადმინისტრაციულ დონეზე რეგიონის მარკეტინგული გარემოს, მისი შიდა შესაძლებლობებისა და პოტენციალის, ასევე სუბიექტების მხრიდან მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. ასეთი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ რეგიონის კონკურენტული უპირატესობები და სუსტი მხარეები, ეკონომიკური ზრდის სარესურსო, საინვესტიციო და ინოვაციური პოტენციალი, მისი განვითარების საკვანძო მიმართულებები. ანალიზის შედეგად მუშავდება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნობრივი პროექტები და პროგრამები, რომლებსაც გააჩნიათ რეგიონული, რეგიონთაშორისი ან საერთაშორისო ხასიათი და მიმართულია რეგიონული მარკეტინგის საკვანძო მიზნების მიღწევაზე:

1. რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდა;
2. ცხოვრების ხარისხის ამაღლება;
3. რეგიონის საინოვაციო მიმზიდველობის ფორმირება;
4. რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ფორმირება;
5. რეგიონის საკვანძო დარგების ეფექტურობის ამაღლება მათი პროდუქციის პოპულარიზაციისათვის როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე;
6. რეგიონის დადებითი იმიჯის ფორმირება; ამ პროგრამების და

პროექტების რეალიზაცია მოქმედებს რეგიონული მარკეტინგის ყველა ქვესისტემაზე (დარგები, ბიზნესის სფეროები) და სუბიექტებზე, რის შედეგადაც ხორციელდება უკუკავშირი ახალი პროექტების, წინადადებების, შემუშავებებისა და სხვ. სახით.

დასკვნა

ამრიგად რეგიონული მარკეტინგი წარმოადგენს ტერიტორიის საბაზრო მართვის კონცეფციას, რომელიც ორიენტირებულია მისი სუბიექტების მოთხოვნილებებზე და გამიზნულია რეგიონში ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე და მისი კონკურეტუნარიანობის საერთო ზრდაზე. რეგიონულ დონეზე მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება გულისხმობს სტრატეგიული და ტაქტიკური ანალიზის ძირითადი მეთოდების ადაპტაციას რეგიონის ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივ-კლიმატური, პოლიტიკური, კულტურული და ტექნოლოგიური განვითარების თავისებურებებთან. რეგიონული მარკეტინგი იძლევა მიმდინარე სიტუაციის შეფასების, მომავალში რეგიონული განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების პროგნოზირების საშუალებას, და ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რეგიონის წინ წაწევის და მისი კონკურენტული უპირატესობების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელების საშუალებას.

თუ ჩვენ რეგიონული მარკეტინგის უმთავრეს დანიშნულებად განვიხილავთ არა მაქსიმალური მოგების მიღებას, არამედ შესაბამისი რეგიონის მოსახლეობის მაღალი დონისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფას და მას შევაფასებთ როგორც რეგიონული განვითარების ინსტრუმენტს, მით უფრო ცხადი იქნება მისი მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს ეფექტური ეკონომიკური განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე - ინოვაციების მენეჯმენტი, თბ. 2008.

2. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე - საინოვაციო მენეჯმენტი, თბ. 2009.

3. ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, ნ. გრძელიშვილი, ნ. გალახვარიძე - რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა, თბ. 2012.

REFERENCES:

1.E. Baratashvili, V. Datashvili, G. Nakaidze, R. Kutateladze – Management of Innovations, Tb.2008. (in Georgian Language).

2. A. Abralava, L. Gvajaia, R. Kutateladze – Innovation Management, Tb.2009. (in Georgian Language).

3. E. Baratashvili, J. Zarandia, N. Grdzelishvili, N. Galakhvaridze – Diagnostic of Regional Development, Tb. 2012. (in Georgian Language).

SIGNIFICANCE OF REGIONAL MARKETING AND THE NECESSITY OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA

Nana Nadirashvili,
Teacher of Gori State Teaching University,
PhD Student of GTU

RESUME

Before the modern world the significant challenge is the issue of the economic development and obtaining maximum economic benefit proceeding from one or another economic activities. On this background, the most significant factor is maximum the utilization and realization of separate territories, as the potential of independent units. The main concern of every country, enterprise or separate individual is implementation of the successful business activities and improvement of the living standards. And the necessary condition for the successful implementation of the modern businesses are the successful marketing activities.

Key words: Innovation; Regional marketing; Innovative Competition.

საწარმოო ტექნოლოგიები, როგორც მართვის ობიექტი

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალ იდეებს ვერ მოაქვთ წარმატება, თუ წარმოების ორგანიზებაში არსებობს მცირედი შეცდომებიც კი, ხოლო თანამშრომელთა შემსრულებლობა ვერ ცვლის მათი ხელმძღვანელების საქმოსნურ ტალანტსა და ენერგიას. მმართველი პერსონალის საქმიანობის სფეროს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ტექნოლოგიათა კონგლომერატს ქმნის, რომლის შიგნით ურთიერთქმედებების ორგანიზება ევალება მმართველ ძალას.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა; ლიდერობა; ლიცენზია; პატენტი.

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოო ურთიერთობების მართვა წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის მთლიანობაში უზრუნველყოფს კონკრეტული საწარმოო სისტემის კონკურეტუნარიანობას, ანუ მისი მმართველი და მართული ნაწილების ჰარმონიულ განვითარებას.

კონკურენტუნარიანობა რთული, სინთეზური ცნებაა. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ის სხვადასხვა ფაქტორთა ჯგუფებისგან შედგება, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოო სისტემის მდგომარეობასა და განვითარებაზე:

- მართვის ობიექტის ძირითადი და დამხმარე წარმოების ტექნოლოგია.
- ობიექტის მართვის სისტემის ტექნოლოგია.
- გარეშე ფაქტორების ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ზემოქმედება საწარმოო სისტემაზე, მისი გათვისება და რეაგირების მექანიზმი.

➢ პერსონალის ეკონომიკური და ტექნიკური მომზადების, მისი პროფესიონალური კომპეტენციის დონე.

➢ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე საზოგადოების კონკრეტული საქმიანობისა და მომიჯნავე სფეროში.

➢ ინოვაციური და საინვესტიციო საშუალებები.

➢ საქმიანობის ცალკეულ კონკრეტულ სფეროში ჭარბი ინტერესის არსებობა.

➢ სისტემაში მოზიდული ეკონომიკური პოტენციალი (ეკონომიკური მიმზიდველობა, კაპიტალი, რესურსები).

ინოვაციური მენეჯმენტი უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ყველა ჯგუფის პროგრესულობას ანუ განვითარების საფეხურებრივ დინამიკას.

ძირითადი ტექსტი: მენეჯერის გადაწყვეტილებებსა და საწარმოო კონტაქტების სფეროში შედის:

➢ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადი წარმოების საწარმოები.

➢ დამხმარე მნიშვნელობის საწარმოები (სარემონტო, გასამართავი, სპეციალური სამუშაოები, ხელსაწყოების შემოწმება და სხვა).

➢ ინდუსტრული პროფილის საწარმოები (მშენებლობა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი).

➢ ინფრასტრუქტურული ობიექტები (ადმინისტრაციული, სამართლებრივი, საპროექტო, საფინანსო, საგანმანათლებლო, კონსალტინგური, აუდიტორული, სამეცნიერო).

მენეჯერის საქმიანობის სფეროში ტექნოლოგიების სიმრავლე და მათი ათვისების შრომატევადობა ქმნის მენეჯერის მუშაობის მეთოდების (ხერხების) უნიფიკაციის პრობლემას. ამ დროს წარმოიქმნება მთელი რიგი ამოცანები:

➢ ტექნოლოგიების კლასიფიკაცია.

➢ პროდუქტის კლასიფიკაცია.

➢ ტექნოლოგიების დეტალიზაციის ხარისხის განსაზღვრა.

➢ საქმიანობის პროცესების როგორც ტექნოლოგიების ერთობლიობისა ფარგლების სისტემური ურთიერთქმედების ხერხების ფორმირება.

მმართველობითი მუშაობის ამგვარი სისტემატიზაცია, ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის მსგავსად, არის მცდელობა ერთგვარი ცხრილის შექმნისა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტექნოლოგიებისათვის

პრაქტიკაში გამოყოფენ მართვის ტექნოლოგიების სხვადასხვა ტიპებს:

- საკომუნიკაციო;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების;
- სახელისუფლებო და გავლენის;
- ლიდერობის;
- საორგანიზაციო ქცევის;
- კორპორაციული ურთიერთქმედების;
- სოციალური პასუხისმგებლობის;
- პერსონალის მოძიებისა და მოტივაციის;
- განვითარების მიზნების დასახვა – განვითარების;
- ინოვაციური საქმიანობის;
- სტრატეგიის გამომუშავებისა და რეალიზების და სხვა.

მართვის ტექნოლოგიების დამუშავების მიზანია მართვის პროცესის ოპტიმიზაცია.

ბუნებაში და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ურთიერთდაკავშირებულია და განაპირობებს ერთმანეთს. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ გააჩნიათ გარდაქმნის საკუთარი გზები და ობიექტური სინფორმაციო – მატერიალური სქემები, რასაც ჩვენ პირობითად ტექნოლოგიებს ვუწოდებთ. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება ტექნოლოგიების მორევშია ჩაფლული, რომელსაც მუდმივად სწავლობს და ქმნის ახალს. ტექნოლოგიების მთელი სიმრავის განხილვა შეუძლებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ოპერატიული ანალიზისა და გამოყენების უნივერსალური ხერხების (მეთოდების) შემუშავება.

საწარმოო ტექნოლოგიების კლასიფიკაცია არის ერთ-ერთი პირველი ამოცანათაგანი, რაც განპირობებულია ტექნოლოგიების მრავალფეროვნებით. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება მათ შორის არსებული მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებისა.

ცხრილი

საწარმოო ტექნოლოგიების კლასიფიკაცია

ტექნოლოგიის ნიშან-თვისებები	ტექნოლოგიების სახეები
პროდუქტის ტიპი	მატერიალური, ენერგეტიკული, ინტელექტუალური
სირთულის დონე	მარტივი, რთული
გამოყენების სფერო	სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საორგანიზაციო, პოლიტიკური, სოციალური, "საწარმოო"
განვითარების დინამიკა	პროგრესირებადი, მოძველებული
მოთხოვნილება რესურსებში	მენციერული, კაპიტალის, ენერგეტიკული
აღწერის დონე	აქსიომური, პროფესიონალური, ნოუ-ჰაუ
გარემოს გადამუშავების სირთულის დონე (ხარისხი)	დაბალი, საშუალო, მაღალი და უმაღლესი – ნანოტექნოლოგიები
სიახლეები	ახალი, უახლესი, გაუმჯობესებული, სრულყოფილი
დანიშნულება	შემოქმედებითი, დამანგრეველი, ორმაგი დანიშნულების
შექმნის პრიორიტეტები	პირველადი (მიზნობრივი), კონვერსიული, გვერდითი
აგრეგირების ხარისხი	ოპერაციული, სიტუაციური, სტრატეგიული, კორპორაციული, გლობალური, საბაზრო
გავრცელების ხარისხი	ცალკეული, მასობრივი, უნიკალური

ნებისმიერი ტექნოლოგიის განვითარება ხდება არა ცარიელ ადგილზე, არამედ ადამიანების მიერ დაგროვილი წინარე ცოდნის საფუძველზე, რომლის აკუმულაცია სხვადასხვა ხერხით ხდება ტექნოლოგიებში. ამისი მაგალითი მრავლადაა:

- სასულიერო ცხოვრება, რელიგია, მწერლობა;
- ისტორიული აღწერილობები და არქივები;
- ტექნიკის ნიმუშები; მუზეუმები, ხელნაწერთა საცავები;
- ინფორმაციის შენახვის ხერხები – მაგნიტური მატარებელი და მსგავსი და სხვ.;

➢ ტექნოლოგიებისა და აღწერის მეთოდების შემუშავება: გრაფიკა, სქემები, ნახაზები, ნახატი ფოტოსურათები, ჰოლიგრამები, მათემატიკური აღწერები, ქიმიური ფორმულები.

ეს ათვისებული გამოცდილება საზოგადოებაში საწარმოო საქმიანობაზე ზემოქმედების შემდეგ ფორმებში ტრანსფორმირდება:

➢ ორგანიზაციის კანონები;
➢ სტანდარტები, პატენტები, ლიცენზიები;
➢ განხილვისა და ამორჩევის წესები;
➢ პრაქტიკაში დანერგვის წესები;
➢ მომხმარებელთა და მწარმოებელთა უფლებების დაცვის მექანიზმი.

არც ერთი მოვლენა ბუნებასა თუ საზოგადოებაში არ ხდება ლოკალურად იზოლირებულად, იდეალურ პირობებში. საწარმოო პროცესის ორგანიზებისას ადამიანი ქმნის თავისი საქმიანობისთვის აუცილებელ პირობებს, რათა წარმატებით განახორციელოს ბუნებრივი ნივთიერებებისა და ინფორმაციების საჭირო გარდაქმნები. ამას თან სდევს მთელი რიგი ეკონომიკური, ტექნიკური, ორგანიზაციული, ეკოლოგიური, სოციოლოგიური თუ სხვა ტიპის პრობლემები, რაც უკავშირდება მის გმაოყენებას საზოგადოების საჭიროებისამებრ.

ინოვაციური მენეჯმენტი არეგულირებს (ორგანიზებას უკეთებს) სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების გონივრულ შერჩევა-შენაწევრებას ე.წ. ტექნოლოგიების ნაკრებში, რაც უზრუნველყოფს ბიზნესში მეწარმის წარმატებას. თითოეულის მნიშვნელობა შედარებითია, მაგრამ რომელიმე მათგანის უგულებელყოფა ზრდის წარმატების მიღწევის რისკს.

საქართველოში ტექნოლოგიური მეცნიერებების სფეროში ფუნდამენტურ და გამოყენებით (პრაქტიკულ) კვლევებს, მათ კოორდინაციასა და რეგულირებას ეროვნულ დონეზე მეცნიერებათა აკადემია ახორციელებს, რომელიც მრავალდარგობრივი, თვითმმართველი, რეგიონალური მიმართულებით განვითარებული ქსელის მქონე ორგანიზაციაა: (ინსტიტუტები,

ცენტრები, განყოფილებები) და ექსპერიმენტული ბაზაც გააჩნია. აკადემიის მთავარი ამოცანაა – ახალი მაღალი ტექნოლოგიებისა და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციების განსაზღვრა, ქვეყნის ტექნოლოგიური პოტენციალის ფორმირებაში მათი გამოყენებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

აკადემიის მუშაობის მიმართულებებია:

- ორმაგი დანიშნულების და კონვერსიული ტექნოლოგიები;
- ნავთობისა და გაზის მოპოვების, გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგია;
- სამთო საქმის, მეტალურგიის, შედუღების ტექნოლოგიები;
- სამშენებლო ტექნოლოგიები;
- ნანოტექნოლოგიები;
- მაღალი ტექნოლოგიების კომერციალიზცია.

შექმნილია და ვითარდება ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური სისტემების სხვადასხვა სახეობებში საწარმოო პროცესების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას (ბიზნეს-ცენტრები, ნანოტექნოლოგიების ცენტრები და სხვა). ეს გარკვეულწილად ნაკარნახევია მსოფლიო გამოცდილებითა და ეკონომიკური ლოგიკით.

დასკვნა

მმართველი პერსონალის მაღალი დონის პროფესიონალიზმი მჟღავნდება მათ უნარში ამოირჩიონ და გააერთიანონ ეკონომიკური ბუნების მქონე ისეთი ელემენტები (საკუთრება, პერსონალი, ფულადი საშუალებები, სამეცნიერო პოტენციალი და სხვა), რომლებიც სისტემაში წარმატებით იფუნქციონირებენ და უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგების მიღწევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიწმარიშვილი ქ. ინოვაციური მენეჯმენტი. „ბეჭდვის სამყარო“. თბილისი, 2016 წ.
2. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2015.
3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
4. http: //www.russba.ru/

REFERENCES

1. Kitsmarishvili K. Innovative Management „Printing World”, Tbilisi, 2016.
2. Abralava A., Gvajaia L., Kutateladze R., Innovative Management, Tbilisi, 2015.
3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
4. http: //www.russba.ru/

INDUSTRIAL TECHNOLOGIES AS CONTROL OBJECT

Ketevan Kitsmarishvili
Associate Professor,
Georgian Technical University

RESUME

According to the practice it is shown that new ideas are not successful even if minor mistakes are present in the organization of industry, but the work of employees cannot change the business talent and energy of their management. The peculiarity of the field of activity of managing staff is that it forms the conglomerate of technologies that management is charged to organize interactions inside it. The efficiency of managing decision in market economics is reflected as follows: „money – goods – money” such type of dealing unites several technologies.

Key words: Competitiveness; Leadership; Licenses; Patent.

შრომითი მიგრაცია - საქართველო, აღმოსავლეთის პარტნიორობა და ვიზალიბერალიზაცია

გურამ საფარიძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მოსახლეობის მიგრაციის პროცესები უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ეს განსაკუთრებით შეეხება შრომით მიგრაციას, რისი ძირითადი მიზეზია დისბალანსები შრომით და სხვა რესურსების ბაზრებზე. პროცესები საქართველოსაც შეეხო, აქედან გამომდინარე, დიდია საზოგადოების ინტერესი აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. განვითარების მოცემულ ეტაპზე შრომითი მიგრაცია, როგორც ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ელემენტი, აღიარებულ უნდა იქნას ეროვნული სტრატეგიის ნაწილად და გამყარდეს ინსტიტუციურად.

საკვანძო სიტყვები: შრომითი მიგრაცია, ვიზალიბერალიზაცია.

ძირითადი ტექსტი

შრომითი მიგრაციის და დიასპორის საკითხები ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია და მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ყურადღებას. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროინტეგრაციის პროცესში[1;8;12;] .

საქართველო სიღიავის მაღალი ხარისხის ქვეყანას წარმოადგენს, რაშიც იგულისხმება მოქალაქეთა საზღვარგარეთ საცხოვრებლად და სამუშაოდ გადაადგილების მაღალი ინტენსივობა. აქედან გამომდინარე, ქვეყანას გააჩნია საკმაოდ დიდი დიასპორა საზღვარგარეთ.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით 1990-იან წლებში საქართველოდან მოსახლეობის გადინებამ მასიური ხასიათი მიიღო. 1991 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 5 460 ათასკაცს შეადგენდა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნების ჩათვლით, რომლებშიც მაშინ ცხოვრობდა 650 ათასი კაცი. 2016 წლის იანვრის მონაცემებით ამჟამინდელი მოსახლეობა შემცირებულია 3 720 ათას კაცამდე. საქართველოს ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობა ამ პერიოდის განმავლობაში ბუნებრივი მატების მცირეოდენი დადებითი სალდოს მიუხედავად ერთ მილიონზე მეტით არის შემცირებული, რაც ქვეყნის გარეთ მიგრაციითაა გამოწვეული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნის შიგნით იძულებით მიგრირებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა შეადგენს 273 411-ს [14] .

მიგრაციის უმნიშვნელოვანეს მიზეზს ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს. საქართველოდან მძლავრი მიგრაციული ტალღის უმთავრესი მიზეზი მკვეთრი ეკონომიკური ვარდნაა, რომელიც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პირველ ნახევარში დაფიქსირდა [11]. ხსენებულმა ტალღამ პიკს 1995 წელს მიაღწია. მიგრაციის პროცესი დინამიკაში რამდენიმე წლით ჩამორჩებოდა ეკონომიკურ ვარდნას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მოქალაქეებს გააჩნდათ სიტუაციის გამოსწორების გარკვეული მოლოდინი, ამავე დროს მიგრირების და ახალ ადგილზე ფეხის მოკიდების პროცესი დროში გაწელილ მოვლენას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დაიწყო ეტაპობრივი ინტეგრაცია მსოფლიო მიგრაციულ სისტემაში. დღითიდღე იზრდებოდა არალეგალური ემიგრანტების რაოდენობა, რომლებმაც სამშობლო თავის გადარჩენის მიზნით დატოვეს. 2001 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს გარე მიგრაციის შედეგად 995 ათასი კაცი დააკლდა, აქედან რუსეთში გადაადგილდა 670 ათასი, უკრაინაში 40 ათასი, ყოფილი საბჭოთა კავშირის დარჩენილ სივრცეში განაწილდა 50 ათასიკაცი. საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში გა-

დაადგილდა 235 ათასიკაცი, აქედან: საბერძნეთში– 100 ათასი, გერმანიაში– 30 ათასი, ჰოლანდიაში– 30 ათასი, თურქეთში– 20 ათასი, აშშ-ში– 15 ათასიკაცი.

თანდათან იცვლება საქართველოდან ემიგრაციის ხასიათი, ამპლიტუდა და მიმართულებები. დღეს ქართველ მიგრანტთა ჯგუფები და ნაკადები მკვიდრდება და მიემართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. [9]

მიგრანტთა სამთავრობო კომისიის ,,საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის" მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა გაეროს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხთა დეპარტამენტის მონაცემებს, 2013 წელს ემიგრანტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 738 733 ადამიანს და აქედან 108 728 ადამიანი ევრო-28-ის ქვეყნებზე მოდიოდა. ქართველი ემიგრანტების ნახევარზე მეტისთვის ბინადრობის ძირითად ქვეყანას რუსეთი წარმოადგენს.

საქართველოდან მიგრირებული ადამიანების რაოდენობა ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის თითქმის 20%-ს შეადგენს. თანამედროვე პერიოდის მიგრაციის მაჩვენებლები 1 და 2 ცხრილებშია მოყვანილი:

ცხრილი 1. მიგრაციის მაჩვენებლები 2001-2015წწ. (ათასი კაცი)

წელი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სალდო	-32,6	-27,8	-27,5	5,5	76,3	-12,1	-20,7	-10,2	34,2	18,1	20,2	-21,5	-2,6	-6,5	-3,4

საქართველოს ევროკავშირთან მიგრაციული ნაკადების მოცულობა ბოლო წლებში უმნიშვნელოა. ქვეყნებიდან ლიდერობს საბერძნეთი, საიდანაც ბოლო წლებში ფიქსირდება დადებითი სალდო, რაც ნიშნავს იმას, რომ იქედან უფრო მეტი ადამიანი შემოდის, უფრო სწორად, ბრუნდება. მაგალითად, 2014 წელს საბერძნეთში მიგრირებული იყო 371, ხოლო საბერძნეთიდან საქართველოში ჩამოვიდა 997 ადამიანი. ამის მიზე-

ცხრილი 2. მიგრაციული ნაკადების დინამიკა საქართველოში, 2012-2015წწ (ათასი კაცი)*

წელი	2012	2013	2014	2015
ემიგრაცია	90,6	95	88,7	96
იმიგრაცია	69	92,5	82,2	92,6
სულ	159,6	187,5	170,9	188,6

*** საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტის მასალები**

ზია საბერძნეთში ბოლო წლებში გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა.

გაეროს მონაცემებით 2015 წელს მსოფლიოში 243 მლნ. საერთაშორისო მიგრანტი დაფიქსირდა, რაც მსოფლიო მოსახლეობის 3,3%-ს შეადგენს. მათგან თითქმის 2/3 შრომითი მიგრანტია. აღნიშნული მიგრანტების მიერ საკუთარი მოქალაქეობის ქვეყნებში გადაგზავნილი ფულადი თანხების მოცულობა წელიწადში 500 მლრდ აშშ დოლარს აღემატება.

სტატისტიკური მონაცემები შრომითი მიგრაციის შესახებ, ზოგადი მიგრაციული ნაკადებიდან სპეციალიზირებულად გამოყოფილი ინფორმაცია საქართველოში შრომითი მიგრანტების რაოდენობის და მათი დასაქმების სფეროების, ასევე, საქართველოდან შრომითი მიგრაციით გასულთა რაოდენობისა და სფეროების მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ გააჩნია. მიგრაციის საერთო რაოდენობიდან შრომითი მიგრანტების გამოყოფა ისედაც რთული პრობლემაა და უფრო მეტად პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში დასაქმების და სხვა მიზეზები ერთდროულად მოქმედებენ.

შედარებით რელევანტური მაჩვენებელი, რომლითაც შეიძლება შრომით მიგრაციის სიდიდეზე და გავლენაზე ვისაუბროთ, ეს არის საქართველოში შემოსული უცხოური

გზავნილების მოცულობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებიდან მიღებული შემოსავლებიდან მოდის. მაგალითად, 2016 წელს ამგვარი გზავნილების ოდენობამ 736 მლნ აშშ. დოლარი შეადგინა. დოლარის საშუალო წლიური კურსის მიხედვით ეს არის 1 766 მლნ. ლარი რაც ქვეყნის წლიური მშპ-ის 5%-ის ტოლია. იმავე წელს საქართველოდან გადაირიცხა 177,5 მლნ. აშშ დოლარი.

მთელი მსოფლიოდან მრავალმილიონიანი უცხოური სამუშაო ძალა განუწყვეტლივ მიედინება ევროპასა და ამერიკაში, რასაც მიმღებ ქვეყანაში უმუშევრობის დონის გაზრდის პრობლემა არ შეუქმნია, მაშინაც კი, როდესაც მიგრაცია უფრო მასიური იყო და ეს აიხსნება მიგრირებული სამუშაო ძალის განსაკუთრებული მობილობით.

გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯები მრავალგვარია: ფორმალური, ფინანსური, ტრანსპორტირების, ახალი საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოს ძებნის, ოჯახიდან, ნათესაობიდან, მეგობრებიდან მოწყვეტის, რესოციალიზაციის, ენობრივი ბარიერის გადალახვის, თაღლითობის მსხვერპლად გახდომის, სოციალური დაუცველობის. შრომითი რესურსის გადაადგილების ნეგატიურ სოციალურ ეფექტს ოჯახების მთლიანობის რღვევა წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით მწვავედ აისახება აოჯახის არასრულწლოვან წევრებზე.

ხშირად მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ ოჯახის, სანათესაოს, საახლობლოს დონეზე. მიგრაციის მოტივატორად ითვლება არა მარტო ინდივიდუალური შემოსავლების, არამედ მთელი საზოგადოების შემოსავლების მაქსიმიზაცია, რომელთა შორის შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილება ხდება. გასათვალისწინებელია არაფულადი მოტივაციური ფაქტორებიც, როგორებიცაა ოჯახურ-ნათესაური, ეთნო-სოციო-კულტურული დეტერმინანტები. მიგრანტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად მისაღებია ახალ გარემოში ცხოვრება და იმასაც, თუ რამდენად უმძიმს მას არსებული სოციო-კულტუ-

რული და ეროვნული სივრცის დატოვება.

მიგრაციისათვის მნიშვნელოვანია არამარტო ის, თუ რამდენად მიმზიდველია სხვაგან ცხოვრების პირობები, არამედ ისიც, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს შრომითი უნარები, რასაც პოტენციური მიგრანტი ფლობს და რამდენად მოთხოვნადია ეს უნარები მიმღები ქვეყნის შრომით ბაზარზე.

შრომით მიგრაციის პარალელურად არსებობს ე.წ. რეკრეაციული მიგრაციაც - ამ შემთხვევაში მიგრანტისთვის მეორეხარისხოვანია მიმღები ქვეყნის სამუშაო პირობები, მთავარია, რომ ამ ქვეყანაში მისაღები საცხოვრებელი პირობებია. ადამიანები მიგრირებენ ასევე სოციალური სტატუსის ამაღლების მიზნითაც.

შრომით მიგრაციას წარმომშობი ქვეყნისათვის ზოგადად, და კერძოდ, საქართველოსათვის, შემდეგი სარგებლები მოაქვს: 1. მიგრაცია ორმხრივად აწონასწორებს შრომის ბაზარს. მცირდება მასზე უშუალო ზეწოლა, თანაც გზავნილები ადიდებს ადგილობრივი მოსახლეობის მსყიდველობით უნარს, ზრდის ეკონომიკას და სტიმულს აძლევს დასაქმებას, ამავდროულად მოსახლეობის ნაწილს უარს ათქმევინებს შრომის ბაზარზე გასვლაზე; 2. მიიღწევა სახელმწიფო ფინანსების ეკონომია, რადგან საზოგადოებრივი დოვლათი მიგრანტებისთვის აღარ იწარმოება. ამ დოვლათს მიგრანტებისთვის უკვე მიმღები ქვეყანა იღებს თავზე; 3. იზრდება ფულადი გზავნილების მასშტაბები წარმომშობ ქვეყანაში. თუმცა, უცხოეთიდან გზავნილების სტაბილურობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული.

ყველაზე უფრო ძვირადღირებული, ადამიანური რესურსის გადინება, ადგილობრივ ეკონომიკაზე უარყოფით ზეგავლენასაც ახდენს, რამდენადაც ამ რესურსის შემადგენლობაში ეკონომიკურად მაღალაქტიური, შეძლებული ადამიანები შედიან. ღარიბი და დეკლარირებული ელემენტები საერთაშორისო მიგრაციულ დინებებში ნაკლებად მონაწილეობენ, თუნდაც ნაკლები ინფორმირებულობის გამო. მართალია, შრომითი მი-

გრაცია აწონასწორებს შრომის ბაზარს, რის შედეგად ჭარბი სამუშაო ძალა ტოვებს ადგილობრივ შრომით ბაზარს, მაგრამ სახელფასო კონკურენცია გაცილებით მეტ მუშახელს აიძულებს ქვეყნიდან გასვლას. შედეგად მცირდება მშპ და დასაქმება.

მიგრანტები გადასახადებს სამშობლოში აღარ იხდიან. ემიგრაციის ქვეყანაში საბიუჯეტო დანაკლისი უფრო მეტია, ვიდრე საზოგადოებრივი დოვლათის არწარმოების გამო მიღებული ეკონომია.

საქართველოს მსგავსმა მცირერიცხოვანმა ქვეყანამ, მოსახლეობის აღწარმოების თავისი მკვეთრად გამოხატული დასავლური ტიპით, ფრთხილი პოლიტიკა უნდა გაატაროს, რომ მიგრაცია აქციოს დროებით პროცესად უკეთესი პერიოდის დადგომამდე. ლიბერალური მიგრაციული პოლიტიკის გატარებას გამგზავნი ქვეყნიდან თან უნდა ახლდეს სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც შეიძლება მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნით. წინააღმდეგ შემთხვევაში დემოგრაფიული პრობლემები შეიძლება დემოგრაფიულ კატასტროფად იქცეს. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მიგრაციის ხელოვნური ბარიერების შექმნა არ არის გამოსავალი, ეს აფერხებს ეკონომიკის ჯანსაღ სტრუქტურირებას და ეკონომიკურ განვითარებას, ამწვავებს სოციალურ პრობლემებს.

მიგრაციით გამოწვეული დანაკლისის აღმოფხვრის მხრივ საინტერესოა ირლანდიის მაგალითი. ირლანდიაში, ისევე როგორც ზოგადად ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას ნულთან მიახლოებული ბალანსი გააჩნია. მოსახლეობის რაოდენობა ამ ქვეყნებში ძირითადად მიგრაციის ხარჯზე იზრდება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ირლანდიაში გასული საუკუნის 80-იან 90-იან წლებში, როდესაც წარმატებული ეკონომიკური ზრდის ფონზე გაიზარდა ირლანდიის მუდმივი მოსახლეობა მიგრანტების, მათ შორის ეთნიკური ირლანდიელების ხარჯზე, რომლებიც მანამდე სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. [10]

მიმღებ ქვეყანაში მიგრაციის ნეგატიური ზემოქმედება ადგილობრივ ხელფასებზე ან შრომით მოწყობაზე უმნიშვნელოდ შეიძლება ჩაითვალოს. კონკურენცია პრაქტიკულად არ წარმოიშობა, მას უფრო მეტად ურთიერთშევსება ცვლის. პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურას ერთგვარად ქვიშის საათის ფორმა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ შრომის ბაზარზე უფრო მეტი მოთხოვნაა მაღალ ან დაბალკვალიფიკაციურ შრომაზე. რაც შეეხება ,,შუა არეალს", აქ კონკურენცია მაღალია და ადგილობრივი შრომის მიწოდებასაც ვერ აკმაყოფილებს. მიგრაციული ნაკადები იმ ნიშას ავსებენ, სადაც მეტი თავისუფლებაა.

შრომითი მიგრაცია ევროკავშირისათვის გარკვეული ამორტიზატორის როლში გამოდის ეკონომიკური კრიზისების შემთხვევაში. საერთოდ, ეკონომიკური თვალსაზრისით, მიმღები ქვეყანა მიგრანტებით უფრო მეტ სარგებელს ნახულობს. იაფი სამუშაო ძალის ხარჯზე წარმოების დანახარჯების შემცირებით, განათლებაზე ეკონომიის გაწევით და ა.შ..

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან მიგრაცია უფრო ნაკლებ სოციალურ ტვირთს წარმოადგენს ევროკავშირისათვის და მათთვის ზოგადად ეს უფრო ხელსაყრელია.

ევროკავშირის იმიგრაციული კანონმდებლობა უფრო ლიბერალური იყო გაფართოების კანდიდატ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, ვიდრე აღმოსავლეთის პარტნიორობის შემთხვევაში, რაც მიუთითებს, პირველი მათთვის ეკონომიკურად უფრო მომგებიანია. ეს აიხსნება იმით, რომ ევროკავშირის შრომის ბაზარზე უფრო ლიბერალური დაშვება პროფესიების ურთიერთშევსებაზე, დეფიციტისა და ჩავარდნების ამოვსებაზე, უფრო უკეთ მუშაობს. შემზღუდავი ჩარჩოები, პირიქით, აფერხებს მობილობას და მიგრაცია ეკონომიკური ციკლის გამოსწორების მექანიზმად ნაკლებად გამოდგება.

მიგრაციის პროცესში ხშირია შემთხვევები, როდესაც შედარებით მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები მიმღებ ქვეყანაში შედარებით დაბალი მოთხოვნების მქონე სამუშაო ადგილებზე

საქმდებიან, რაც ნელ-ნელა მათი კვალიფიკაციის დაკარგვას იწვევს.

კვალიფიკაციის დაკარგვის მნიშვნელოვანი წანამძღვარი ინსტიტუციონალური ბარიერია, როგორიცაა პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება. აქ ენობრივი ბარიერიც მოქმედებს. კვალიფიკაციის დაკარგვა ასევე გამომდინარეობს იქედანაც, თუ რა პერიოდის განმავლობაში იმყოფება კონკრეტული პიროვნება მოცემული ქვეყნის შრომის ბაზარზე. მიგრანტების ნაწილი, როგორც წესი, მიმღებ ქვეყანაში ინტეგრირებას ახდენს და უკან ნაკლებად ბრუნდება.

საქართველოსთვის განვითარების მოცემულ ეტაპზე შრომითი მიგრაცია აუცილებელი ელემენტს წარმოადგენს, ამდენად იგი აღიარებულ უნდა იქნას ეროვნული სტრატეგიის ნაწილად და გამყარდეს ინსტიტუციურად. უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა შრომითი მიგრაციული ნაკადებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების შესახებ.

წარმოშობის ქვეყანა უნდა ეხმარებოდეს მიგრანტებს გამგზავრებამდე და მას შემდეგ. შესაბამისი სტრატეგიის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს სამუშაოზე მომწყობი ორგანიზაციების რეგულირება, ფინანსური კონსულტაციების ორგანიზება, საკონსულო მომსახურების უზრუნველყოფა, უცხო ენის სწავლების სისტემის ჩამოყალიბება, დაბრუნებაში დახმარება და შემდგომი რეინტეგრაციის განხორციელება ეკონომიკურ, სოციალურ, ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ გარემოში. [7]

კომპლექსური საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით შესაძლებელი გახდება მიგრანტთა კვალიფიკაციური შესატყვისობის მიღწევა ევროკავშირის შრომის ბაზრებისადმი, ინფორმაციის მიწვდენა ვაკანსიების შესახებ. პოტენციური მიგრანტებისთვის გარემო უფრო გამჭვირვალე გახდება და შრომის ბაზარიც უკეთ დაბალანსდება. ევროკავშირთან შესაძლებელია თანამშრომლობის გაღრმავება, რითაც ევროკავშირი არანაკლებ არის დაინტერესებული.

მიგრანტების ხელშემწყობი შუამავლობის საქმიანობის გამჭვირვალობა სასარგებლოა როგორც მიგრანტების წარმოშობის, ისე მიმღები ქვეყნებისთვის. ასიმეტრიული ინფორმირებულობა შუამავლებს ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მიგრანტებთან შედარებით, რის მეშვეობითაც შუამავლები გარკვეულ რენტას ღებულობენ. დიასპორამ ევროკავშირში სოციალური უსაფრთხოების გარკვეული ბალიშის და საინფორმაციო შუამავლის როლი უნდა შეასრულოს. მათვე უნდა მოიზიდონ წარმოშობის ქვეყანაში ინვესტიციები და ცოდნა, რაც ხელს შეუწყობს კაპიტალისა და შრომის ბაზრების დისპროპორციების დაბალანსებას. ევროკავშირის შესაძლო დახმარებით უნდა შეფასდეს თანამშრომლობის არსებული მექანიზმები და მიგრაციის საერთო სტრატეგიის ჩარჩოებში დაიხვეწოს ურთერთობები დიასპორასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაცია არ გულისხმობს შრომის ბაზრის ლიბერალიზაციას, როგორც ასეთს, ეს არის მიგრანტთა უფრო ადვილი საწყისი შეღწევის უზრუნველყოფის კონკრეტული ნაბიჯი. ამით გაიზრდება მოკლევადიანი და სეზონური მობილობა. ამგვარი მობილობით ევროკავშირი ცდილობს არსებული შიდა შრომის ბაზრის მოუქნელობის შერბილებას და პროფესიული სტრუქტურის რეგულირებას. ამდენად, ვიზალიბერალიზაცია შეიძლება შეფასდეს, როგორც შრომის ბაზრის ლიბერალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი.

მოკლევადიანი ვიზიტების ვიზალიბერალიზაციის დამატებითი უპირატესობაა ოჯახური კონტაქტების გაადვილება. მყარდება კონტაქტები დიასპორასა და წარმომშობ ქვეყანას შორის, რაც იწვევს ვაჭრობიდან და საქმიანი კავშირებიდან პოტენციური სარგებლის გადიდებას. ასევე გაიზრდება ინფორმაციისა და ტექნოლოგიების მიმოქცევა.

შრომის ბაზრის გრძელვადიანი რეგულირების დამატებითი ინსტრუმენტების შემოღება წარმოადგენს შემდგომ ნაბიჯს მობილობის გაუმჯობესებისათვის. გრძელვადიანი სავიზო რეგულირება ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენციაა.

აქ გამოსაყენებელია ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატი ქვეყნებთან. ევროპა თანდათან გადადის მკაცრი ადმინისტრაციული პოლიტიკიდან შრომის ბაზრის პრიორიტეტულობის აღიარების პოლიტიკაზე. მისი მიზანია შრომის ბაზრის გაწონასწორება. ევროპაში დაშვების ლიბერალიზირების პროცესის გარდა მიმდინარეობს მუშაობა მიგრაციული შრომითი ნაკადის რაციონალური განაწილებასა და ეფექტურად დასაქმების ხელშეწყობაზე. მაგალითად, სამუშაოს ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ მიგრანტს ეძლევა დამატებითი დრო ახალი სამუშაოს მოძებნისათვის.

შრომის ბაზრის სრული ლიბერალიზაცია წარმოადგენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც სასარგებლოა როგოც წარმომშობი, ისე მიმღები ქვეყნებისთვის, ასევე მიგრანტებისთვის. ევროკავშირის კვლევების [13] მიხედვით სრული ლიბერალიზაცია შემდგომ მიგრაციულ ნაკადებს დიდად არ გაზრდის, სამაგიეროდ შრომის ბაზრების გაწონასწორებით მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა. შემცირდება ყველაზე მნიშვნელოვანი, არაპროფესიით მუშაობის, დანაკარგის ოდენობა, რადგან გაჩნდება მეტი შანსი განათლების შესაბამისი პროფესიის მოძებნისთვის და რაც ორივე მხარისათვის არის ხელაყრელი.

აღმოსავლეთის პარტნიორობის და, მათ შორის, საქართველოს სახით ევროკავშირი ჯერ კიდევ ხედავს სამიგრაციო პოტენციალს, რომელიც არასრულად არის ათვისებული. საქართველოდან მიგრანტების ინტეგრაციისათვის ევროკავშირი სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას გეგმავს: პროფესიული უნარების, კვალიფიკაციის აღიარება, სოციალური უფლებების დაცულობის უზრუნველყოფა, ინფორმაციული ხარვეზების აღმოფხვრა, მეუღლეების შრომით მოწყობასთან დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრა, სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა და სხვა [13].

დღესდღეობით საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული შრომითი მიგრაციის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი

კონვენციები. მათ შორის გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ძირითადი კონვენციები. შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული ნორმები მიმოფანტულია სხვადასხვა კანონში, რომლებიც ფრაგმენტული ხასიათისაა და სრულყოფილად ვერ არეგულირებს მოცემულ სფეროს. [2;3;4;5;6;]

ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ სერიოზული ბიძგი მისცა მიგრაციის მართვის სისტემის განვითარებას ქვეყანაში. საქართველოს რატიფიცირებული აქვს „ევროპის სოციალური ქარტია“, რომლის დებულებები შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით, ქვეყნისთვის აღსასრულებლად სავალდებულოა, აგრეთვე, სხვა კონვენციებიც, რომლებიც გარკვეულწილად ეხება შრომითი მიგრაციის სფეროს: „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“; „დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ“; „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“; ტრეფიკინგის საკითხების მარეგულირებელი კონვენციები და სხვა.

2009 წელს ხელმოწერილი დეკლარაცია „პარტნიორობა მობილურობისთვის“ 2010 წლიდან მოქმედებს. ინიციატივა მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივ ბრძოლასა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას. შესაბამისად, იგი ითვლისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცა შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხი. ინიციატივის ფორმატში ხორციელდება რამდენიმე პროექტი, რომელთაგან ზოგიერთი უკვე დასრულებულია.

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და შემოსვლის წესების შესახებ“ კანონის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საქართველოს მოქალაქეთა ემიგრაციაში წასვლის

საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. ამჟამად მოქმედი კანონი მიღებულია 1993 წელს, რის შემდეგაც არსებითად შეიცვალა ფაქტობრივი გარემოებები. ემიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი ნორმა საკმაოდ მოძველდა და პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით მოუქნელი გახდა. ასევე, სახეზეა კანონის არსებული რედაქციის პრაქტიკული და სამართლებრივი შეუსაბამობა არსებულ რეალობასთან, რომელიც არ იძლევა საქართველოდან წასული ემიგრანტების სრულად აღრიცხვის შესაძლებლობას დანიშნულების ქვეყნების მიხედვით.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს წინაშე სამი ძირითადი გამოწვევა დგას:

1) პოტენციურ და ფაქტობრივ ემიგრანტთა ცნობიერების ამაღლებით და ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოებით, საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყანებში უკანონოდ ყოფნის შემთხვევების შემცირება;

2) საზღვარგარეთ ლეგალურად და არალეგალურად მყოფი ემიგრანტების უფლებების პროაქტიული დაცვა, თვითმყოფადობის შენარჩუნება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ქართველ ემიგრანტთა რიცხვი.

3) ემიგრაციული ნაკადების უკეთესი აღრიცხვისა და შესწავლისთვის არსებული საშუალებების დახვეწა.

დასკვნა

შრომითი მიგრაცია ქვეყნებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მისი მასშტაბები უფრო და უფრო იზრდება. საქართველოც ღრმად იქნა ჩათრეული პროცესებში. ევროპის რეგიონული ინტეგრაციისა და მასში ჩართულობის საქართველოს მხრიდან მაღალი დაინტერესების გამო საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე ც. შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის კვლევის ცენტრი. მიგრაცია 7. თბილისი. 2016. გვ. 146-168.

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება N199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. თბილისი. 02/08/2013

3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“. თბილისი. 17/12/2010

4.საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“. თბილისი. 27/10/2015

5.საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“. თბილისი. 01/04/2015

6. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. თბილისი. 30/11/2015.

7.ტუხაშვილი მ. საქართველოს სამრეწველო ქალაქებში დაბრუნებული ემიგრანტები და მათი ეკონომიკური რეინტეგრაციის პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის კვლევის ცენტრი. მიგრაცია 5. თბილისი. 2011. გვ. 95-199.

8. ქარდავა ე., ფიფია ს., ცერცვაძე ი. შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები (შედარებითი მიმოხილვა). ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თბილისი. 2014. -70გვ.

9. ჭელიძე ნ. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი. 2006. -198გვ.

10. Молодикова И.Н. Интеграция мигрантов в Западной Европе в начале XXI века. ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის კვლევის ცენტრი. მიგრაცია 1. თბილისი. 2007. გვ. 15-34.

11.Badurashvili Irina. Main Emigration and Internal Migration Trends in Georgia Since Independence. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის კვლევის ცენტრი. მიგრაცია 6. თბილისი. 2013. გვ. 50-66.

12.Price M. Chacko E. The Role of the Diaspora in Development: the Case of Ethiopian and Bolivian Immigrants in the USA. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის კვლევის ცენტრი. მიგრაცია 5. თბილისი. 2011. გვ. 5-19.

13.Миграция из стран Восточного партнерства в Европейский Союз – возможности для лучшего будущего ოფიციალური საიტი http://www.eapyouth.eu/sites/default/files/documents/migration_from_e_partnership_rus.pdf

14.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ოფიციალური საიტი http://www.mra.gov.ge/geo/static/55

REFERENCES:

1. AnthadZe c. State policy of labor migration. Ivane Javakhishvili Tbilisi state university. Migration research centre. Migration 5. Tbilisi 2011. P. 5-19.

2. Resolution of the Government of Georgia N199 „On Approval of the State Strategy on the Formation of the Labor Market of Georgia and Action Plan of 2013-2014 of the State Strategy for the Formation of the Labor Market of Georgia".02/08/2013

3. Organic Law of Georgia „Labor Code of Georgia". Tbilisi.17/12/2010

4. Law of Georgia on Public Service. Tbilisi.27/10/2015

5. Law of Georgia on Labor Migration. Tbilisi. 01/04/2015

6. Migration Strategy of Georgia 2016-2020. Migration Issues

Government Commission.Tbilisi. 30/11/2015.

7. Tukhashvili M. Emigrants returned to industrial cities of Georgia and their economic reintegration problems. Ivane Javakhishvili Tbilisi state university. Migration research centre. Migration 5. Tbilisi 2011. P. 95-199.

8. Kardava E. Pipia S. Tsertsvadze I. Aspects of legal regulation of labor migration (comparative review). Friedrich Ebert Foundation Tbilisi. 2014. P. -70.

9. Chelidze N. Labor Emigration in Post-Soviet Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi state university. Migration research centre. Tbilisi 2006. P. -198.

10. Molodikova I.N. Integration of migrants in Western Europe at the beginning of the 21st century. Ivane Javakhishvili Tbilisi state university. Migration research centre. Migration 1. Tbilisi 2007. P. 15-34.

11. Badurashvili Irina. Main Emigration and Internal Migration Trends in Georgia Since Independence. . Ivane Javakhishvili Tbilisi state university. Migration research centre. Migration 6. Tbilisi 2013. P. 50-66.

12. Price M. Chacko E. The Role of the Diaspora in Development: the Case of Ethiopian and Bolivian Immigrants in the USA. Ivane Javakhishvili Tbilisi state university. Migration research centre. Migration 5. Tbilisi 2011. P. 5-19.

13. Migration from the Eastern Partnership countries to the European Union - opportunities for a better future; official site http://www.eapyouth.eu/sites/default/files/documents/migration_from_e_partnership_rus.pdf

14. Ministry of internally displased persons from the occupied territories, accommodation and refugees of Georgia. http://www.mra.gov.ge/geo/static/55

LABOUR MIGRATION - GEORGIA, THE EASTERN PARTNERSHIP AND VISA LIBERALIZATION

Guram Sapharidze,
PhD Student,
Batumi Shota Rustaveli State University,

RESUME

The actuality of population migration process in modern globalized world is rising. Especially it is connected with labor migration caused of disbalances at the labor and other resource markets. These processes also affect on Georgia and according to that there is a huge interest of society on these issues. Labor migration, as a necessary element of the economic development should be acknowledged as a part of national strategy and institutionalized.

Key words: Labour migration, Visa liberalization.

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები

გადაეცა ასაწყობად 5.05.2017 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.05.2017 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,5.